

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია  
ლ. ყანჩაველის სახელობის მცენარეთა დაცვის სამეცნიერო კვლევითი  
ინსტიტუტი

## ნინო ჭანტურია

დახურულ გრუნტში ძირითადი მავნე მწერებისაგან  
ბოსტნეული კულტურების დაცვის ღონისძიებების შემუშავება  
თანამედროვე საშუალებების გამოყენებით

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

28.12.06 – მცენარეთა დაცვა

სამეცნიერო ხელმძღვანელი ესმა ორჯონიკიძე, სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი 2006

## ს ა რ ჩ ე ვ ი

ნაშრომის საერთო დახასიათება ;

*თავი I.*

დახურულ გრუნტში გავრცელებული მავნებლები და მათთან ბრძოლა (ლიტერატურული მიმოხილვა ) ;

*თავი II*

მასალა და მეთოდის, ექსპერიმენტული ნაწილი ;

*თავი III.*

დახურულ გრუნტში ძირითადი მავნებლების მიმართ თანამედროვე ინსექტიციდების ტოქსიკურობის შესწავლის შედეგები ;

*თავი IV.*

სათბურის ძირითადი მავნებლების მიმართ თანამედროვე საშუალებების ბიოლოგიური ეფექტურობის განსაზღვრის შედეგები ;

*თავი V.*

თანამედროვე პესტიციდების გავლენა დასაცავ მცენარეებზე და მათი დაშლის დინამიკა ნაყოფებში ;

*თავი VI.*

მეთილბრომიდის ქიმიური და არაქიმიური ალტერნატივების ძიების შედეგები .

*თავი VII.*

საცდელი სქემები ბიოლოგიური, სამეურნეო ეფექტურობა და სანჰიგიენური შეფასება .

დასკვნები ;

რეკომენდაციები ;

გამოყენებული ლიტერატურის სია .

## ნაშრომის საერთო დახასიათება

**თემის აქტუალობა:** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას მოსახლეობის ბოსტნეულით უზრუნველყოფა წარმოადგენს, სადაც განსაზღვრული ადგილი დასურული გრუნტიდან მიღებულ პროდუქციას უკავია.

სასათბურე მეურნეობებში, მკაცრი სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების გამო, დღის წესრიგში დგას მანე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღებას.

მიუხედავად იმისა, რომ სათბურებში გავრცელებული მანე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლისათვის უპირატესობა ბიოაგენტების კომპლექსურ გამოყენებას ენიჭება, ქიმიურ საშუალებების გამოყენება ფართოდ არის დანერგილი. აქედან გამომდინარე, აქტუალურია შეირჩეს ისეთი პესტიციდები, რომლებიც არ არიან პერსისტენტულნი, სწრაფად იშლებიან მცენარეში და გარემოში, ნაკლებად ტოქსიკურნი არიან თბილსისხლიანების მიმართ, გამოიყენებიან დაბალი ხარჯვის ნორმებით და აქვთ მცირე საჰექტარო ეკოლოგიური დატვირთვის მაჩვენებლები. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი გამოყენების ოპტიმალური რეგლამენტების დადგენას.

ბიოტექნიკური საშუალებებიდან დღეისათვის სათბურის ფრთათეთრას წინააღმდეგ ფართოდ გამოიყენება ყვითელი წებოვანი დამჭერები. არანაკლებ აქტუალურია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევები აღნიშნული დამჭერების მიმზიდველობის გაზრდის მიზნით (ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, კერძოდ სხვადასხვა მცენარის ნაყენების გამოყენებით).

იმასთან დაკავშირებით, რომ მსოფლიოს მასშტაბით, დღის წესრიგში დგას მეთილბრომიდის ხმარებიდან ამოღება და მისი ალტერნატივების ძიება, მნიშვნელოვანია ჩვენს მიერ ჩატარებულ სამუშაოები ჩითილების და ბოსტნეული კულტურების სტერილურ სუბსტრატზე მოყვანის, აგრეთვე დაზომების, მეთამსოდიუმის და ბიოფუმიგაციის ეფექტურობის შესწავლის მიმართულებით.

**კვლევის მიზანი და ამოცანები:** კვლევის მიზანი იყო დახურული გრუნტის კულტურებზე დომინირებული მავნებლების გამოვლენა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის შემუშავება თანამედროვე საშუალებების გამოყენებით. აქედან გამომდინარე, კვლევის ამოცანას წარმოადგენდა მავნებლების მიმართ თანამედროვე ინსექტიციდების ტოქსიკურობისა და ეფექტურობის დადგენა, მათი გავლენის შესწავლა დასაცავ მცენარეებზე, ასევე “ლოდინის პერიოდების” დადგენა. მავნებელთა კომპლექსის მიმართ ბრძოლის ოპტიმალური სქემების შედგენა, მათი ბიოლოგიური, სამეურნეო ეფექტურობის დადგენა და სან-ჰიგიენური შეფასება.

**მეცნიერული სიახლე:** გამოვლენილია აღმოსავლეთ საქართველოს სათბურებში გავრცელებული ძირითადი ნიადაგისა და მიწისზედა მავნებლები – სათბურის ფრთათეთრა, პომიდორის ჟანგა ტკიპა, ბაღჩის ბუერი, ორანჟერიის ბუერი, კომბოსტოს ჩრჩილი, კომბოსტოს ბუერი, კომბოსტოს თეთრულა, ნემატოდები, მახრა, ტკაცუნა, ჭიჭინობელა, *Platyura Pectoralis* და *Scattela Stagnalis*. მათ წინააღმდეგ შერჩეულია მაღალეფექტური, კომპლექსური მოქმედების პესტიციდები ფოსფორორგანული, პირეტროიდული, თეამეთოქსამის, იმიდოკლოპრიდების, ნეონიკოტინოიდების, ფენილპირაზოლების ჯგუფებიდან. დადგენილია აბამექტინის ჯგუფის მიკრობიოლოგიური პრეპარატის ლიროსექტი 2 EK–ს ეფექტურობა სხვადასხვა მავნებლის მიმართ. დადგენილია წებოვან დამჭერებზე სათბურის ფრთათეთრას

მიმზიდველობის გაზრდის მიზნით დაფნის ნაყენის დამატების ეფექტურობა. შემუშავებულია მავნებლებისაგან სასათბურე კულტურების დაცვის ეფექტური ღონისძიებები და შედგენილია სათანადო რეკომენდაციები.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:** გამოვლენილია სათბურის მავნებლის მიმართ მაღალეფექტური პესტიციდები, დადგენილია მათი ტოქსიკურობისა და ეკოტოქსიკური მაჩვენებლები, უსაფრთხო გამოყენების რეგლამენტები.

დადგენილია მათი დადებითი გავლენა ბოსტნეული კულტურების კვებით ღირებულებაზე, კერძოდ, შაქრების ორგანული მჟავების, ასკორბინის მჟავას, ნაცრის შემცველობაზე, აგრეთვე ჩითილების ზრდა-განვითარებაზე.

ბრძოლის თანამედროვე საშუალებების მრავალმხრივი შესწავლა დაედო საფუძვლად მავნებლებისაგან სასათბურე კულტურების დაცვის ღონისძიებათა შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალხარისხოვანი და სანჰიგიენურად სუფთა მოსავლის მიღებას.

**აპრობაცია და პუბლიკაცია:** დისერტაციის ძირითადი დებულებები მოხსენდა ლ. ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომებზე (2001, 2002, 2003, 2004 წ.წ), ინსტიტუტის განყოფილებათა (პესტიციდების ეკოლოგიური შეფასების, გამოყენებითი ზოოლოგიის, ბიოკონტროლის) გაფართოებულ სხდომებზე (2006 წ).

დისერტაციის ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: ნაშრომი შედგება ზოგადი დახასიათების, 7 თავის, დასკვნების, რეკომენდაციისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან, რომელიც მოიცავს 161 წყაროს. ნაშრომი წარმოდგენილია კომპიუტერზე ნაბეჭდ ტექსტს 165 გვერდზე, ცხრილების რაოდენობა შეადგენს 37.

## თ ა ვ ი I

### დახურულ გრუნტში გავრცელებული მავნებლები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები (ლიტერატურული მიმოხილვა)

საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში სასათბურე მეურნეობების განვითარება შეფერხებულია. ასეთ მდგომარეობას არაერთი მიზეზი განაპირობებს. მათ შორის კი ძირითადია მიკროკლიმატის შენარჩუნების სირთულე, რაც მცენარის განვითარებისათვის იდეალური პირობების შექმნას გულისხმობს. ეს პირობები დაავადებებისა და მავნებლების გავრცელებისთვისაც საუკეთესო გარემოს წარმოადგენენ. სათბურის სწორი მართვა და ახლებური მიდგომების დანერგვა მნიშვნელოვნად ამცირებს მავნებელ-დაავადებების გავრცელებას, პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ ხარჯს და ამავე დროს აუმჯობესებს სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ხარისხს.

ნაშრომი სწორედ ახალი მიდგომებისა და ტექნოლოგიების დანერგვას ემსახურება. კვლევები ჩატარდა ორი მიმართულებით და მოიცავს

1. ნიადაგისა და მიწისზედა მავნებლების მიმართ თანამედროვე ინსექტიციდების ეფექტურობის შესწავლას და
2. მეთილბრომიდის ქიმიური და არაქიმიური ალტერნატივების დანერგვას.

**მეთილბრომიდი და მისი ქიმიური და არაქიმიური ალტერნატივები:**

1992 წელს მონრეალში საერთაშორისო შეხვედრაზე მიღებულ იქნა შეთანხმება მეთილბრომიდის გამოყენებაზე კონტროლის დაწესების

შესახებ. 1997 წელს კი დადგინდა მეთილბრომიდის ხმარებიდან ეტაპობრივი ამოღების მექანიზმები და ვადები (მეთილბრომიდის გამოყენებიდან ეტაპობრივი ამოღება ნიადაგის ფუმიგაციისათვის საქართველოში, MP/GEO/02/074 ანგარიშის პროექტი, თბილისი, 2004, UNIDO, გაეროს ინდუსტრიის განვითარების ორგანიზაცია). საქართველო ამ შეთანხმებას 2003 წლიდან შეუერთდა და აიღო ვალდებულება 2007 წლისათვის შეწყვიტოს მეთილბრომიდის გამოყენება. ამ გადაწყვეტილებამ შექმნა მეთილბრომიდის ალტერნატივების ძიებისა და დანერგვის აუცილებლობა.

მეთილბრომიდი სასათბურე მეურნეობაში ფართოდ დანერგილი პრეპარატია. ამიერკავკასიის ქვეყნებში ყველაზე დიდი რაოდენობით საქართველოში გამოიყენებოდა. იგი უნივერსალური საშუალებაა, მაგრამ მისი ერთი ალტერნატიული საშუალებით შეცვლა შეუძლებელია, ამიტომ მიმდინარეობს კვლევა-ძიება სახვადასხვა პათოგენების წინააღმდეგ მეთილბრომიდის სხვადასხვა საშუალებით შენაცვლებაზე. ამასთანავე, მსოფლიოში შეიმჩნევა ტენდენცია ქიმიური საშუალებების, კერძოდ კი პესტიციდების გამოყენების მინიმუმამდე შემცირებისა. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით გასათვალისწინებელია სასათბურე-საჩითილე მეურნეობებისათვის, სადაც მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ქიმიური ღონისძიებები ისედაც შეზღუდულია.

ნაშრომში განვიხილავთ ბოსტნეული კულტურების და ჩითილების მოყვანის მეთოდებს, რომლებიც მეთილბრომიდის ალტერნატივებად მოიაზრებიან. ჩითილების მოყვანა სათბურებში ტრადიციული მეთოდით პირდაპირ ნიადაგში მიმდინარეობს (სურათი №1). ეს მეთოდი არ საჭიროებს დამატებით ცოდნას და გამოცდილებას, მაგრამ ამავე დროს უარყოფითი მხარეც გააჩნია:

- ა) ბოსტნეული კულტურების თესლის დანაკარგი, ჩითილების პიკირებისას ფესვთა დაზიანება, გადარგვისას ზრდის შეჩერება–დაყოვნება; და
- ბ) ნიადაგისა და მიწისზედა მავნებელ-დაავადებათა სწრაფი გავრცელება.

საჩივრულ მუხრნობაში მოყავთ თითქმის ყველა სახის ბოსტნეული კულტურის, კერძოდ კი პომიდვრის, კიტრის, კომბოსტოსნაირების და ბახჩეული კულტურების ჩითილები.



სურათი №1 ჩითილების მოყვანის ტრადიციული მეთოდი

ტრადიციული მეთოდით მოყვანილი ჩითილი არ ხასიათდება მაღალი ხარისხით, ხშირია თესლის დანაკარგი, ადგილი აქვს ფესვთა სისტემის დაზიანებას. ოპტიმალური ტემპერატურისა და ტენიანობის დაცვა ხელს უწყობს როგორც ნიადაგის, ასევე მიწისზედა ორგანოების მავნებლების გავრცელებას (სტორმი სპარკს, 2003).

ნიადაგის მავნებლებმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეამცირონ ნათესის განვითარების უნარი თესლის ან აღმოცენებული ჩითილის დაზიანებით. საჩივრულ მუხრნობაში ნიადაგის მავნებლების მიმართ ბრძოლის ღონისძიების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მიჩნეულია



ბოსტნეული კულტურების კონტეინერებში ან კასეტებში მოყვანა (ვიკტორ როშკა, 1999). ეს მეთოდი მნიშვნელოვნად ამცირებს ნიადაგის დეზინფიცირებას და/ან ინსექტიციდების გამოყენებას და მიჩნეულია მეთილბრომიდის ერთერთ ალტერნატივად. (daniel j. kantlife, nikol Sou, margaret smiter-koperli, filip a. stensli, ფლორიდას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1995) სწორედ ამიტომ, მსოფლიოს სასათბურე მეურნეობებში დღითიდღე იზრდება ჩითილების კონტეინერებში ან კასეტებში მოყვანის ტექნოლოგიის პოპულარობა (ა. ს. ბონტი 1988)



სურათი 2. საჩითილე მეურნეობა ისრაელში

ჩითილების მოყვანის კასეტური სისტემა პირველად გამოყენებული იქნა 60-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში. 80-იან წლებში ასეთმა მეთოდმა გავრცელება ჰპოვა ევროპაშიც. ინგლისში, ჰოლანდიასა და ისრაელში ბოსტნეული კულტურების თითქმის ყველა სახეობა როგორცაა პომიდვრის, კიტრის, წიწაკის, ბადრიჯნის, ბახჩეული კულტურების, ხახვის და სხვა ბოსტნეული კულტურების ჩითილები მხოლოდ კასეტებში მოჰყავთ (სურათი 2).

რა უპირატესობით ხასიათდება ეს მეთოდი ტრადიციულ მეთოდთან შედარებით?

<b>ჩითილების მოყვანა</b>	
<b>კასეტებში</b>	<b>ნიადაგში (ტრადიციული მეთოდი)</b>
<b>უპირატესობა</b>	
ხელით შესასრულებელი სამუშაოების მინიმუმამდე შემცირება	არ საჭიროებს კვალიფიცირებულ მუშახელს
თანაბარი, ერთგვაროვანი ჩითილი	არ საჭიროებს სპეციალურ მოწყობილობებს
იზრდება ჩითილების რაოდენობა 1კვ.მ-ზე	მცენარეს აქვს წყლისა და საკვების ოპტიმალური მარაგი
იზრდება პროდუქციის ბრუნვის ჯერადობა	
თესლის ეკონომია	
თბო-ენერჯის ეკონომია	
ნიადაგისგან იზოლირებული მცენარის დაავადებებისა და მავნებლებისაგან დაზიანების ხარისხი მინიმუმამდე შემცირებული	
არ საჭიროებს ნიადაგის დამუშავებას ფუმიგანტებით;	
გადარგვისას სრული შეგუებლობა ახალ გარემოსთან	
2-3 კვირით ადრეული მოსავალი	
<b>უარყოფითი მხარეები</b>	
პატარა მოცულობის უჯრედები საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას	მძიმე სამუშაოები
საჭიროებს საწყისს კაპიტალდაბანდებებს	თესლის დანაკარგი
	გადარგვისას ფესვთა სისტემის დაზიანება
	ჩითილის ინფიცირება ნიადაგის მავნებელ-დაავადებებით
	ჩითილი გადარგვისას ძნელად ეგუება ახალ გარემოს
	უხარისხო ჩითილების მაღალი

	პროცენტი
	არაერთგვაროვანი ჩითილი

**ხელოვნური სუბსტრატი** მიხნეულია, როგორც მეთილბრომიდით ნიადაგის ფუმიგაციის ერთერთი ეფექტური ალტერნატივა. ხელოვნურ სუბსტრატში იგულისხმება ნიადაგის შემცველი საშუალებები, როგორცაა ტორფი, პერლიტი, ვერმიკულიტი ცელოითი და მათი ნარევი. ხელოვნურ სუბსტრატზე ბოსტნეული პროდუქციის მოყვანის მეთოდის დანერგვამ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში ნათლად დაანახა ფერმერებს ტექნიკური და ეკონომიკური სარგებელი მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლისას, განსაკუთრებით კი მეთილბრომიდის გამოყენებასთან მიმართებაში (Braun and Supkoff. 1994). მაგრამ ამ მეთოდს ერთი დიდი უარყოფითი მხარე აქვს - მაღალკვალიფიცირებული აგრონომის უდიდესი პასუხისმგებლობა უზრუნველყოს მცენარისათვის საკვები ნივთიერებების წყალხსნარის დაბალანსებული მიწოდება და მცენარის ზრდა-განვითარებისათვის ოპტიმალური კლიმატური პირობების შექმნა (Charles W. Marr, 1994). ხელოვნურ სუბსტრატზე პროდუქციის მოყვანის მეთოდის დადებითი მხარეები:

- ტექნოლოგიის ზედმიწევნით დაცვისას ნიადაგის მავნებლების, განვითარებას ადგილი არა აქვს. მნიშვნელოვნად მცირდება ინსექტიციდების გამოყენების აუცილებლობა;
- ოპტიმალური მიკროკლიმატის შენარჩუნებისას დაავადებების განვითარების რისკი მუნიუმამდელა შემცირებული;
- წყლის ეკონომიური ხარჯვა, რაც ასევე დაკავშირებულია გარემოს დაცვასთან;
- ხელოვნურ სუბსტრატზე მოყვანილ კულტურების ფესვთა სისტემას საკვებ ნივთიერებების წყალხსნარით მორწყვისას

გამუდმებით მიეწოდება ჟანგბადი, და გამოიდევნება ნარჩენი აირები.

- შესაძლებლობები და პირობები, რომლებიც შეიძლება სწრაფად შეიცვალოს სპეციფიკური კულტურების მიკროკლიმატის ან მცენარის ზრდის სხვადასხვა სტადიების მიმართ მოთხოვნებიდან გამომდინარე (ჰოვარდ რეში (Howard M. Resh, Ph.D. 1997)).

სასოფლო სამეურნეო კულტურების ხელოვნურ სუბსტრატზე მოყვანის კიდევ ერთი დადებითი მხარე ის არის, რომ ჩითილებს ფესვთა სისტემა ძლიერად უვითარდებათ და შეუძლიათ მეტი ენერჯია დახარჯონ მცენარის განვითარების შემდგომ ეტაპებზე, რაც თავის მხრივ უხემოსავლიანობის გარანტიაა და ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანი (Cropking 1996). ხელოვნურ სუბსტრატზე კულტურების მოყვანის მეთოდის გამოყენებისას, ფერმერს შეუძლია უფრო მეტი ჩითილის მოთავსება ერთ კვადრატულ მეტრზე, რაც ასევე საბოლოო ჯამში ეკონომიკურ სარგებელს იძლევა.

ხელოვნურ სუბსტრატზე ბოსტნეული კულტურების მოყვანის ტექნოლოგია ეფექტურად განხორციელდა საქართველოშიც, საგურამოს საჩითილე-სასათბურე მეურნეობაში (სურათი 3).



სურათი 3. საგურამოს საჩითილე მეურნეობა

გამოყენებული იქნა სუბსტრატის სხვადასხვა ტიპები, კერძოდ ტორფის, ცეოლითის და პერლიტის სუბსტრატები. აღნიშნული საკვები არით შევსებულ კონტეინერებში მავნებლის არსებობა არ შეინიშნებოდა, მაშინ, როდესაც კონტროლში მათი საკმაო რაოდენობა იყო (ჭანტურია, 2006).

ნიდერლანდებში, სადაც სასათბურე მეურნეობები ძალზედ განვითარებულია, ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი რაოდენობით გამოიყენებოდა მეთილბრომიდი პომიდვრის, სალათისა და კომბოსტოს, კიტრის, მარწყვის კულტურებში ნიადაგის პათოგენების გაუვნებლყოფისათვის (Joe J. Hanan, 1997). ალტერნატივების ძიებამ დასაბამი მისცა სასათბურე მეურნეობებში ქიმიური და არაქიმიური ტექნოლოგიების განვითარებასა და დანერგვას. ეს მეთოდები ნიადაგის სოლარიზაციას, ორთქლით დამუშავებას, ნიადაგის მულჩირებას სხვადასხვა ფერის ფირებით ან ინერტული და ბიოლოგიური მასალით, მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ მდგრადი ჯიშების შერჩევას, ნიადაგის შემცველ

სუბსტრატებისა და აგროტექნიკური საშუალებების გამოყენებას (მაგ: სათბურების ბადეებით შემოფარგვლას) გულისხმობს (Erin Rosskopf, Alternatives to Methyl Bromide, Florida Perspective, June, 2005).

**ნიადაგის სოლარიზაცია** მეთილბრომიდის ერთერთ ალტერნატივად არის მიჩნეული დახურულ გრუნტში ნიადაგის პათოგენების საკონტროლოდ და ემყარება ნიადაგის მზის სხივებით პასტერიზაციას მინიმუმ 40C გრადუსამდე. ამ მეთოდის გამოყენებისას დასამუშავებელი ნიადაგის ზედაპირი იფარება გამჭვირვალე, ულტრაიისფერი სხივებისადმი გამძლე პოლიეთილენის თხელი ფენით (50-100მკრ). ნიადაგის სოლარიზაცია ტარდება თესვამდე, ნიადაგის დამუშავების შემდეგ. მაღალი შედეგებია მიღებული ნემატოდების წინააღმდეგ ნიადაგის სოლარიზაციით უზბეკეთში, სადაც 100 სმ<sup>2</sup> ნიადაგში ნემატოდების რაოდენობა სათბურებში 1700-ს აღწევდა. სოლარიზაციის შედეგად 25 დღის განმავლობაში ეს მავნებელი არ აღნიშნულა (Хыпратов, 1990).

ამ მეთოდს დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, კერძოდ,

**dadebi T i mxar eebi :**

1. მეთილბრომიდზე იაფი;
2. განსახორციელებლად შედარებით მარტივი;
3. არ ახასიათებს ტოქსიკურობა;
4. ხელს უწყობს სასარგებლო მიკროორგანიზმების განვითარებას ნიადაგში;
5. ნიადაგის ნაყოფიერება იზრდება;
6. დაავადებათა წინააღმდეგ კონტროლის გრძელვადიანი ეფექტი;

**uar yo f i T i mxar eebi :**

1. სოლარიზაციის პროცესს ხანგრძლივი დრო სჭირდება;
2. აუცილებელ პირობას წარმოადგენს მზიანი დღეების რაოდენობა;

3. არ აკონტროლებს ნიადაგის მავნებელთა სრულ სპექტრს, ამიტომ ეფექტის მისაღებად სხვა მეთოდთან კომბინაციაში გამოყენებას საჭიროებს (Dave Adams, 2005);

არაქიმიურ მეთოდებს შორის ასევე დიდი ეფექტურობით ხასიათდება ნიადაგის მულჩირება, რომელიც აკონტროლებს სასათბურე მეურნეობაში სარეველების აღმოცენება-გავრცელებას. ამ მეთოდს წარმატებით იყენებენ ჰოლანდიის, ამერიკის, ესპანეთის და ისრაელის სასათბურე მეურნეობებში (Omar Zaidan, 2002).

ნიადაგის ფიზიკური მეთოდებით დამუშავებას განეკუთვნება ორთქლით დამუშავებაც, რომელიც არაშერჩევითი საშუალებაა და უარყოფითად მოქმედებს არაპათოგენურ მიკროორგანიზმებზე. ორთქლით დამუშავება მეთილბრომიდის ყველაზე ძვირადღირებული ალტერნატივაა.

საქართველოში, მეთილბრომიდის ალტერნატივების შესასწავლად საინტერესო სამუშაოები ჩაატარეს ზ. ლოლაძემ, მ. მათიაშვილმა, მ. ფარცვანიამ (ლოლაძე, მათიაშვილი, პარცვანია 2005). მათ მიერ სათბურში პომიდვრის კულტურაზე გამოცდილია დაზომეტი და მეტამსოდიუმი ბიოფუმიგაციასა და სოლარიზაციასთან ერთად. ბიოფუმიგაცია განხორციელდა ნიადაგის შავი ფირით დაფარვით. ერთდროულად ვარიანტების მიხედვით გამოიყენებოდა დაზომეტი, მეტამსოდიუმი და მეთილბრომიდი (ეტალონი).

მეტამსოდიუმი ნიადაგის ფართო სპექტრის ფუმიგანტია, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ნემატოდების, ასევე სარევეებისა და სოკოვანი დაავადებების მაკონტროლირებელ საშუალებად. მაგრამ ზოგიერთი დაავადებებისა და ნემატოდების წინააღმდეგ იგი ისეთივე ეფექტური არ არის, როგორც მეთილბრომიდი. მეტამსოდიუმი ინტეგრირებული პესტ მენეჯმენტის (IPM) ნაწილია და იგი მეტად ეფექტურ შედეგებს იძლევა თუ მას გამოვიყენებთ სხვა საშუალებებთან კომპლექსში (გამძლე ჯიშების

დანერგვა, ბიოაგენტები და ნიადაგის სტერილიზაცია). მეტამსოდიუმის უარყოფით თვისებას წარმოადგენს მისი არადისპერსიულობა ნიადაგში.

დაზომეტი (ბაზამიტი) ეფექტურად აკონტროლებს სარეველებს, ნემატოდებს, სოკოვან პათოგენებს. უნდა აღინიშნოს, რომ მისი გამოყენება ამერიკის შეერთებულ შტატებში ნებადართული არ არის საკვები პროდუქტების მოსაყვანად. ცივი კლიმატის პირობებში დაზომეტისათვის ლოდინის პერიოდი 60 დღეს წარმოადგენს. ასევე აღსანიშნავია, რომ იგი ეფექტურია მხოლოდ სათანადოდ გამოყენების შემთხვევაში, ანუ მისი არევა ნიადაგში უნდა მოხდეს სასურველ სიღრმეზე. ამასთანავე ჩნდება გრუნტის წყლების დაბინძურების საშიშროების საკითხიც.

არსებობენ მეთილბრომიდის სხვა ქიმიური ალტერნატივები, როგორცაა 1,3 დიქლოროპროპენი, ქლოროპიკრინი, ბრომონიტრომეთანი, ენზონი და სხვა.

მიწისზედა მავნებლების წინააღმდეგ აგროტექნიკური საშუალებებიდან ეფექტურობით ხასიათდება სათბურების ბადეებით შემოღობვა, რაც საშუალებას იძლევა დაიცვას სათბურის ტერიტორია გარე გრუნტიდან მავნებლის შემოღწევისაგან, ამავე დროს ბადე ერთგვარად ინარჩუნებს დახურულ გრუნტში არსებულ მიკროკლიმატს და ამცირებს ენერგოდანახარჯებს. ეს მეთოდი ფართოდ დანერგილია ისრაელსა და ესპანეთში (სურათი 4).





სურათი 4. ისრაელის სასათბურე მეურნეობა

ბოსტნეული კულტურების (პომიდორი, კიტრი, ბადრიჯანი ბულგარული და წითელი წიწაკა, კომბოსტოსნაირები და ბახჩეული) მიწისზედა მავნებლების მიმართ ბრძოლის ქიმიური ღონისძიებების შემუშავების მიზნით თავდაპირველად გამოვლინდა ძირითადი მავნებლები - სათბურის ფრთათეთრა, პომიდორის ჟანგა ტკიპა, აბლაბუდიანი ტკიპა, ბუგრები, კომბოსტოს თეთრულა, კომბოსტოს ჩრჩილი.

სათბურის ფრთათეთრა (*Trialeurodes vaporariorum*) ალეიროიდების (*Aleurodinae*) ქვეჯგუფს მიეკუთვნება, პოლიფაგია, აზიანებს მცენარეების 200-ზე მეტ სახეობას (სურათი №5). მათ შორის ბევრი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა – პომიდორი, კიტრი, წიწაკა, ლობიო, თამბაქო და სხვა.



სურათი №5 სათბურის ფრთათეთრა *Trialeurodes vaporariorum*

სათბურის ფრთათეთრას ბიოლოგიურ თავისებურებებს მრავალი მკვლევარის შრომა მიეძღვნა. გასული საუკუნის 60-80-იან წლებში ამ საკითხებით დაინტერესდნენ რუსეთში – ნოვიკოვი (Новикова, 1984), მოლდოვაში – ზაბუდსკაია (Забудская, 1977, 1978), შუა აზიაში – შაიმარდანოვი (Шаимарданов, 1981), ადაშკევიჩი და ჯადიროვი (Адашкевич, Джадиров, 1984, 1986, 1988).

საბჭოთა კავშირში სათბურის ფრთათეთრას ბიოლოგიისადმი მიძღვნილი პირველი სერიოზული შრომა გამოვიდა 1940 წელს (Савздарг, 1940). მოგვიანებით გამოჩნდა შრომები, სადაც უფრო დეტალურად იყო აღწერილი ამ მავნებლის გამრავლების და გავრცელების ძირითადი მომენტები (Кулиев, 1959; Дануинч, 1964, 1969; Тумасян, Маркосян, 1976; Треидин, 1982, ჭავჭავანიძე 1954).

დასურულ გრუნტში სათბურის ფრთათეთრას განვითარება მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში და შესაძლებელია მოგვცეს 12 თაობა. კოლონიებში ერთდროულად გვხვდება მავნებლის განვითარების ყველა ფაზა (Шаирмазанов, 1981; Адашкевич, 1986).

განაყოფიერებული დედლები დებენ კვერცხებს, რომლებისგანაც გამოიჩეკებიან როგორც დედლები, ასევე მამრები. კვერცხის განვითარების ფაზა ტემპერატურაზე დამოკიდებული და გრძელდება 4-დან 7 დღემდე. განვითარების ქვედა ზღვარია  $+8^{\circ}\text{C}$ , ზედა  $+32^{\circ}\text{C}$ , (Сидлярович, 1984; Новикова, 1984, ККajita, 1983). პირველი ხნოვანებისმატლების განვითარების ხანგრძლივობა  $29-30^{\circ}\text{C}$ -ზე შეადგენს 4-6 დღეს (Kowalska, Szepanska, 1980).

სათბურის ფრთათეთრას ნაყოფიერების შესახებ ლიტერატურულ წყაროებში მრავალი და ზოგჯერ განსხვავებული მონაცემებია მოყვანილი.  $16-17^{\circ}\text{C}$ -ის პირობებში თითოეული დედალი დებს 130 კვერცხს (Савздарг, 1990) ონილონის მონაცემებით (Onillon, 1977), საფრანგეთში  $17^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე ნაყოფიერება შეადგენდა 440 კვერცხს  $27^{\circ}\text{C}$ -ზე კი 140-ს. ლებედევის მონაცემებით (ლებედევ, 1983),  $20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა და 80% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის პირობებში დედალი 280 კვერცხს დებს,  $25^{\circ}\text{C}$ -ზე – 200-ს,  $30^{\circ}\text{C}$ -ზე კი მხოლოდ 30-ს. ბულგარეთში, ხრისტოვას მონაცემებით (Христова, 1984)  $22-23^{\circ}\text{C}$  გრადუსზე და 70% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის პირობებში დედალი 85 კვერცხს დებს. მოლდოვაში ეს საკითხები განხილული აქვს ზაბუდსკაიასა და პოპოვას (Забудская, Попова, 1983).

საქართველოში სათბურის პირობებში ფრთათეთრას ნაყოფიერების შესახებ მონაცემებს ვხვდებით აგეკიანის (Агекян, 1967) შრომაში.  $20-25^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისა და 80% ჰაერის ტენიანობის პირობებში მავნებელი დებს საშუალოდ 200 კვერცხს. ამავე საკითხებს ეძღვნება ჭავჭავანიძის (1964) ნაშრომი. მისი მონაცემებით, სათბურებში, სადაც ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ  $25,8^{\circ}\text{C}$ -ია, და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა – 67%, ემბრიონული განვითარების ხანგრძლივობა 7 დღეა. ჰაერის ფარდობითი ტენიანობის ცვალებადობა მავნებლის განვითარების

ხანგრძლივობის მნიშვნელოვან ცვალებადობას არ იწვევს. განსაკუთრებით დიდ ზიანს მცენარეებს ზაფხულის პირველ ნახევარში აყენებს.

ლიტერატურული მონაცემებით (Лебедев, 1983, Савдарг, 1940) ორანჟერიის ფრთათეთრა ღია გრუნტში 4 თაობას იძლევა, დახურულ გრუნტში კი ბევრად მეტს.

ფრთათეთრას განვითარების ხანგრძლივობა სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა ვადებით არის დაფიქსირებული. ჰოლანდიელ მეცნიერთა მონაცემებით, (Nell, 1976) და ნორვეგიელი მკვლევარის სტენსეტლის (Stensetl, 1976) მიხედვით, 15C°-ზე მავნებლის განვითარება მიმდინარეობს 50-51 დღის განმავლობაში, მაშინ, როდესაც სავზდარგის (Савдарг, 1940) დაკვირვებებით მავნებლის განვითარების ხანგრძლივობა კვერცხის ფაზიდან იმაგომდე 16-17C°-ზე შეადგენს 25 დღეს. ბელორუსიაში ნოვიკოვას მონაცემებით (Новикова, 1984) სათბურის ფრთათეთრას ერთი თაობის განვითარებას მუდმივ 14C°- ტემპერატურაზე სჭირდება 47 დღე. აგეკიანის (Агекян, 1967) მონაცემებით 25-30C°-ზე და 80% ტენიანობის დროს ერთი თაობის განვითარება 30-40 დღის განმავლობაში მიმდინარეობს.

სათბურის ფრთათეთრა ძირითადად სათბურებში იზამთრობს. მცირეა მონაცემები მისი ბუნებრივ პირობებში გამოზამთრობის შესახებ. ევროპაში იგი ღია გრუნტში არ ზამთრობს.

მავნებელ ფრთათეთრას მატლები, რომლებიც ფოთლებისაგან წოვენ წვენს, იწვევენ მათ გაუფერულებას, გაყვითლებას. ხოლო, მასობრივი გამრავლების დროს – გახმობას და ცვენას. მათი გამონაყოფი აჭუჭყიანებს ფოთლებსა და ნაყოფებს. ამ გამონაყოფებზე ვითარდება სოკო – *Cladosporium sphaerosperum* Renz, რომლის შავი ნალექი ფარავს ფოთლებს და ამცირებს ფოტოსინთეზის ინტენსივობას, რასაც შეიძლება მცენარის დაღუპვა მოჰყვეს.

სათბურში ორანჟერიის ფრთათეთრას განვითარების თავისებურებებში დეტალურად აქვს შესწავლილი რ. სხირტლაძეს. მისი მონაცემებით, ფრთათეთრას რიცხოვნობის ზრდა და მავნეობა აღინიშნება აპრილის ბოლოდან – მაისის ბოლომდე, პიკს კი ივლისში აღწევს, რის შემდეგ მაღალი ტემპერატურის გავლენით რიცხოვნობა ეცემა (Схиртладзе, 1993).

90-იან წლებში ფრთათეთრას მავნეობის პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა. სპეციალისტების შემფოთებას ის ფაქტი იწვევდა, რომ ფრთათეთრა კარგად ვითარდებოდა სათბურის გარეთ, რაც აძნელებდა მის წინააღმდეგ ბრძოლას (Кулик, Тимошин, 1990).

სათბურის ფრთათეთრასთან ბრძოლისათვის გამოიყენება ღონისძიებათა კომპლექსი: სამეურნეო ორგანიზაციული, აგროტექნიკური, ქიმიური და ბიოლოგიური. პროფილაქტიკური ღონისძიებები მიმართულია ფრთათეთრას მარაგის გასანადგურებლად გაზაფხული-ზამთრის ციკლის დამთავრების შემდეგ. მრავალ სასათბურე კომპლექსებში მნიშვნელოვან ღონისძიებებად ითვლება კულტურათა ცვლა, მცენარეული ნარჩენების მოცილება, ნიადაგის ზედა ფენის, სათბურის კედლების და მიწების დამუშავება პესტიციდით (Бегляров, 1984, 1983, Лекვიშვილი, 1984).

ფრთათეთრას დიდი რიცხოვნობის დროს სათბურებში მოსავლის აღების შემდეგ ახდენენ ფუმიგაციას გოგირდის საშუალებით.

ქიმიური მეთოდი ერთ-ერთი წამყვანია, ფრთათეთრასთან ბრძოლაში, მაგრამ ქიმიური ბრძოლა ამ მავნებლებთან გაძნელებულია იმის გამო, რომ ცალკეული ფაზები გამძლეა მრავალი პესტიციდებისადმი, გარდა ამისა, მავნებელი ადვილად, მოკლე დროში გამოიმუშავებს გამძლეობას პესტიციდების სხვადასხვა ჯგუფის მიმართ (Абрамов, 1986, Зилерминц, 1984, French, Ludlem, Wardlow, 1985, Fleg Nora, 1983).

სათბურის ფრთათეთრას წინააღმდეგ პესტიციდების ეფექტურობის შესახებ მიუთითებს ლასკა (Laska, 1986).

პესტიციდების გამოყენება თავდაპირველად მაღალ ეფექტურობას იძლეოდა, იგი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გამოიყენებოდა (XogJeev, 1983; Vidate, 1986, Black at al, 1986) თუმცა უნდა აღინიშნოს ამ ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლის - ტალსტარის (ბიფენტრინი) მაღალ ეფექტურობა. ამ პრეპარატის შექმნამდე სათბურებში მომუშავე სპეციალისტები უმწეონი იყვნენ ამ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლაში. ტალსტარის დანერგვის შემდეგ კი ფრთათეთრას რიცხოვნობა მნიშვნელოვნად შემცირდა. გარდა ლეტარული მოქმედებისა, ამ პრეპარატს აქვს რეპელენტური აქტივობა სათბურის ფრთათეთრას განვითარების ყველა ფაზისათვის, იგი აქტიურია ტკიპების და ბუგრების მიმართაც, რაც მავნებელთა კომპლექსის მიმართ ერთობლივი ბრძოლის საშუალებას იძლევა (Савздарг, 1998).

საქართველოში გამოცემულია რეკომენდაციები ფრთათეთრას წინააღმდეგ ქიმიური ბრძოლის მეთოდის გამოყენების შესახებ (Лекვეიშვილი, იმნაძე, 1982). ამავე საკითხებს ეძღვნება სხვა ავტორთა შრომები (ბურთიკაშვილი, 1994, ორჯონიკიძე, 1998, ორჯონიკიძე, სეინიშვილი, მაჭავარიანი, 2000).

მალე გამოჩნდა პირეტროიდების მიმართ სათბურის ფრთათეთრას რეზისტენტული პოპულაციები, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ (Абрамова, 1986, Gould, 1980, Flag, Horn, 1983). მანამდე კი გამოვლინდა ამ მავნებლის რეზისტენტობა ფოსფორორგანული პრეპარატების მიმართ (Osborne, 1981; Лекვეიშვილი, Сеинишვილი, Орджоникидзе, Мараверина, 1986). თუმცა, ადრე ეს პრეპარატები დიდი წარმატებით სარგებლობდნენ. ამ ჯგუფის პრეპარატების გამოყენება შეწყდა და გადავიდნენ ყვითელი ფერის დამჭერებზე, რომლებზეც წასმული იყო ენტომოლოგიური წებო, ამავედროულად გამოიყენებოდა

ენკარზია. პირეტროიდების აღმოჩენასთან ერთად კვლავ დაუბრუნდნენ ბრძოლის ქიმიურ მეთოდს, მაგრამ პირეტროიდების მიმართაც მავნებელს გამოუმუშავდა გამძლეობა. გამოვლენილია დეცისის და ციმბუშის მიმართ მაღალი რეზისტენტობის დონე. უკანასკნელ წლებში გამოიყენება კონფიდორი, მოსპილანი და კალიფსო, რომელთა მიმართ სათბურის ფრთათეთრამ მაღალი მგრძობიარობა გამოამჟღავნა, ხოლო ენკარზიის მიმართ ისინი პრაქტიკულად უსაფრთხონი არიან (Захидов, 2001).

სათბურის ფრთათეთრას წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს მისი პოლიფაგობა – იგი მრავლდება მცენარეთა მრავალ სახეობაზე. ბორისოვისა და ახატოვის მითითებით (Борисов, Ахатов, 1991) ფრთათეთრას წინააღმდეგ პირველ რიგში უნდა ჩატარდეს ორგანიზაციული და აგროტექნიკური ღონისძიებები, გამოყენებული უნდა იქნას ყვითელი წებოვანი დამჭერები. ავტორები ურჩევენ აგრეთვე ენკარზიის გაშვებას, მაგრამ ეს ღონისძიება მავნებლის ფართოდ გავრცელების შემთხვევაში საკმარის ეფექტურობას არ იძლევა (Яркулов, 2002). მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელი შედეგები მხოლოდ მე-7, მე-8 დღეს მიიღება. მაღალი ეფექტი მიღებულია აპლაუდის გამოყენებით, რომელიც მთლიანად სპობს მატლებს, ნიმფებს და კვერცხებიდან გამოსულ პირველ ხნოვანების მატლებს.

სათბურის ფრთათეთრას მიმართ კომპლექსური ღონისძიებების გამოყენებას ურჩევს კოტეტიშვილი (კოტეტიშვილი, 1995). მის მიერ ყვითელი წებოვანი დამჭერებისა და აპლაუდის ერთობლივი გამოყენებით მიღებულია მაღალი ეფექტურობა.

კონფიდორის მაღალ ეფექტურობაზე მიუთითებს ბოჩკაროვი (Боцкарев, 2001). ეს პრეპარატი გამოიყენება ნიადაგში შეტანით 1-1,7ლ/ჰა-ზე. ამ გზით გამოყენებული კონფიდორი ეფექტურია სათბურის ფრთათეთრას როგორც იმაგოს, ასევე მატლების მიმართ. ნიადაგში შეტანიდან 3

დღის შემდეგ მავნებლის რიცხოვნობა შემცირდა 93%-ით, 14 დღის შემდეგ 91%-ით, 21 დღის შემდეგ კი 84%-ით. კალიფსოსა და კონფიდორის მაღალ ეფექტურობაზე მიუთითებს სახაროვაც (Сахарова, 2002).

საქართველოში სათბურის ფრთათეთრას მიმართ მაღალეფექტური აღმოჩნდა პრეპარატი პეგასი, რომლის გამოყენებიდან 12 საათის შემდეგ მისი ეფექტურობა 24-32% იყო, შემდეგ იგი იზრდებოდა და მე-3, მე-7, მე-9 დღეებში 95,3-98,8% შეადგენდა, მე-14 და 21-ე დღეს კი შემცირდა 86-95%-მდე. (ლოლაძე, ღვინევაძე, 1998). მაღალეფექტურია აგრეთვე კონფიდორის, აქტარას, კინმიქსისა და კალიფსოს გამოყენება (ჭანტურია, 2003).

უკანასკნელ წლებში სათბურის ფრთათეთრას წინააღმდეგ წარმატებით გამოიყენება პირიდინის წარმოებულები-ნიტროიმიდოზოლიდინები. იაპონიაში ქ. გიფას უნივერსიტეტში სინთეზის გზით მიღებული იქნა 200-ზე მეტი ნაერთი და მათი სტრუქტურების მოდიფიცირებით აღმოჩენილი იქნა ქლორნიკოტინის ჯგუფის ნაერთების მაღალი ინსექტიციდური აქტივობა. ამ ნაერთებში მიიღეს ნეონიკოტინების სახელწოდება. შესაბამისი გარდაქმნების შედეგად მიღებული იქნა იმიდოკლოპრილი. იგი მოქმედებს მწერის ნერვულ სისტემაზე. სათბურის ფრთათეთრას წინააღმდეგ გამოიყენება მეტად დაბალი ხარჯვის ნორმით – 30-100 გ/ჰა-ზე. მაღალეფექტურობას ამჟღავნებს ამ ჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენელი – აცეტომიპრილი, რომლის საფუძველზე, თავის მხრივ შექმნილია სისტემური ინსექტიციდი – მოსპილანი, რომელსაც აქვს კონტაქტური ნაწლავური მოქმედება. სათბურის ფრთათეთრას მიმართ მისი 0,15 და 0,2 კგ/ჰა ხარჯვის ნორმით გამოყენებით კიტრზე მიღებულია 85%-იანი ეფექტურობა. მაქსიმალური შედეგები მე-7 დღეს არის მიღებული. 21-ე დღეს



მავნებლის რიცხოვნობა აღდგა საწყის რიცხოვნობამდე (Рославцева, 2000; Кагава, 1996; Грапов, 1998; Ахматов, Сабирова, 1999; Jamamoto, 1996).

მაღალი ეფექტურობა აჩვენა ახალმა კარბამატულმა პრეპარატმა მარშალმა, რომლის გამოყენებით მავნებლის სიკვდილიანობამ მე-3 დღეს 87,9% შეადგინა. დამცავი მოქმედება გაგრძელდა 21 დღეს (ჭანტურია, 2006).

რეზისტენტობის თავიდან აცილების ერთ-ერთი პერსპექტიული საშუალება არის სხვადასხვა მოქმედების მექანიზმების მქონე პესტიციდების როტაცია. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მწერების ზრდისა და განვითარების რეგულატორები. იუვენოიდები, რომელთა მოქმედების მექანიზმი დაკავშირებულია მწერის ორგანიზმში ჰორმონალური ბალანსის შეუქცევად დარღვევასთან. ხდება ემბრიოგენეზისა და მეტამორფოზის პროცესების ნაწილობრივი ან მთლიანი ბლოკირება, ნორმალური განვითარების დარღვევა, რაც იწვევს სტერილურობას ან ნაყოფიერების დაქვეითებას. (Новикова, Буров, 1987). მოკროუსოვასა და სხვა თანაავტორების მიერ (Мокроусова, Степаничева и др, 2000). სათბურის ფრთათეთრას მიმართ გამოყენებული იქნა პირიპროქსიფენი და მეტოპრენი. მათ მავნებლის სიკვდილიანობა არ გამოუწვევიათ, მაგრამ 50%-ით შეამცირეს მატლების გამოჩეკა.

სათბურის ფრთათეთრას წინააღმდეგ ინტეგრირებულ დონისძიებათა სისტემაში მიკრობიოლოგიურ პრეპარატებისა და ზრდის რეგულატორების გამოყენებას ურჩევს ავტორთა ჯგუფი (Мамевосян, Кузашев, Езаоев и др 2001).


ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების პერსპექტიულობაზე სათბურის მავნებლის – სათბურის ფრთათეთრას და ტკიპების მიმართ მიუთითებენ ჩერმენსკაია და ბუროვი (Черменская, Буров, 1998). მათ მიერ ამ მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის მცენარეების 217 სახეობიდან გამოყოფილია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები,

მათგან 40-ს აღმოაჩნდა ინსექტოაკარიციდული აქტივობა. სათბურის ფრთათეთრას რიცხოვნობის ნაწილობრივ შეზღუდვას იწვევს ფიჭვის და ნაძვის ექსტრაქტები (ჩერმენსკაია, 1999).

წებოვანი დამჭერების და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყენების ეფექტურობაზე მიუთითებენ ჩერმენსკაია და პეტროვა (Черменская, Петрова, 2005). მათ მიერ გამოყენებულია ყვითელი წებოვანი დამჭერები, რომელზეც გადატანილი ქონდათ დაფნის აცეტონიანი ექსტრაქტი. იმ ვარიანტში, სადაც ექსტრაქტი ემატებოდა უშუალოდ წებოს, დაჭერილი ფრთათეთრას იმაგოს რაოდენობა 1,6-ჯერ მეტი იყო კონტროლთან შედარებით, ხოლო იმ ვარიანტში სადაც ექსტრაქტი გადაჰქონდათ წებოს ზედაპირზე, დამჭერები იზიდავდნენ 2,4-ჯერ მეტ პეპელას.

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (ექსტრაქტები კამის, ასფურცელას, ქაფურის და სხვა) შესხურებით კიტრის ფოთლებზე მიზიდული იყო 7-11-ჯერ მეტი ფრთათეთრას იმაგო და 14-30-ჯერ მეტი კვერცხი დაიღო (Мокроусова, Шамиев, Буров, 2005).

სათბურის ფრთათეთრას მიმართ მნიშვნელოვანია ბიოტექნიკური და ბიოლოგიური საშუალებების გამოყენება. საქართველოში ენკარზიის გამოყენებას ურჩევენ სხირტლაძე და კოტეტიშვილი (Схиртладзе, 1993; კოტეტიშვილი, 1995) (სურათი №6).




სურათი №6 სათბურის ფრთათეთრას ბუნებრივი მტერი ენკარზია *Encarsia Formosa*

ენკარზიის მაღალ ეფექტურობაზე მიუთითებს იარკულოვიც მხოლოდ სათბურის ფრთათეთრას დაბალი რიცხოვნობის პირობებში (Яркулов, 2002) ან პროფილაქტიკის მიზნით, ეს უკანასკნელი კი ბევრად გამართლებულია და დიდი ეფექტურობითაც გამოირჩევა (Syngenta Bioline, *Encarsia Formosa*, Pest Management and Identification). როგორ მუშაობს ენკარზია? ენკარზიას ჭუპრებს, რომლებიც მიმაგრებულნი არიან ქადალდზე, განათავსებენ მცენარეების ღეროზე ან ფოთლებზე. ჭუპრებიდან იჩეკებიან მდედრები, რომლებიც ეძებენ ფრთათეთრას მატლებს, ღებენ კვერცხებს მატლებში, მატლები ამ დროს არ იღუპებიან და აგრძელებენ ცხოველმყოფელობას. ენკარზიას კვერცხებიდან გამოჩეკილი მატლები იკვებებიან ფრთათეთრას მატლების შიგთავსით, ინფეცირებიდან დაახლოებით 8 დღის შემდეგ დაღუპული ფრთათეთრას მატლები შავ ფერს იღებენ, ხოლო ენკარზია გადის ჭუპრისა და იმაგოს სტადიას და ისევ მრავლდება. აღსანიშნავია, რომ მავნებლის მაღალი რიცხოვნობისას ენკარზია ვერ უმკლავდება მავნებელს და აუცილებელი ხდება ინსექტიციდების გამოყენება.

ევროპაში სასათბურე ბიო-პროდუქტის მიღების ტენდენცია უფრო და უფრო მატულობს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით განუხორციელებელი ოცნებაა დაიცვან სასათბურე მეურნეობები მხოლოდ ბიოლოგიური საშუალებებით, ამიტომ ამ პროდუქციაზე დაწესებულია მკაცრი კონტროლი. ფერმერები ვალდებული არიან წარადგინონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა ასოციაციაში ანგარიში ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებების გამოყენების შესახებ. ეს ასოციაცია ამოწმებს პროდუქციაში პესტიციდების ნაშთების არსებობას (Ижевск, 1998).

ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა (*Tetranychus urticae* Lutr) აზიანებს სხვადასხვა მცენარეების 500-ზე მეტ სახეობას (სურათი №7). დაზიანებას იწვევს როგორც სათბურებში, ისე ღია გრუნტში. ფოთლების ქვედა მხარეზე დასახლებული ტკიპები წუწნიან ფოთლებიდან წვეწვსა და ქლოროფილს, რის გამოც ისინი ყვითლდებიან და ხმებიან. მასობრივი გამრავლების დროს აზიანებენ ღეროსა და ყლორტებს.



სურათი №7 ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა *Tetranychus urticae* Lutr

ზამთარს ატარებენ ძირითადად განაყოფიერებული დედლები ნიადაგის ნაპრალებში. მიწის გოროხების ქვეშ სარეველა ბალახებზე და სხვა. გაზაფხულზე იწყებენ გამრავლებას სარეველებზე, საიდანაც გადადიან კულტურულ მცენარეებზე და იწყებენ კვერცხდებას. ემბრიონული განვითარების ხანგრძლივობა 2-6 დღეა. მატლები 3-ჯერ იცვლიან კანს,

კვერცხებიდან გამოჩეკიდან 14 დღის შემდეგ ჩნდებიან ზრდასრული ფორმები, რომლებიც დებენ კვერცხებს. კვერცხის პროდუქცია 100-130 ცალის ფარგლებშია. წელიწადში 15-მდე თაობას იძლევა (Боитенко, Керасов, 1960). ამ მავნებლის განვითარების ოპტიმალური პირობებია ჰაერის ტემპერატურა 28-39°C და ფარდობითი ტენიანობა 35-55%. მისი ბიოეკოლოგიური თავისებურებებისა და ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ ფართო კვლევები აქვთ ჩატარებული თ. ჭავჭავანიძესა და ლ. ხუსკივაძეს (1966). მათ მიერ აბლაბუდიანი ტკიპა აღნიშნულია 27 სახეობის სხვადასხვა ოჯახში შემავალ კულტურულ და ველურ მცენარეებზე. მისი მასობრივი გამრავლების ერთ-ერთ ხელშემწყობი ფაქტორია დაბალი ტენიანობა და ნალექების სიმცირე. ტკიპას მეზამთრობაში გადასვლა ხდება ოქტომბრის ბოლოს. აღნიშნული ავტორების მიერ ბრძოლის ღონისძიებებიდან მოწოდებულია რწყვის ჯერადობის გაზრდა და ნიადაგში ფოსფოროვანი სასუქის მეტი დოზით შეტანა. აუცილებელ ღონისძიებად მიჩნეულია სარეველებთან ბრძოლა. მცენარეების გამხმარი ნარჩენების შეგროვება და დაწვა, ვინაიდან მოზამთრე ფაზების ზამთრის მარაგი მათზეა დასახლებული. კარგ შედეგს იძლევა პომიდორის თესლის მიკროელემენტებით დამუშავება. პესტიციდებიდან მათ მიერ გამოცდილი იქნა 14 პრეპარატი, რომელთაგან ეფექტურობით გამოირჩეოდნენ: კელტანი, ფენკაპტანი, და როგორი. უფრო ადრე ჩატარებული კვლევების მიხედვით, მაღალი ეფექტია მიღებული ფოსფორორგანული პრეპარატების გამოყენებით. ჟ. შონიას მიერ (1969) ტკიპას ამ სახეობის მიმართ გამოცდილია: თიოფოსი, კარბოფოსი, დითიოფოსი, თიოფოსის და ეთერსულფონატის ნაზავი, კელტანი, როგორი, ოქტამეთილი. ყველაზე მაღალი ეფექტურობა გამოამჟღავნეს კელტანმა, როგორმა, თიოფოსისა და ეთერსულფონატის ნაზავმა. გ. კვაჭანტირაძისა და ლ. ხუსკივაძის მიერ (Квачантирадзе, Хускивадзе, 1967). აბლაბუდიანი ტკიპას

წინააღმდეგ პომიდორზე გამოცდილია როგორც კელტანი და ქლოროფოსი. დადგენილია მათი ეფექტურობა – მოსავალი 56-77%-ით იზრდება კონტროლთან შედარებით. შესწავლილია მათი მოქმედების ხანგრძლივობა და გავლენა მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე. ნ. კორგანოვი (Корганов, 2001) აბლაბუდიანი ტკიპას მიმართ ბრძოლას ურჩევს მისი გამოჩენისთანავე. მისი მონაცემებით, საჭიროა დაზიანებული ფოთლების მოცილება და დაწვა. იგი ურჩევს აგრეთვე ნიორის გამონაწვლილისა და თამბაქოს მტვრის გამოყენებას. დამაკმაყოფილებელი შედეგებია მიღებული ბიტოქსიბაცილინის, აქტელიკისა და ფოსფამიდის გამოყენებით. არის მონაცემები ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპას მიერ ზოგიერთი აკარიციდის მიმართ რეზისტენტობის გამომუშავების შესახებ. კერძოდ, ზილბერმინცის მიერ (ზილბერმინც, 1994) აღნიშნულია ამ მავნებლის გამძლე პოპულაციების წარმოშობა კელტანისა და ბინაკაპროლის მიმართ. რუსეთის ტერიტორიაზე თიოფოსის, კარბოფოსისა და ფოსფამიდის მიმართ ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპას რეზისტენტობა შემჩნეულია ამ პრეპარატების გამოყენებიდან უკვე 10 წლის შემდეგ (Дамечко, Ярис, 1976). შემდგომში სპეციფიკურ აკარიციდებზე გადასვლამ (აკრექსი, მილბექსი) გამოიწვია ტკიპების გამძლეობის გამომუშავება ამ ჯგუფის ნაერთების მიმართაც (Bourdin, 1976). ფოსფამიდის მიმართ ამ მავნებლის გამძლეობის შესახებ მიუთითებენ პილცი და თანაავტორები (Пилц, Прайфер, Отто, 1980). მათი მონაცემებით, ფოსფორორგანული პრეპარატების მიმართ მავნებლის რეზისტენტობა განპირობებულია ორი განსხვავებული მექანიზმით: კარბოქსილესტერაზის დამშლელი სპექტრის ცვლილებით და აცეტილქოლინესტერაზის წარმოქმნით, რომლებიც ტოქსიკანტებით არ ინჰიბირდებიან.

ფოსფორორგანული პრეპარატების მიმართ ამ სახეობის რეზისტენტობაზე მიუთითებს კუკალენკო (Кукаленко, 1980) რის მიზეზადაც იგი ასახელებს ერთიდაიგივე პესტიციდების ხანგრძლივ შეუცვლელ გამოყენებას. სმირნოვასა და თანაავტორების მიერ გამოყენებულია აკრექსის, მილბექსის და კოლოიდური გოგირდის მორიგეობითი შესხურება (Смирнова, Корнилов, Сухорученко, 1977). ვ. მეტრეველის მიერ გამოცდილია 20-ზე მეტი თანამედროვე პესტიციდი და მათი კომბინირებული ნაზავები. დადგენილია მათი მაღალი ტოქსიკურობა და ეფექტურობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კონფიდორის, სანმაიტის და ფასტაკის მაღალი ბიოლოგიური და სამეურნეო ეფექტურობა (მეტრეველი, 2004).

სათბურებში ბოსტნეულ კულტურებზე ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპას მავნეობის, ბიოეკოლოგიური თავისებურებების და ბრძოლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია რიგი ავტორების (Бондаренко, 1953; Чалков, 1986; Рекк, 1950, 1957; კოტეტიშვილი, 1993) ნაშრომებში.

პეგასის მაღალეფექტურობაზე მიუთითებენ ლოლადე და ღვინიანიძე (Лолაძე, Гвинეпаძე, 1998). მათი მონაცემებით, ამ პრეპარატების შესხურებიდან 3, 7 და 14 დღის შემდეგ აბლაბუდიანი ტკიპას სიკვდილიანობა შესაბამისად 98, 98,8 და 95,8%-ს შეადგენდა.

**პომიდვრის ჟანგა ტკიპა** (*Vasates lycopersici* Lamb) პომიდვრს უზიანებს მიწიაზედა ყველა ორგანოს – ღეროს, ფოთლებს ზედა მხრიდან ძარღვების გასწვრივ და ნაყოფებს. ღერო და ფოთლები დაზიანების შედეგად თავიანთ ნორმალურ ფერს კარგავენ და ბრინჯაოსფერს ღებულობენ. ძლიერ დაზიანებული ღერო და ფოთლები ჭკნებიან და ხმებიან. ნაყოფების კანი უხეშდება, იფარება კორპისებრი ქსოვილით, მურა ჟანგისფერს ღებულობს და ხმება. საქართველოში იგი ფართოდაა გავრცელებული და დიდი უარყოფითი სამეურნეო

მნიშვნელობა აქვს. ეს მავნებელი ცხოვრობს როგორც ღია გრუნტში, ისე დახურულში. მას ახასიათებს როგორც ჰომოგენეზური, ასევე პართენოგენეზური გამრავლება. პართენოგენეზური გამრავლების დროს დედლის მიერ დადებული კვერცხებიდან მხოლოდ მამლები იჩეკებიან. ისინი ზრდის დასრულების შემდეგ კოპულირდებიან დედლებთან, რომელთა განაყოფიერებული კვერცხებიდან იჩეკებიან როგორც მამლები, ისე დედლები. ზრდასრულ ფაზაში გადასვლიდან რამოდენიმე დღის შემდეგ დედლები იწყებენ კვერცხდებას იმავე ადგილებში, სადაც იკვებებოდნენ. ამ ტკიპას კვერცხის პროდუქცია დიდი არ არის – მისი რაოდენობა 15-17-ს არ აღემატება. ემბრიონული განვითარება 2-3 დღე გრძელდება. კვერცხებიდან გამოჩეკილი მატლები იკვებებიან, რამოდენიმე დღეში იცვლიან კანს და გადადიან მეორე ასაკში. ტკიპას განვითარებისათვის უფრო მეტი დრო სჭირდება მეორე ასაკში. ერთი თაობის განვითარების ხანგრძლივობა 17-18°C საშუალო დღეღამური ტემპერატურისა და 65-70% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის პირობებში 12-15 დღეს უდრის. ტემპერატურის მატებასთან ერთად მავნებლის განვითარების ხანგრძლივობა შესამჩნევად კლებულობს (კალანდაძე, ბათიაშვილი, ალექსიძე, ყანჩაველი, 1962; ალექსიძე, ქუფარაშვილი, 2001). თუმცა ეს მავნებელი ძირითადად პომიდორს აზიანებს, მაგრამ თ. ჭავჭავანიძის და ლ. ოთხმეზურის მონაცემებით (1956), მას მნიშვნელოვანი ზარალი მოაქვს სხვა კულტურებისათვის, როგორცაა ალოე, კიტრი, ბადრიჯანი, ხენდრო, ქრიზანტემა და სხვა.

ტკიპას ეს სახეობა გავრცელებულია და დიდ სამეურნეო ზიანს აყენებს მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებს. ამ მავნებლის გავრცელება ავსტრალიაში დაიწყო. ამერიკაში პირველად 1940 წელს აღმოაჩინეს. ამის შემდეგ იგი სწრაფად გავრცელდა ჩრდილოეთ, ცენტრალურ და დასავლეთ შტატებში როგორც ორანჟერეაში, ისე ღია ნაკვეთებზე და



2-3 წელიწადში ისეთივე დიდი ზიანის მომტანი გახდა, როგორც კოლორადოს ხოჭო ევროპაში. უკანასკნელ წლებში პომიდვრის ჟანგა ტიპა ფართოდ გავრცელდა შუა აზიაში, ყაბარდო-ბალკანეთსი და სხვა ქვეყნებში, რის მიზეზადაც თვლიან პირეტროიდების სისტემატურ გამოყენებას, თესლბრუნვის დარღვევას, არასერთიფიცირებული თესლის გამოყენებასა და სხვა (Хромова, 2001). გასული საუკუნის 50-იან წლებში პომიდვრის ჟანგა ტიპას მიმართ გამოიყენებოდა გოგირდკირნახარში, გოგირდი, მეტაფოსი (ჭავჭავანიძე, ოთხმეხური, 1956). შემდეგ იხმარებოდა გოგირდწყალბადის გაზი, პრეპარატი ნიუიფ-100 და სხვა. უკანასკნელ წლებში კი იცდებოდა ახალი ინსექტო-აკარიციდები სხვადასხვა ქიმიური ჯგუფებიდან: ფოსფორორგანული – მონოკროტოფოსი, ფოსფამიდი, კარბაფოსი, ბოლსტარი, აცოფრინი, პირეტროიდები - ციპერმეტრინის პრეპარატები - ციმბუში, დელტამეტრინი, დეცისი, ფენვალერატი-სუმიცილინი, კარატე, რომლებიც არაეფექტურნი აღმოჩნდნენ ამ მავნებლის მიმართ. თუმცა არის ლიტერატურაში მონაცემები, რომ ფენვალერატი მნიშვნელოვნად ამცირებს პომიდვრის ჟანგა ტიპას რიცხოვნობას. მაღალეფექტურ პრეპარატებს მიეკუთვნებიან ბრომპროპილატის ჯგუფის ნაერთები (აკაროლი, ნეორონი), ფოსფორის შემცველი – ცელეფრონი და სპეციფიკური აკარიციდები (აკარი, მალბექსი). რამდენადმე ამცირებენ ტიპას მავნეობას გოგირდის შემცველი პრეპარატები. ზოგიერთმა ფუნგიციდმა (მეტალაქსილი, რიდომილი) გამოამჟღავნეს ამ მავნებლის მიმართ გვერდითი მოქმედება (Черемушкина, Арамов, Макаренкова, 1991). აქტელიკის, ბელოფოსის, კარბაფოსის, აკრექსის, ქლორეტანილის, დიკარფოლის გამოყენებაა რეკომენდირებული დახურულ გრუნტში ბოსტნეული კულტურების დაცვის ღონისძიებათა სისტემაში, რომელიც გამოცემულია ქ. მოსკოვში, 1987 წელს.

საქართველოში ჩატარებული ცდებით დადგენილია აკარიციდის – სანმაიტის მაღალი ბიოლოგიური ეფექტურობა პომიდვრის უანგა ტიპას მიმართ (მეტრელი, ორჯონიკიძე, 2002). მარშალის გამოყენებით 28 დღის განმავლობაში მიღებულია მავნებლის სიკვდილიანობის 98-95 პროცენტი (ჭანტურია, 2006).

### ბაღჩის ბუერი (*Aphis gossypii* Glow)

ეს მავნებელი პოლიფაგი მწერია. იგი პირველად უვაროვის მიერ 1920 წელს არის აღნიშნული. ბაღჩის ბუერი მავნეობას ეწევა ძირითადად მშრალ და დაბლობ რაიონებში. გვხვდება როგორც ღია, ასევე დახურული გრუნტის პირობებში.



სურათი №8 ბაღჩის ბუერი

იკვებება მრავალი კულტურული მცენარის ფოთლებით. ისინი ხორთუმით წუწნიან წვენს მცენარის ქსოვილებიდან, ამის გამო ფოთლები იხვევა, იკრუნჩხება, ბუშტისებურად იბერება. ხშირად ზიანდებიან ყლორტი და ყვავილები, რის გამოც ნაყოფი ვეღარ ვითარდება. ამასთან ბუერები გამოყოფენ ტკბილ წვენს, რომელზედაც სახლდებიან სიმავის გამომწვევი სოკოები. გარდა ამისა, ბუერების

ზემოქმედებით ირღვევა მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესები. მცენარე ნორმალურად ვეღარ ვითარდება და იღუპება.

ბაღჩის ბუგრის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება და სხვადასხვა ჯგუფის პექტიციდების გამოცდა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა მკვლევართა შორის. გასული საუკუნის 60-იან წლებში მის მიმართ გამოიყენებოდა ანაბაზინსულფატი, თამბაქოს მტვერი, თიოფოსი, მეტაფოსი (Мамаев, 1963; Дерябин, 1969). ისმაილოვისა და ჰასანოვის (Исмаилов, Гасанов, 1961) მონაცემებით აზერბაიჯანში კარგი შედეგები მიიღეს კარბოფოსის, მეტათიონის გამოყენებით. ამ პრეპარატების შესხურების შედეგად ეფექტურობა 20 დღის განმავლობაში 90-92%-ს აღწევდა. 80-იან წლებში უკვე შემჩნეულია ბაღჩის ბუგრის გამძლეობა ფოსფორორგანული ინსექტიციდების მიმართ (Зилсберминц, Журавлева, 1980). დადგენილია აქტელიკისა და ამბუშის მაღალი ეფექტურობა მათი მორიგეობითი გამოყენების პირობებში. მოგვიანებით, ამავე ავტორების მიერ შემჩნეულია ბაღჩის ბუგრის მაღალი რეზისტენტობა ფოზალონის მიმართ, ხოლო ვოლატონის, ხოსტაკვიფის და კარბოფოსის მიმართ – საშუალო რეზისტენტობა (Зилсбермин, Журавлева, 1984). აქტელიკისა და როვიკურტის ერთდროულად გამოყენების მაღალი ეფექტურობა აღნიშნულია ნოსოვასა და მიხაილოვის მიერ (Носова, Михаилов, 1985). საქართველოში მეტრეველის მიერ ბაღჩის ბუგრის მიმართ დადგენილია ფასტაკის, დეცისისა და ბულდოკის მაღალი ეფექტურობა (მეტრეველი, 2003). მაღალი ეფექტურობა გამოამუდგენა მარშალმა – 30 დღის განმავლობაში მავნებლის სიკვდილიანობა 55%-ზე მეტი (ჭანტურია, 2006).

## ატმის ბუგრი (*Myzodes persices* Sulz)

მავნებელი აზიანებს როგორც მრავალწლიან კულტურებს, ასევე ბოსტნეულს ღია და დახურულ გრუნტებში. ატმის ბუგრი ზამთარს ატარებს განაყოფიერებული კვერცხის ფაზაში. გაზაფხულზე გამოჩეკილი მატლები წუწნით აზიანებენ ფოთლებს, კოკრებს. წუწნის შედეგად ზრდის კონუსი კნინდება და აღარ ვითარდება. ბუგრის კოლონიებში ჩნდებიან ფრთიანი ფორმები.



სურათი №8 ატმის ბუგრი

განაყოფიერების შემდეგ დებენ კვერცხებს. ამ ბუგრის განვითარების ოპტიმალური ჰიგროთერმული პირობებია – ტემპერატურა 23-25 °C და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 70-80%; ღია გრუნტში 11-12 გენერაციას იძლევა, დახურულში 15-16-ს. პოლივოლტინურობის გამო ამ მავნებელთან ბრძოლა გაძნელებულია, რადგან პესტიციდების გამო ბუგრებს რეზისტენტული პოპულაციები წარმოიშვება. მაგალითად, აქტელიკის მიმართ ათი წლის მანძილზე რეზისტენტობა 200-ჯერ არის გაზრდილი, ასევე აღნიშნულია პირეტროიდების მიმართ გამძლე პოპულაციები (Ахатов, 1982). დახურულ გრუნტში ატმის ბუგრის გავრცელებას, მავნეობას და ბიოეკოლოგიურ თავისებურებების

შესახებ ვხვდებით მრავალი ავტორის შრომებში (ალექსიძე, 1957; კალანდაძე, ჯაში, 1960; კობახიძე, ოქროპირიძე, 1955; Бондаренко, 1953, Бегляров, 1978, Чолков, 1986).

დახურულ გრუნტში ბოსტნეული კულტურებისათვის მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვთ ფიტოჰელმინტებს, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ნემატოდების გვარი.

**გალიანი ნემატოდები** კვებითი სპეციალიზაციით ფართო პოლიფაგია და შეუძლია დააზიანონ მცენარეთა 200-მდე სახეობა, სხვადასხვა ბოტანიკური ოჯახიდან, რომელთა შორის აღსანიშნავია ბოსტან-ბაღჩეული, ტექნიკური, დეკორატიული და სხვა კულტურები. ბოსტნეულიდან დახურული გრუნტის პირობებში დიდი ზიანი მოაქვთ კიტრის, პომიდვრის, ბადრიჯნისა და სხვა კულტურებისათვის. ნემატოდების უმეტესობა უპირატესად აზიანებს მცენარის მთავარ ფესვებს, რაც ხელს უწყობს მათში პათოგენური ორგანიზმების – სოკოების, ბაქტერიებისა და სხვადასხვა მცირე ზომის მწერების შეღწევას. ხშირად მეორადი პარაზიტების ზემოქმედების ხვედრითი წილი მცენარის დაზიანებაში უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე ნემატოდების მიერ მიყენებული პირდაპირი მავნეობა. ნემატოდები მცენარეში გამოყოფენ სპეციფიკურ ფერმენტებს, რისი ზემოქმედებით ფესვები დიდდება, დეფორმირდება და წარმოიქმნება გალები, რასაც შემდგომ ფესვთა სისტემის დაშლა და მცენარის დაღუპვა მოსდევს.

გალებიანი ნემატოდა მთელ მსოფლიოში გავრცელებულია. დღეისათვის რეგისტრირებულია აღნიშნული გვარის 40-მდე სახეობა. საქართველოში დახურული გრუნტის პირობებში ძირითადად შემდეგ სახეობებს ვხვდებით: სამხრეთის გალიანი ნემატოდა (*Meloidogyne arenaria weal*), ჩრდილოეთის გალიანი ნემატოდა (*Meloidogyne hopla chitwood*) ლავანიური გალიანი ნემატოდა (*eloidogyne lavagyne trem*). აღნიშნული სახეობებიდან განსაკუთრებით გავრცელებულია

სამხრეთის გაღებიანი ნემატოდა, რომელიც ბოსტნეული კულტურების მიმართ გამოირჩევა მაღალი მავნეობის ხარისხით. ლ. ვაჩიშვილის (1971), მონაცემებით, კრწანისის მებოსტნეობის სასათბურე მეურნეობის და მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ექსპერიმენტულ ბაზაზე ამ მავნებლით გამოწვეული მოსავლის ზარალი 48-60%-ს აღწევდა. გაღებიანი ნემატოდის ბიოეკოლოგიური თავისებურებების შესახებ მონაცემებს ვხვდებით ელიავას (1958, 1960, 1966), ვაჩიშვილის (1966, 1969, 1970, 1974) სვეშნიკოვის (Свещников 1969) და სხვათა ნაშრომებში. გარდა ნემატოდებისა, სათბურის მავნებლებს შორის უარყოფითი მნიშვნელობით გამოირჩევიან ნიადაგის მავნებლები: მახრა, ტკაცუნა, ჭიჭინობელა, ჩამოთვლილი ნიადაგის მავნებლების მიმართ უკვე მრავალი ათეული წელია გამოიყენება მეთილბრომიდი ნიადაგის დეზინფიცირებისათვის.

სასათბურე მეურნეობებსა და სანერგეებში სხვა სპეციფიკურ მავნებლებთან ერთად გავრცელებულია პოლიფაგი მწერები - **Platyura Pectoralis** და **Scattela Stagnalis**. მავნებლები ძირითადად ჩითილებსა და ახალგაზრდა ნერგებს აზიანებენ.

დაკვირვებები მიმდინარეობდა აშშ-ში, ორიგონის შტატში, ქალაქ სეილემთან არსებული კომპანიის Heritage Seedlings, Inc-ის სასათბურე მეურნეობაში. *Platyura Pectoralis* და *Scattela Stagnalis* დიდი რაოდენობით გვხვდებოდა საქართველოშიც, საგურამოს საჩითილე მეურნეობაში, თუმცა დღეისათვის ჩვენს პირობებში კვლევები აღნიშნული მავნებლების ბიოლოგიის, მავნეობისა და ბრძოლის მიმართულებით არ ჩატარებულა. მავნებლები *Platyura Pectoralis* და *Scattela Stagnalis* დიდ ზიანს აყენებენ მცენარეების ჩითილებსა და ახალგაზრდა ნერგებს. მათი სწრაფი გამრავლების ძირითადი ხელშემწობი ფაქტორია ორგანული ნაერთებით მდიდარი ტორფნარევი სუბსტრატი და ხშირი მორწყვა. მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების

შემუშავებისას მეტად მნიშვნელოვანია მავნებლების სასიცოცხლო ციკლისა და მათ განვითარებაზე კლიმატური პირობების ზეგავლენის ცოდნა.

**Platyura Pectoralis – Fungus Gnat** აგებულებით კოდოს წააგავს. მას გააჩნია გრძელი უკანა ფეხები, წაგრძელებული ტანი და ერთი წყვილი თხელი, გამჭვირვალე ფრთა (სურათი №9) იმაგოს ზომა დაახლოებით 2,5 მმ-ია. *Platyura Pectoralis* სინესტის მოყვარული მწერია. მდედრი ცხოვრობს ერთი კვირის განმავლობაში და დებს დაახლოებით 100-მდე კვერცხს. კვერცხები ნახევრად გამჭვირვალეა და ძნელად შესამჩნევი. მატლები კვერცხებიდან 4-6 დღეში იჩეკებიან. ორ კვირაში ისინი სიმწიფეს აღწევენ, როცა მათი სიგრძე დაახლოებით 5.5 მმ-ია. ერთი კვირის განმავლობაში მატლები ჭუპრდებიან. იმაგო ჭუპრიდან გამოფრინდება და იწყებს ახალ სასიცოცხლო ციკლს. სრული სასიცოცხლო ციკლი გრძელდება 4 კვირას. მთელი წლის განმავლობაში ეს მავნებელი მრავალ თაობას იძლევა და ერთდროულად ყველა სტადიაში გვხვდება (**Frank A. Hale**).

სურათი №9

*Platyura Pectoralis* (Fungus Gnat)-ის იმაგო

სურათი №10

*Platyura Pectoralis* (Fungus Gnat)-ის მატლი



დაზიანება: მავნებლის მატლი ცხოვრობს ტენიან ნიადაგში (სურათი №10) და იკვებება ორგანული ნაწილაკებით. ასეთი პირობები სათბურებსა და სანერგეებში თითქმის მთელი წლის განმავლობაშია. მატლი დიდ ზიანს აყენებს ახალგაზრდა ჩითილების ფესვებსა და ღეროს, განსაკუთრებით კი მაშინ როცა მათი რაოდენობა მაქსიმუმს აღწევს (A. L. Antonelli, D.F. Mayer).

**Scatella Stagnalis – Shore Fly** ჩვეულებრივი ბუზის მსგავსი პატარა ზომის მწერი, დაახლოებით 0,3 სმ-ის. შავი ან მუქი რუხი ფერის (სურათი №11). აქვს მოკლე ფეხები და ანტენები. მუქი ფერის წყვილ ფრთაზე სამ-სამი თეთრი ფერის ლაქაა განლაგებული. როდესაც მწერი მოსვენების ფაზაშია და ფრთები დაკეცილი აქვს, ლაქების რაოდენობა 5 წყვილად მოჩანს (Dr. Richard Lindquist.).



სურათი №11 Scatella Stagnalis, იმაგო      სურათი №12 Scatella Stagnalis; მატლი  
სასიცოცხლო ციკლი: ეს მავნებელი მრავლდება ტენიან პირობებში. პატარა ზომის, წაგრძელებული კვერცხები ცალკეულად არის განლაგებული ტენიანი ნიადაგის ზედაპირზე. მატლის თავი შეზრდილია ტანთან, მოთეთრო-მოყვითალო ან ღია ყავისფერია (სურათი №12). ჭუპრსა და მატლს ჩანგლისებრი მილები აქვს სხეულის ბოლოში. მდედრი დებს საშუალოდ 300-მდე თეთრი ფერის ცალკეულ კვერცხს. კვერცხიდან იმაგომდე განვითარებას 9-11 დღეს ანდომებს.



კვერცხებიდან მატლები ერთ დღეში იჩეკებიან, იკვებებიან და 6-7 დღის შემდეგ იწყებენ დაჭუპრებას. იმაგო ჩნდება 3-5 დღეში და ცხოვრობს ორი-სამი კვირის განმავლობაში. მავნებელი წელიწადის განმავლობაში მრავალ თაობას იძლევა (Ric Bessin, Lee H. Robert, G. Anderson).

როგორც *Platyura Pectoralis*, ასევე *Scatella Stagnalis*-ის არც იმაგო და არც მატლი არ იკვებება მცენარეების ფესვებით სანამ მათი რაოდენობა მცირეა. მაგრამ მათი მრავლობითი პოპულაციები მნიშვნელოვან ზარალს აყენებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. ასეთ შემთხვევაში მავნებელი იკვებება ნიადაგის ზედაპირთან ახლოს განლაგებული ჩითილებისა და ნერგების ფესვებით, რამაც შესაძლოა მცენარის დაღუპვა გამოიწვიოს. იმაგო ფეკალური მასებით ვეგეტატიური ორგანოებს აბინძურებს და კოსმეტიკური ზიანს აყენებს მცენარეებს, რაც მათ საბაზრო ფასს ამცირებს. ასევე აღსანიშნავია, რომ ეს მწერი სოკოვანი დაავადებების გავრცელებასაც უწყობს ხელს. *Platyura Pectoralis* და *Scatella Stagnalis*-ის წინააღმდეგ ბრძოლა შედეგს იძლევა მხოლოდ ინტეგრირებული სისტემის გამოყენებისას, რომელიც გულისხმობს აგროტექნიკურ საშუალებების, ბრძოლის ქიმიური და ბიოლოგიური ღონისძიებების ერთობლიობას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი მავნებლის კონტროლი სასათბურე მეურნეობებში ძალიან ძნელია. მთავარ სირთულეს წარმოადგენს მავნებლების ყველა ფაზის არსებობა მთელი წლის განმავლობაში, რასაც მათი გამრავლებისათვის შექმნილი იდეალური პირობები განაპირობებს - მუდმივად ნოტიო, ნაყოფიერი ნიადაგი და მათი განვითარებისთვის ოპტიმალური ტემპერატურა.

დაკვირვებისას დიდი ყურადღება ეთმობოდა მავნებლების სასიცოცხლო ციკლზე ტემპერატურის ზეგავლენის შესწავლას. მთელი წლის განმავლობაში აღირიცხებოდა დღიური საშუალო

ტემპერატურა. გაკეთდა პროგნოზი, რომლის მიხედვითაც *Scatella Stagnalis* –ის ინტენსიური გავრცელება იწყება 25 მაისიდან, ამ დროს დღე-ღამური საშუალო ტემპერატურა 18C იყო.

*Scatella Stagnalis*-ისგან განსხვავებით, *Platyura Pectoralis*-ის განვითარება პიკს აღწევს 25 აგვისტოსთვის, როცა საშუალო დღე-ღამური ტემპერატურა 25C გრადუსია. დაკვირვებებმა აჩვენეს, რომ აღნიშნული მავნებლების განვითარება ტემპერატურაზე ბევრად არის დამოკიდებული. განსაკუთრებით, ტემპერატურა ზემოქმედებას ახდენს *Scatella Stagnalis*-ზე.

სათბურებში მავნებლების არსებობის დასადგენად ყვითელი წებოვანი მწერმჭერები გამოიყენება. მწერმჭერები განლაგებულნი უნდა იქნან უშუალოდ მცენარეების თავზე სიხშირით 1/200კვ.მ-ზე.

იმდენად, რამდენადაც ეს მავნებლები მრავლდებიან ტენიან პირობებში და ნაყოფიერ ნიადაგზე, მათი კონტროლი მორწყვის სწორი მენეჯმენტით არის შესაძლებელი. მორწყვის შეჩერება რამდენიმე დღის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეამცირებს მავნებლების გამრავლების შესაძლებლობას. მაგრამ ამ მეთოდის განხორციელება ხშირად შეუძლებელია მცენარეების მორწყვისადმი მოთხოვნების გამო. აქედან გამომდინარე, მცენარეების მორწყვა მხოლოდ დილით ადრე უნდა განხორციელდეს რათა დღის განმავლობაში ნიადაგის ზედაპირი გაშრეს, ხოლო ფესვთა სისტემას საკმარისი რაოდენობის წყალი ჰქონდეს.

ასევე მიზანშეწონილია “ქვედა-მორწყვის სისტემის” დანერგვა ამ მავნებლებისადმი განსაკუთრებით მგრძობიარე კულტურების მოსაყვანად.

# ექსპერიმენტული ნაწილი

## თ ა ვ ი I I

### მასალა და მეთოდთა

სამუშაო ჩატარდა 2002-2006 წწ ლ. ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის პესტიციდების ეკოლოგიური შეფასების განყოფილებაში, საგურამოში - ჰოლანდია-საქართველოს ერთობლივ სახიტილესასათბურე მეურნეობაში, ვაზიანისა და დიდმის კერძო სათბურებში, ორიგონის შტატის სასათბურე - სანერგე მეურნეობებში.

მავნე მწერების გამოვლენის მიზნით აღნიშნულ სათბურებში სისტემატურად ტარდებოდა ფიტოსანიტარული გამოკვლევები მავნებლის სახეობრივ შემადგენლობაზე, რიცხოვნობაზე, მავნეობასა და გავრცელებაზე.

სათბურის მავნებლის მიმართ თანამედროვე პესტიციდების აქტივობის დასადგენად გამოიყენებოდა პრეპარატები სხვადასხვა ქიმიური ჯგუფებიდან (ფოსფორორგანული, პირეტროიდები, ფენილპირაზოლები, იმიდოკროპლიდები, აცეტომიპრიდები, თიამოთექსამი).

მავნებლის სიკვდილიანობას ვსაზღვრავდით ებოტის მეთოდით (Берим, 1972). პესტიციდების ტოქსიკურობა დგინდებოდა გამარტივებული პრობიტანალიზის მეთოდით. ისაზღვრებოდა პრეპარატების სკ-50 (სასიკვდილო კონცენტრაცია, რომელიც იწვევს ცდაში მყოფი ობიექტების 50%-ის სიკვდილს), მისი ზედა და ქვედა ზღვრები, დახრილობის კუთხე (Гегенава, 1960). მავნებლების მგრძობიარობას პესტიციდების მიმართ ვსაზღვრავდით ტოპიკალური დამუშავების მეთოდით (Методические рекомендации по определению устойчивости

вредителей с/х культур и энтомофагов к пестицидом, 1977). საველე და ნახევრადსაველე პირობებში პესტიციდების ბიოლოგიური ეფექტურობის განსაზღვრა ხდებოდა შემდეგი ფორმულით:

$$C = \frac{(A - B) \times 100}{A} \times \frac{B}{a \ a}$$

სადაც:

**A** - მავნებლის რიცხოვნობაა პესტიციდებით დამუშავებამდე;

**B** - მავნებლის რიცხოვნობა პესტიციდებით დამუშავების შემდეგ საცდელ ვარიანტში.

**a** და **b** მავნებლის რიცხოვნობაა დამუშავებამდე და დამუშავების შემდეგ კონტროლში.

პესტიციდების კომბინირებული ნაზავების მოქმედების ხასიათის (ადიტივობა, სინერგიზმი, ანტაგონიზმი) შესწავლა ხდებოდა ვადლეის (Гиз, 1982) მეთოდით, შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$x + y$$

$$\text{სკ-თეორიული} = \frac{x + y}{\frac{x}{\text{სკ-50 (x)}} + \frac{y}{\text{სკ-50 (y)}}}$$

$$\frac{x}{\text{სკ-50 (x)}} + \frac{y}{\text{სკ-50 (y)}}$$

$$F \text{ სინერგიზმის კოეფიციენტი} = \frac{\text{სკ-50 თეორიული}}{\text{სკ-50 ექსპერიმენტული}}$$

**x** და **y** არის ნაზავებში კომპონენტების შეფარდება.

გარდა სხვადასხვა ჯგუფის პესტიციდების კომბინირებული ნაზავებისა, იცდებოდა მიკრობიოლოგიური პრეპარატებისა და მცენარეული პესტიციდების ნაზავები.

ცდების ჩატარების, საცდელი ფართობების დაგეგმვის, ფენოლოგიური დაკვირვებების, მოსავლის აღრიცხვისათვის ვიყენებით მემცენარეობაში მიღებულ მეთოდებს (Гап 1963, 1967, ჭანიშვილი, 1973). ნაყოფების კვებით ღირებულებაზე დაცვის სხვადასხვა საშუალებების გავლენის შესწავლის მიზნით, ბოსტნეული კულტურების ნაყოფებში ვსაზღვრავდით შაქრების, ასკორბინის მჟავას, ორგანული მჟავების, ნაცრის შემცველობას (Иванов, 1964. Выговор, 1964. Методика Государственного Сортоиспытания Сельскохозяйственных культур, 1986). პესტიციდების ფიტოტოქსიკურობა ისაზღვრებოდა 12-ბალიანი სისტემით (Гегенава, 1965). პესტიციდების გამოყენების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პრეპარატების ნაშთების რაოდენობა ისაზღვრებოდა თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდით (Клисенко, Письменная, 1968. Адеიшвили, 1960. Адеишвили, Орджоникидзе, 1978. Временные методические указания по определению пиретроидных препаратов, 1982). განსაზღვრული იქნა პესტიციდების საჰექტარო ეკოლოგიური დატვირთვა ანუ ეკოტოქსიკოლოგიური მაჩვენებლები შემდეგი ფორმულის გამოყენებით (Мельников, 1986. Мельников, Билан, 1998).

$$\text{ЭН} = \frac{\text{НР}}{\text{T}} \times \text{П}$$

სადაც, Ж

ЭН – საჰექტარო ეკოლოგიური დატვირთვა;

НР – პრეპარატის ხარჯვის ნორმა გ/მ<sup>2</sup>

T – პრეპარატის სკ-50 თბილსისხლიანების მიმართ;

П – პრეპარატის ნახევარდაშლის პერიოდი დღეებში.

პრეპარატების გამოყენების სამეურნეო და ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრა ხდებოდა ზახარენკოსა (Захаренко,1983) და ჩენკინის (Ченкин, 1978) მეთოდებით. ამ მიზნით ძირითად მაჩვენებლად გამოყენებული იყო შენარჩუნებული მოსავლის რაოდენობა, მისი ღირებულება, წმინდა შემოსავალი და რენტაბელობის ნორმა.

შენარჩუნებული მოსავლის რაოდენობას ვსაზღვრავდით საცდელ და საკონტროლო ვარიანტებს შორის მოსავლის სხვაობით.

ქიმიურ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები (პესტიციდების ღირებულება, მუშახელის ხელფასი და სხვა) ისაზღვრებოდა ფერმერულ მეურნეობებში ფაქტიური დანახარჯების მიხედვით. წმინდა შემოსავალი ისაზღვრებოდა ფორმულით:

$$r d = y - z,$$

სადაც:  $r d$  - წმინდა შემოსავალია

$y$  - შესანარჩუნებელი მოსავლის ღირებულება;

$z$  - მოსავლის დატვირთვისათვის გაწეული ხარჯები

ღონისძიებათა რენტაბელობა ისაზღვრებოდა ფორმულით:

$$R = \frac{rd}{z} \times 100$$

სადაც,  $R$  - რენტაბელობის ნორმაა

$rd$  - წმინდა შემოსავალი;

$z$  – დანახარჯები

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები მუშავდებოდა სტატისტიკურად.

მეთილბრომიდის ალტერნატივების ძიების მიზნით ცდები ჩატარდა ორი მიმართულებით და გულისხმობდა მეთილბრომიდის ქიმიური და არაქიმიური შემცველების გამოვლენასა და მათი ეფექტურობის დადგენას.

ქიმიური მეთოდების შესასწავლად მონაწილეობა მივიღე გაეროს ინდუსტრიის განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებულ “ოზონის ჯგუფის” და შპს “გარემო და ანალიტიკა“-ს მიერ შემუშავებულ პროექტში “მეთილბრომიდის გამოყენებიდან ეტაპობრივი ამოღება ნიადაგის ფუმიგაციისათვის საქართველოში.” გამოყენებული იყო დაზომეტი, მეტამსოდიუმი, ბიოფუმიგაციის მეთოდი (სოლარიზაცია და ორგანული სასუქები) და მეთილბრომიდი საკონტროლო ნაკვეთში.

მეთილბრომიდის არაქიმიური ალტერნატივების შესწავლის მიზნით ბოსტნეული კულტურების ჩითილები გამოვიყვანეთ ხელოვნურ სუბსტრატზე კასეტებში. ხელოვნურ სუბსტრატის სახით გამოყენებული იქნა ტორფისა და პერლიტის, ტორფისა და ცელოითის ნარევი სხვადასხვა პროცენტული შემადგენლობით. მეთოდის განხორციელებისას ზედმიწევნით იყო დაცული კასეტებში ანუ კონტეინერებში ჩითილების მოყვანის ტექნოლოგია. რეგულარულად ხდებოდა ნიადაგისა და საკვები ნივთიერებების წყალხსნარების მჟავიანობისა და ელექტროგამტარიანობის შემოწმება. დაცული იყო მორწყვის რეჟიმი და ჩითილების განვითარებისათვის ოპტიმალური კლიმატური პირობები. დაკვირვებები მიმდინარეობდა ნიადაგის მავნებლების გამოსავლენად, შესწავლილი იქნა მცენარეების ფესვთა სისტემის განვითარება; იგივე ცდა ჩატარდა ბოსტნეული კულტურების – პომიდვრისა და კიტრის ხელოვნურ სუბსტრატზე მოსაყვანად. გამოყენებული იყო ტორფისა და ჭაჭის ნარევი.

### თ ა ვ ი I I I

#### დახურული გრუნტის ძირითადი მავნებლების მიმართ თანამედროვე ინსექტიციდების ტოქსიკურობის შესწავლის შედეგები

მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებების გამოყენება დღის წესრიგში აყენებს პესტიციდების ტოქსიკოლოგიური და აგროტოქსიკოლოგიური მაჩვენებლების დადგენას და შემდგომში მეცნიერულად დასაბუთებული თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სისტემატურ დაზუსტებას. საოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიების ფართო გავრცელება მოითხოვს ქიმიური დაცვის საშუალებების მრავალი კუთხით შესწავლას. ყველა პესტიციდი წინასწარ უნდა იქნას შეფასებული ტოქსიკოლოგიური თვალსაზრისით, რათა სპეციალისტს შეეძლოს ივარაუდოს ამ თუ იმ პრეპარატის გამოყენების შესაძლო შედეგები არა მარტო დასაცავი მცენარისათვის, არამედ სასარგებლო ორგანიზმებისა და საერთოდ ბიოსფეროსათვის. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული კვლევების ჩატარებას დახურული გრუნტის პირობებისათვის, რადგან სათბურის დაცვა მავნე ორგანიზმებისაგან მეტად რთული და პრობლემატურია. სათბურის მავნებლების მიმართ ახალი ეფექტური პრეპარატების და კომბინირებული ნაზავების გამოვლენის მიზნით ჩავატარეთ ლაბორატორიული ცდები, რის შედეგადაც დადგინდა ტოქსიკურობის მაჩვენებლები. პრეპარატები გამოყენებული იყო სხვადასხვა კონცენტრაციებით. ყველა ვარიანტში ხდებოდა მავნებლის სიკვდილიანობის აღრიცხვა. მიღებული შედეგები მუშავდებოდა პრობიტანალიზის მეთოდით.

ცნობილია, რომ სათბურის ფრთათეთრას მიმართ ბრძოლა საკმაოდ ძნელია მრავალი ფაქტორის გამო: მავნებლის სხვადასხვა ფაზა



გამძლეა მრავალი ჯგუფის პესტიციდების მიმართ, ადვილად გამოიმუშავენს გამძლეობას, კარგად ვითარდება სათბურის გარეთაც, საიდანაც ადვილად აღწევს სათბურებში, პოლიფაგია – იკვებება მრავალი მცენარით. რაც შეეხება ბიოლოგიურ და ბიოტექნიკურ საშუალებებს, ისინი დადებით შედეგებს იძლევიან მხოლოდ მავნებლის დაბალი რიცხოვნობის პირობებში და თანაც გვიან. აქედან გამომდინარე, სათბურის ფრთათეთრას მიმართ ახალი, მაღალეფექტური პრეპარატების გამოცდა და ასორტიმენტის განახლება უწყვეტი პროცესი უნდა იყოს და ამ მიმართულებით კვლევები მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს. სათბურის ფრთათეთრას მატლების მიმართ ინსექტიციდების ტოქსიკურობის მაჩვენებლები მოტანილია №1 ცხრილში.

ცხრილი №1

**სათბურის ფრთათეთრას მატლების მიმართ თანამედროვე  
ინსექტიციდების ტოქსიკურობის მაჩვენებლები**

პრეპარატები	სკ-50 %	სკ-50-ის ზედა ზღვარი, %	სკ-50-ის ქვედა ზღვარი, %	დახრილობის კუთხე
1 მოსპილანი	0,0035	0,0037	0,0034	2,93
2 აცეტომიპრილი	0,0038	0,0040	0,0036	2,96
3 კონფიდორი	0,0037	0,0038	0,0036	2,98
4 აქტარა	0,0042	0,0044	0,0037	2,78
5 ტალსტარი	0,0039	0,0042	0,0045	2,70
6 მარშალი	0,0077	0,0082	0,0069	2,64
7 გაუჩო	0,0044	0,0045	0,0042	2,80
8 რეგენტი	0,0064	0,0066	0,0060	2,58
9 ფასტაკი	0,0051	0,0052	0,0048	2,62
10 შერპა	0,0050	0,0055	0,0046	2,56
11 ბუდლოკი	0,0062	0,0065	0,0060	2,48

12	დეცისი (ეტალონი)	0,0098	0,0120	0,0096	2,34
----	------------------	--------	--------	--------	------

როგორც №1 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ყველა გამოცდილი ინსექტიციდის ტოქსიკურობა ეტალონთან შედარებით (დეცისი) მაღალია, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოსპილანის, აცეტომიპრილის, კონფიდორის და ტალსტარის მაღალი ტოქსიკურობა: სკ-50 შესაბამისად ტოლია – 0,0030%, 0,0038%, 0,0037% და 0,0039%. ოდნავ ჩამორჩებიან აქტარა და გაუჩო. ტოქსიკურობის მიხედვით პრეპარატები შემდეგი კლებადი რიგის მიხედვით განლაგდებიან: მოსპილანი > კონფიდორი > აცეტომიპრილი > ტალსტარი > აქტარა > გაუჩო > შერპა > ფასტაკი > ბულდოკი > რეგენტი > მარშალი > დეცისი (ეტალონი).

რაც შეეხება დახრილობის კუთხეს, იგი ყველაზე მაღალი აქვთ კონფიდორს (2,98), აცეტომიპრილს (2,96) და მოსპილანს (2,93), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პრეპარატების კონცენტრაციების გაზრდით, მათი ტოქსიკურობა უფრო მეტად გაიზრდება დანარჩენ პრეპარატებთან შედარებით. ყველაზე დაბალი ეს მაჩვენებელი აქვს დეცისს (ეტალონს), ბულდოკსა და შერპას.

სათბურებში პესტიციდური დატვირთვის შემცირების მიზნით, გამოვიყენეთ სხვადასხვა ჯგუფის ინსექტიციდები ერთმანეთთან, აგრეთვე მცენარეულ პესტიციდებთან კომბინირებული ნაზავები (ცხრილი №2).

კომბინირებული ნაზავების ტოქსიკურობის მაჩვენებლები სათბურის  
ფრთათეთრას მატლების მიმართ

№	ვარიანტები	შეფარ დება	სკ-50 %	სკ-50 ზედა ზღვარი %	სკ-50 ქვედა ზღვარი %	სინერ გიზმის კოეფი ციენტი
1	მოსპილანი+შერპა	1:1	0,0044	0,0048	0,0042	1,02
2	მოსპილანი+ფასტაკი	1:1	0,0030	0,0036	0,0029	2,09
3	აცეტომიპრილი+შერპა	1:1	0,0044	0,0047	0,0043	1,04
4	აცეტომიპრილი+ფასტაკი	1:1	0,0032	0,0034	0,0030	2,22
5	მოსპილანი+რეგენტი	1:1	0,0042	0,0043	0,0040	1,05
6	აცეტომიპრილი+რეგენტი	1:1	0,0048	0,0050	0,0045	1,02
7	მოსპილანი+ქრისტესსისხლას ნაყენი	1:10	0,0964	0,0999	0,0955	2,12
8	აცეტომიპრილი+ქრისტესსისხლას ნაყენი	1:10	0,0873	0,0886	0,087	1,98
9	აქტარა+ქრისტესსისხლას ნაყენი	1:10	0,0986	0,0989	0,0980	2,04
10	ფასტაკი+ქრისტესსისხლას ნაყენი	1:10	0,0974	0,0982	0,0968	1,98
11	მოსპილანი+თამბაქო	1:10	0,0886	0,0892	0,088	2,03
12	აცეტომიპრილი+თამბაქო	1:10	0,0836	0,0839	0,0828	2,05
13	აქტარა+თამბაქო	1:10	0,0846	0,0852	0,0840	1,98
14	ფასტაკი+თამბაქო	1:10	0,0926	0,0932	0,0920	1,95
15	ქრისტესსისხლა	-	0,9989	0,9996	0,9980	-
16	თამბაქოს მტვერი	-	1,3682	1,3692	1,3782	-

სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნე ორგანიზმების მიმართ მცენარეების ქსოვილებიდან მიღებული ნაყენების ტოქსიკურობის

შესაწავლაზე მეცნიერებმა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან შეაჩერეს ყურადღება.

მცენარეული ინსექტიციდების შესწავლას და გამოყენებას საფუძვლად დაედო ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მათგანი შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებებს, რომლებიც იწვევენ მავნე მწერების (მწუწნი და მღრღნელი) დაღუპვას. ზოგ შემთხვევაში მათი გამოყენება უფრო ეფექტურია, ვიდრე პესტიციდების. ამასთან, სანიტარულ-ჰიგიენური მაჩვენებლები უკეთესი აქვთ პესტიციდებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მცენარე ტოქსიკურობით არ ჩამოუვარდება ქიმიურ პრეპარატებს, მათ არ გააჩნიათ კუმულაციური თვისებები – მათი დაშლა გარემოში და მცენარეში სწრაფად მიმდინარეობს.

1975 წელს ქ. შტუდგარდტის უნივერსიტეტთან არსებულ ქიმიის ინსტიტუტში პროფ. კრაუსის ხელმძღვანელობით გამოვლენილი და შესწავლილი იქნა ზოგიერთი გარეული მცენარის ინსექტიციდური თვისებები. მწუწნი და მღრღნელი მავნებლების წინააღმდეგ დადებითად შეფასდა მათი ბიოლოგიური ეფექტურობა (Speth, 1990).

იმავე ინსტიტუტში ჩატარდა საერთაშორისო კონგრესი, რომელიც მიეძღვნა მცენარეული ინსექტიციდების დანერგვის რისკს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ. ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში, ლაბორატორიულ პირობებში დადგენილი იქნა ექვსი სხვადასხვა სახეობის ველური მცენარის ინსექტიციდური და ანტიფილანტური თვისებები (Hough Goldstein, 1990). ყველა მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მცენარეული პესტიციდების საწყისი ტოქსიკური მაჩვენებლები საშუალოზე მაღალია, მაგრამ მისი ხანგრძლივობა არ აღემატება 3-5 დღეს და საჭიროა მათი მრავალჯერადი გამოყენება (Корчагин, 1971). მცენარეული პესტიციდების გამოყენებას უკანასკნელ პერიოდში საქართველოშიც მიექცა

სათანადო ყურადღება (ბუაჩიძე, 1995, ბადალაშვილი, 2006, ლობჯანიძე, ჭანტურია, 2002).

კომბინირებული ნაზავების მოქმედების ხასიათის შესწავლის მიზნით გამოვიყენეთ ვადლერის მეთოდი, კერძოდ, განვსაზღვრეთ თუ რა მოვლენას ქონდა ადგილი – ადიტივობას, სინერგიზმს თუ ანტაგონიზმს. გამოირკვა, რომ ანტაგონიზმი არც ერთ ვარიანტში არ მიგვიღია. ინსექტიციდების ურთიერთკომბინაციის შემთხვევაში სინერგიზმი მივიღეთ აცეტომიპრილის და მოსპილანის კომბინირებით ფასტაკთან (სინერგიზმის კოეფიციენტი ერთზე მეტია) დანარჩენ ნახევარში ადგილი აქვს ადიტივობას – ე.ი. კომპონენტების ტოქსიკურობა არ იცვლება. მოსპილანის, აქტარას, აცეტომიპრილის და ფასტაკის კომბინირებით ქრისტესისხლას და თამბაქოს გამონაწვლილებთან მიღებულია სინერგისტული ეფექტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ტოქსიკურობა ნაზავში იზრდება, ასევე იზრდება აცეტომიპრილი+ფასტაკის და მოსპილანი+ფასტაკის შემადგენელი კომპონენტების ტოქსიკურობა, ეს კი საშუალებას გვაძლევს შევამციროთ მათი გამოყენების ხარჯვის ნორმები და შესაბამისად, პესტიციდური დატვირთვა.

სათბურის ფრთათეთრას მიმართ შევისწავლეთ აგრეთვე მიკრობიოლოგიური პრეპარატის ლიროსექტის (2EK) ტოქსიკურობა. ეს არის ავერმექტინის ჯგუფის პრეპარატი, მიღებული მიკრობიოლოგიური სინთეზის გზით. ლიროსექტი გამოვცადეთ სხვადასხვა კონცენტრაციით. იგი გამოვიყენეთ აგრეთვე კომბინირებულ ნაზავებში სხვადასხვა ქიმიური ჯგუფის ინსექტიციდებთან (ცხრილი №3).

სათბურის ფრთათეთრას მატლების მიმართ ლიროსექტის და მისი  
სხვადასხვა ქიმიური ჯგუფის ინსექტიციდებთან კომბინირებული  
ნაზავების ტოქსიკურობის მაჩვენებლები

№	ვარიანტები	კომპონენტთა შეფარდება	სკ-50 %	სკ-50 ზედა ზღვარი %	სკ-50 ქვედა ზღვარი %	სინერგიზმის კოეფიციენტი
1	ლიროსექტი	-	0,0341	0,0345	0,0340	-
2	ლიროსექტი+ფასტაკი	1:1	0,0094	0,0098	0,0094	2,42
3	ლიროსექტი+აცეტომიპრილი	1:1	0,0082	0,0084	0,0080	2,49
4	ლიროსექტი+აქტარა	1:1	0,0090	0,0092	0,0088	2,32
5	ლიროსექტი+მარშალი	1:1	0,0099	0,0104	0,0090	2,21
6	ლიროსექტი+რეგენტი	1:1	0,0841	0,0844	0,0840	1,05
7	ლიროსექტი+დურსბანი	1:1	0,0214	-	-	2,02
8	ეტალონი (დურსბანი)	-	0,0350	0,0352	0,0346	-

როგორც გამოთვლებმა გვიჩვენა, ლიროსექტის სკ-50 ტოლია 0,0341%-ის, რაც დაახლოებით ფოსფორორგანული პრეპარატის – დურსბანის დონეზეა. ლიროსექტის კომბინირებით ფასტაკთან, აცეტომიპრილთან, მარშალთან და დურსბანთან მიღებულია სინერგისტული ეფექტი (სინერგიზმის კოეფიციენტი 1-ზე მეტია), ლიროსექტის და რეგენტის კომბინირებით მიღებულია ადიტივობა (სინერგიზმის კოეფიციენტი 1,05), ანტაგონიზმი არც ერთ ვარიანტში არ გამოვლინებულა.

ტკიპები დახურული გრუნტის მეტად საშიში მავნებლები არიან. საქართველოს სათბურებში ამჟამად მათ მიმართ ძირითადად ქიმიური საშუალებები გამოიყენება. თუ მხედველობაში მივიღებთ რეზისტენტობის პრობლემას, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ მავნებლის ამ სახეობისათვის, აშკარაა, რომ ახალი ინსექტო-აკარიციდების და აკარიციდების ასორტიმენტის გაფართოებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რათა საშუალება გვქონდეს ერთის მხრივ, გამოვიყენოთ ისინი როტაციაში, ხოლო მეორეს მხრივ ხშირად შევცვალოთ ისინი. ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპას მიმართ თანამედროვე ინსექტიციდების ტოქსიკურობის მაჩვენებლები მოცემულია №4 ცხრილში.

ცხრილი №4

**ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპას მიმართ პესტიციდების და მათი კომბინირებული ნაზავების ტოქსიკურობის მაჩვენებლები**

№	ვარიანტები	სკ-50 %	სკ-50 ზედა ზღვარი %	სკ-50 ქვედა ზღვარი %	დახრილობის კუთხე
1	2	3	4	5	6
1	ნეორონი	0,0431	0,0452	0,0425	2,3
2	ომაიტი	0,0506	0,0517	0,0483	2,2
3	რუფასტი	0,0516	0,0522	0,0510	2,1
4	სანმაიტი	0,0212	0,0218	0,0200	2,6
5	ფლუმაიტი	0,0219	0,0223	0,0206	2,7
6	ორტუსი	0,0255	0,0260	0,0251	2,6
7	ბაზუდინი	0,0692	0,0699	0,0682	2,1
8	ბი-58 (ახალი)	0,0539	0,0542	0,0533	2,2
9	ტალსტარი	0,0623	0,0628	0,0620	2,3
10	აქტელიკი	0,0821	0,0825	0,0820	2,4
11	დურსბანი	0,0635	0,0637	0,630	2,2
12	კონფიდორი	0,0248	0,0252	0,0240	2,7
13	გაუჩო	0,0412	0,0420	0,0400	2,5
14	ენვიდორი	0,0221	0,0225	0,0220	2,9

15	აქტარა	0,0484	0,0488	0,0480	2,6
16	მარშალი	0,0438	0,0442	0,0436	2,4
17	ნეორონი+აქტელიკი	0,0380	0,0385	0,0378	2,7
18	ნეორონი+კონფიდორი	0,0324	0,0328	0,0320	2,6
19	ომაიტი+აქტელიკი	0,0439	0,0442	0,0430	2,5
20	ომაიტი+კონფიდორი	0,0298	0,0299	0,0290	2,7
21	რუფასტი+აქტელიკი	0,0329	0,0331	0,0327	2,5
22	რუფასტი+კონფიდორი	0,0324	0,0328	0,0320	2,5
23	სანმაიტი+აქტელიკი	0,0224	0,0227	0,0220	2,7
24	სანმაიტი+კონფიდორი	0,0227	0,0229	0,0224	2,6
25	ფლუმაიტი+აქტელიკი	0,0288	0,0292	0,0280	2,5
26	ფლუმაიტი+კონფიდორი	0,0218	0,0224	0,0200	2,7
27	ორტუსი+აქტელიკი	0,0228	0,0230	0,0224	2,5
28	ორტუსი+აქტარა	0,0231	0,0235	0,0228	2,3
29	მარშალი+ტალსტარი	0,0242	0,0248	0,0240	2,5
30	მარშალი+აქტელიკი	0,0288	0,0292	0,0286	2,4
31	მარშალი+კონფიდორი	0,0218	0,0222	0,0201	2,6
32	ზოლონი (ეტალონი)	0,0932	0,0944	0,0930	2,2

როგორც №4 ცხრილიდან ჩანს, გამოცდილი პრეპარატები მაღალ ტოქსიკურნი არიან აბლაბუდიანი ტკიპას მიმართ. განსაკუთრებით მაღალი ტოქსიკურობა გამოამჟღავნეს კომბინირებულმა ნაზავებმა. ცალკეული პრეპარატებიდან ტოქსიკურობით გამოირჩევიან სპეციფური აკარიციდები – სანმაიტი, ფლუმაიტი და ორტუსი, მათი სკ-50 –0,0212 – 0,0255%-ის ტოლია, მათ ოდნავ ჩამორჩებათ კონფიდორი (0,0248%). ტოქსიკურობის მიხედვით გამოცდილი პრეპარატები შემდეგი კლებადი რიგით განლაგდებიან: სანმაიტი > ფლუმაიტი > ორტუსი > კონფიდორი > გაუჩო > ნეორონი > ომაიტი > ბი-58 > ტალსტარი > დურსბანი > ბაზუდი > მარშალი > აქტელიკი > ზოლონი (ეტალონი). რაც შეეხება კომბინირებულ ნაზავებს, მათში კომპონენტების ტოქსიკურობა ძირითადად გაზრდილია.



პარალელურად ჩავატარეთ ცდები ლიროსექტის და მასთან სხვადასხვა ჯგუფის ინსექტიციდების კომბინირებული ნაზავების ტოქსიკურობის განსაზღვრის მიზნით. კომპონენტების შეფარდება სხვადასხვა იყო. ცხრილი №5-ში მოყვანილია ნაზავების იმ შემადგენლობის ტოქსიკურობა, რომლებმაც საუკეთესო შედეგები მოგვცეს 5:1.

ცხრილი №5

**ლიროსექტი და მისი სხვადასხვა ქიმიური ჯგუფის ინსექტიციდებთან კომბინირებული ნაზავების ტოქსიკურობის მაჩვენებლები ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპას მიმართ**

№	ვარიანტები	სკ-50%	სკ-50% ზედა ზღვარი	სკ-50% ქვედა ზღვარი	დახრილო ბის კუთხე
1	ლიროსექტი	0,0639	0,0642	0,0630	2,0
2	ლიროსექტი+კონფიდორი	0,0237	0,0250	0,0231	2,9
3	ლიროსექტი+გაუჩო	0,0330	0,0338	0,0330	2,7
4	ლიროსექტი+აცეტომიპრილი	0,0241	0,0245	0,0239	2,9
5	ლიროსექტი+ფასტაკი	0,0327	0,0335	0,0320	2,6
6	ლიროსექტი+აქტარა	0,0301	0,0325	0,0289	2,4
7	ლიროსექტი+მარშალი	0,0422	0,0430	0,0420	2,5
8	ლიროსექტი+ტალსტარი	0,0477	0,0482	0,0472	2,9
9	ლიროსექტი+ბულდოკი	0,0481	0,0486	0,0475	2,3
10	ლიროსექტი+რეგენტი	0,0476	0,0479	0,0465	2,2
11	ლიროსექტი+აქტელიკი	0,0573	0,0580	0,0571	2,4
12	ლიროსექტი+ბი-58 (ახალი)	0,0592	0,0599	0,0590	2,4
13	ლიროსექტი+სანმაიტი	0,0376	0,0378	0,0370	2,2
14	ლიროსექტი+ფლუმაიტი	0,0411	0,0422	0,0410	2,3
15	ლიროსექტი+რუფასტი	0,0421	0,0425	0,0420	2,2
16	ლიროსექტი+ორტუსი	0,0427	0,0430	0,0420	2,1
17	ლიროსექტი+ბაზუდინი	0,0597	0,0599	0,0592	2,3
18	ლიროსექტი+ომაიტი	0,0537	0,0538	0,0530	2,2
19	ზოლონი (ეტალონი)	0,0921	0,0925	0,0920	2,0

როგორც მე-5 ცხრილიდან ჩანს, ლიროსექტის ტოქსიკურობა (0,0639%) ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპას მიმართ საკმაოდ მაღალია – თითქმის 50%-ით მეტია ეტალონად აღებულ ზოლონის ტოქსიკურობაზე.

რაც შეეხება კომბინირებულ ნაზავებს, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, ანტაგონიზმს ადგილი არც ერთ ვარიანტში არა აქვს, ე.ი. კომპონენტებით ტოქსიკურობა არ მცირდება. ადიტივობა მიღებულია შემდეგ კომბინაციებში: ლიროსექტი + მარშალი, ლიროსექტი + ტალსტარი, ლიროსექტი + ბულდოკი, ლიროსექტი + რეგენტი, ლიროსექტი + აქტელიკი, ლიროსექტი + ბი-58, ლიროსექტი + სანმაიტი, ლიროსექტი + ფლუმაიტი, ლიროსექტი + რუფასტი, ლიროსექტი + ბაზუდინი, ლიროსექტი + ომაიტი – ამ შემთხვევაში სინერგიზმის კოეფიციენტი 1-ის ფარგლებშია, ხოლო ნაზავებში ლიროსექტი + კონფიდორი, ლიროსექტი + გაუჩო, ლიროსექტი + აცეტომიპრილი, ლიროსექტი + ფასტაკი, ლიროსექტი + აქტარა - აღინიშნა სინერგიზმის მოვლენა, რადგან სინერგიზმის კოეფიციენტი 2-ზე მეტია (ცხრილი №6).

მიუხედავად იმისა, რომ ნაზავების უმეტესობაში არ არის მიღებული სინერგიზმი და ადგილი აქვს ადიტივობას. ე.ი. შემადგენელი კომპონენტების ტოქსიკურობა არ იზრდება, ამ ნაზავების გამოყენება მაინც მიზანშეწონილია, რადგან კომბინირებული ნაზავების მოქმედებით ფერხდება მავნებლების მიერ პრეპარატებისადმი გამძლეობის გამომუშავება და თუ ანტაგონიზმს არა აქვს ადგილი, მათი გამოყენება ყოველთვის სასურველია. მით უმეტეს, გამართლებულია სინერგისტული ნაზავების გამოყენება, რადგან ეს საშუალებას გვაძლევს შევამციროთ პრეპარატების ხარჯვის ნორმები.

(ცხრილი №6) ლიროსექტის და სხვადასხვა ქიმიური ჯგუფის ინსექტიციდების კომბინირებული ნაზავების სინერგიზმის კოეფიციენტების განსაზღვრის შედეგები.

ცხრილი №6

**ლიროსექტის და სხვადასხვა ქიმიური ჯგუფის ინსექტიციდების  
კომბინირებული ნაზავების სინერგიზმის კოეფიციენტების  
განსაზღვრის შედეგები**

№	ვარიანტები	სინერგიზმის კოეფიციენტი
1	2	3
1	ლიროსექტი+კონფიდორი	2,21
2	ლიროსექტი+გაუჩო	2,25
3	ლიროსექტი+აცეტომიპრილი	1,95
4	ლიროსექტი+ფასტაკი	1,99
5	ლიროსექტი+აქტარა	2,0
6	ლიროსექტი+მარშალი	1,02
7	ლიროსექტი+ტალსტარი	0,99
8	ლიროსექტი+ბულდოკი	1,0
9	ლიროსექტი+რეგენტი	1,01
10	ლიროსექტი+აქტელიკი	1,0
11	ლიროსექტი+ბი-58 (ახალი)	1,01
12	ლიროსექტი+სანმაიტი	1,02
13	ლიროსექტი+ფლუმაიტი	1,03
14	ლიროსექტი+რუფასტი	1,02
15	ლიროსექტი+ორტუსი	1,0
16	ლიროსექტი+ ბაზუდინი	1,02
17	ლიროსექტი+ ომაიტი	1,01

პომიდვრის ჟანგა ტკიპას წინააღმდეგ მრავალი პრეპარატი არაეფექტურია. ლიტერატურაში ცნობილია, რომ ტკიპას ამ სახეობის რიცხოვნობას რა ამცირებენ პირეტროიდების ჯგუფის პესტიციდების

უმრავლესობა, ფოსფორორგანულებიდან კი მხოლოდ ზოგიერთს აქვს აკარიციდული აქტივობა. რაც შეეხება ახალ სპეციფიკურ აკარიციდებს, საქართველოში დახურულ გრუნტში ისინი ჯერჯერობით არ არის გამოცდილი. აქედან გამომდინარე, ჩვენ გამოვცადეთ პირეტროიდების ჯგუფიდან ტალსტარი და დანიტოლი, რადგან მათ ახასიათებთ გარკვეული აკარიციდული მოქმედება, ფოსფორორგანულიდან – ბი-58 (ახალი), დურსბანი და ბაზუდინი და ახალი აკარიციდებიდან – სანმაიტი, ფლუმაიტი, ორტუსი და ენვიდორი. აღნიშნული პრეპარატები გამოიცადა 5–5 სხვადასხვა კონცენტრაციით. მიღებული შედეგები დავამუშავეთ პრობიტ-ანალიზის მეთოდით, განვსაზღვრეთ სკ-50, მისი ზღვრები და დახრილობის კუთხე. შედეგები მოცემულია №7 ცხრილში.

ცხრილი №7

**პომიდვრის ჟანგა ტკიპას მიმართ თანამედროვე პრეპარატების ტოქსიკურობის მაჩვენებლები**

№	ვარიანტები	სკ-50	სკ-50-ის ზედა ზღვარი %	სკ-50-ის ქვედა ზღვარი %	დახრილობის კუთხე
1	2	3	4	5	6
1	ტალსტარი	0,0592	0,0596	0,0590	2,9
2	დანიტოლი	0,0632	0,0635	0,0630	2,8
3	ბი-58 (ახალი)	0,0532	0,0540	0,0528	2,8
4	დურსბანი	0,0552	0,0561	0,0549	2,7
5	ბაზუდინი	0,0620	0,0625	0,0615	2,5
6	სანმაიტი	0,0325	0,0328	0,0320	2,9
7	ფლუმაიტი	0,0390	0,0395	0,0385	2,7
8	ორტუსი	0,0328	0,0330	0,0324	2,6
9	ენვიდორი	0,0212	0,0213	0,0202	2,9
10	ზოლონი (ეტალონი)	0,0984	0,01041	0,0980	2,2

№7 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ ეტალონთან (ზოლონი) შედარებით ყველა გამოცდილი პრეპარატი მაღალტოქსიკურია. მათი სკ-50 - 0,0212 – 0,0620%-ის ფარგლებშია, მაშინ, როდესაც ზოლონის სკ-50 0,0984%-ს აღწევს, ხოლო ზედა ზღვარი 0,1%-ზეც მეტია. განსაკუთრებით მაღალეფექტურია სპეციფიკური აკარიციდი ენვიდორი (0,0212%). ტოქსიკურობის მიხედვით გამოცდილი პრეპარატები შემდეგი კლებადი რიგით განლაგდებიან: ენვიდორი > სანმაიტი > ორტუსი > ფლუმაიტი > ბი58 (ახალი) > დურსბანი > ტალსტარი > ბაზუდინი > დანიტოლი. დახრილობის კუთხის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი აქვთ ტალსტარს, სანმაიტს და ენვიდორს (2,9).

პარალელურად იცდებოდა მიკრობიოლოგიური პრეპარატი ლიროსექტი და მისი კომბინირებული ნაზავები სხვა ინსექტიციდებთან. გამოთვლებით გამოირკვა, რომ ლიროსექტის სკ-50 ახლოს არის ბი-58 (ახალი)-ს და დურსბანის ტოქსიკურობის მაჩვენებლებთან და უდრის 0,0544%-ს, დახრილობის კუთხე ტოლია 2,7-ის. ე.ი. მისი კონცენტრაციის შემდგომი გაზრდით, საჭიროების შემთხვევაში ტოქსიკურობა მეტად გაიზრდება, ვიდრე ზოლონის, ოსტურის და ბაზუდინისა. რაც შეეხება კომბინირებულ ნაზავებს, სინერგიზმი მიღებულია შემდეგ ვარიანტებში: ლიროსექტი+ტალსტარი, ლიროსექტი+ბი-58 (ახალი), ლიროსექტი+ბაზუდინი. აღნიშნულ კომბინაციებში კომპონენტების შემცველობა შემცირებულია 2-3-ჯერ. დანარჩენ შემთხვევებში, გარდა ლიროსექტი+დანიტოლის ვარიანტისა, მიღებულია ადიტივობა, ხოლო ამ უკანასკნელში როგორც ლიროსექტის, ასევე დანიტოლის ტოქსიკურობა 1,5 – 1,3-ჯერ მცირდება, რაც ურთიერთმოქმედების ანტაგონისტურ ხასიათზე მიუთითებს.

ბუგრებიდან სათბურებში ვხვდებით ბაღჩის და ატმის ანუ ორანჟერიის ბუგრებს. ძირითადად ისინი აზიანებენ კიტრს. პოლივოლტინურობის

გამო საჭირო ხდება ვეგეტაციის პერიოდში პესტიციდებით რამოდენიმეჯერ დამუშავება. ამჟამად, წარმოებაში თითქმის 100%-ით ქიმიური საშუალებები გამოიყენება, სხვა მეთოდების გამოყენება ვერ ხერხდება სათანადო საშუალებების ჩვენს ქვეყანაში არარსებობის გამო. ბუგრები, როგორც ღია გრუნტში, ასევე განსაკუთრებით სათბურებში ადვილად გამოიმუშავენ რეზისტენტობას გამოყენებული პესტიციდებისადმი, ზოგჯერ პრეპარატის მიმართ მავნებელი უკვე რამოდენიმეჯერ გამოყენების შემდეგ კარგავს მგრძობიარობას, რის გამოც საჭირო ხდება ან მისი კონცენტრაციის გაზრდა ან სხვა უფრო ეფექტური პრეპარატების ძიება. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ზედმეტი დროისა და ფულად დანახარჯებთან, ზოგჯერ საჭირო ხდება პრეპარატების შესასხურებელი აპარატების შეცვლაც. თანამედროვე მაღალეფექტური ინსექტიციდების შერჩევის მიზნით ორივე სახეობის ბუგრების მიმართ გამოვცადეთ: ბი-58 (ახალი), გაუჩო, დეცის-პროფი, მიკრობიოლოგიური პრეპარატი ლიროსექტი, ქრისტესისხლას, ფიჭვისა და ავშნის მცენარეული გამონაწველები. შედეგები მოცემულია №8 და №9 ცხრილებში.

ცხრილი №8

**ბაღჩის ბუგრის მიმართ გამოცდილი პრეპარატების ტოქსიკურობის მაჩვენებლები**

№	ვარიანტები	სკ-50	სკ-50 ზედა ზღვარი %	სკ-50 ქვედა ზღვარი %	დახრი ლობის კუთხე
1	2	3	4	5	6
1.	ბი-58 (ახალი)	0,0424	0,0428	0,0410	2,0
2.	ტალსტარი	0,0412	0,0415	0,0406	2,1
3.	მარშალი	0,0592	0,0598	0,0590	2,1
4.	კონფიდორი	0,0217	0,0221	0,0215	2,6
5.	აცეტომიპრილი	0,0314	0,0320	0,0304	2,6
6.	გაუჩო	0,0357	0,0361	0,0350	2,5

7.	აქტარა	0,0325	0,0331	0,0322	2,5
8.	დეცის პროფი	0,0334	0,0338	0,0330	2,6
9.	ლიროსექტი	0,0627	0,0632	0,0622	2,3
10.	ქრისტესსისხლას ნაყენი	1,3241	1,3245	1,3239	1,3
11.	ფიჭვის ნაყენი	1,3721	1,3734	1,3718	1,2
12.	ავშანის ნაყენი	1,2213	1,2234	1,2213	1,2
13.	ლიროსექტი+მარშალი 10:1	0,0321	0,0432	0,0418	1,9
14.	ლიროსექტი+ტალსტარი 10:1	0,0325	0,0436	0,0420	1,8
15.	ლიროსექტი+კონფიდორი 10:1	0,0274	0,0378	0,0370	1,9
16.	ტალსტარი+ქრისტესსისხლას ნაყენი 1:20	0,0725	0,0736	0,0720	1,8
17.	მარშალი+ქრისტესსისხლას ნაყენი 1:20	0,0818	0,0822	0,0804	1,8
18.	კონფიდორი+ქრისტესსისხლას ნაყენი 1:20	0,0628	0,0634	0,0620	1,8
19.	ტალსტარი+ფიჭვის ნაყენი 1:20	0,0696	0,0706	0,0604	1,3
20.	კონფიდორი+ფიჭვის ნაყენი 1:20	0,0711	0,0712	0,0700	1,6
21.	ტალსტარი+ავშანის ნაყენი 1:20	0,0894	0,0911	0,0828	1,7
22.	აქტარა+ავშანის ნაყენი 1:20	0,0817	0,0864	0,0794	1,7
23.	ზოლონი (ეტალონი)	0,1435	0,1446	0,1431	1,6

მე-8 ცხრილის მონაცემებით ჩანს, რომ ბაღჩის ბუგრის მიმართ ყველაზე მაღალ ტოქსიკურობას ამჟღავნებს კონფიდორი (0,0217%), მას ოდნავ ჩამორჩებიან აცეტომიპრილი (0,0324) და დეცის პროფი (0,0334%) და აქტარა (0,0325%). ლიროსექტის სკ-50 ტოლია 0.0627%-ის და ორჯერ მეტად ტოქსიკურია, ვიდრე ეტალონად აღებული ზოლონი. როგორც მოსალოდნელი იყო, მცენარეების გამონაწველილის ტოქსიკურობა საგრძნობლად დაბალია. ტოქსიკურობის გაზრდის მიზნით მათ ვუმატებდით ინსექტიციდების მეტად დაბალ, სუბლეტარულ კონცენტრატებს, რის შედეგადაც ტალსტარის+ქრისტესსისხლას სკ-მ 0,0725% შეადგინა, მარშალისა და კონფიდორის ქრისტესსისხლასთან კომბინირებული ნაზავებისადმი კი შესაბამისად 0,0818% და 0,0628%.

ღირსეუბრის კომბინირებით მარშალთან, ტალსტართან და კონფიდორთან მისი ტოქსიკურობა იზრდება.

ატმის ანუ ორანჟერიის ბუგრის მიმართ აღნიშნული პრეპარატების ტოქსიკურობის განსაზღვრის შედეგები მოცემულია №9 ცხრილში.

ცხრილი №9

**ატმის ანუ ორანჟერიის ბუგრის მიმართ პრეპარატების ტოქსიკურობის მაჩვენებლები**

№	ვარიანტები	სკ-50	სკ-50 ზედა ზღვარი %	სკ-50 ქვედა ზღვარი %	დახრი ლობის კუთხე
1	2	3	4	5	6
1	ბი-58 (ახალი)	0,0526	0,0531	0,0520	2,9
2	ტალსტარი	0,0496	0,0498	0,0490	2,8
3	მარშალი	0,0599	0,0624	0,0598	2,9
4	კონფიდორი	0,0286	0,0292	0,0283	2,7
5	აცეტომიპრილი	0,0393	0,0396	0,0386	2,7
6	გაუჩო	0,0394	0,0398	0,0390	2,9
7	აქტარა	0,0396	0,0398	0,0380	2,8
8	დეცის პროფი	0,0392	0,0396	0,0590	2,7
9	ღირსეუბრი	0,0682	0,0686	0,0679	2,7
10	ქრისტესისხლას ნაყენი	1,3846	1,3921	1,3801	1,4
11	ფიჭვის გამონაწველილი	1,4127	1,4420	1,4006	1,2
12	ავშანის გამონაწველილი	1,3292	1,3621	1,3062	1,3
13	ღირსეუბრი+ტალსტარი 10:1	0,0428	0,0464	0,0420	1,8
14	ღირსეუბრი+მარშალი 10:1	0,0436	0,0500	0,0406	1,7
15	ტალსტარი+ქრისტესისხლას ნაყენი 1:20	0,09914	0,9986	0,9811	1,8
16	მარშალი+ქრისტესისხლას ნაყენი 1:20	0,0946	0,0951	0,0940	1,7
17	კონფიდორი+ქრისტესისხლას ნაყენი1:20	0,0724	0,0881	0,0720	1,9
18	ტალსტარი+ფიჭვის გამონაწველილი 1:20	0,0736	0,0741	0,0730	1,8
19	კონფიდორი+ფიჭვის გამონაწველილი 1:20	0,0862	0,0897	0,0811	1,7



20	ტალსტარი+ავშანის გამონაწველილი 1:20	0,0923	0,0981	0,0900	1,6
21	აქტარა+ავშანის გამონაწველილი	0,0981	0,0994	0,0874	1,5
22	ზოლონი (ეტალონი)	0,1484	0,1511	0,1416	1,8

ატმის ბუგრის მიმართ გამოცდილი პრეპარატები ოდნავ ნაკლებადტოქსიკურია, ვიდრე ბაღჩის ბუგრის. თუმცა ეტალონთან შედარებით ამ შემთხვევაშიც გაცილებით მაღალტოქსიკურნი არიან. კანონზომიერება როგორც სკ-50-ის მაჩვენებლების, ასევე დახრილობის კუთხის მიხედვით, იგივეა რაც ბაღჩის ბუგრის მიმართ, კერძოდ, ყველაზე ტოქსიკურია აქაც კონფიდორი (0,0286%), შემდეგ მოდიან აცეტომიპრილი, დეცის პროფი, გაუჩო და აქტარა. ლიროსექტის სკ-50 ატმის ბუგრის მიმართ 0,0682%-ის ტოლია, ხოლო მცენარეული გამონაწველების ტოქსიკურობა ამ შემთხვევაშიც ქიმიური ნაერთების სუბლეტარული კონცენტრაციების დამატებით საგრძნობლად იზრდება. რაც შეეხება დახრილობის კუთხეს, ატმის ბუგრის შემთხვევაში უმეტესად მეტია, ვიდრე ბაღჩის ბუგრისათვის.

სათბურებში ხშირად გამოყავთ კომბოსტოს ჩითილები, რომლებსაც მავნებელთა გარკვეული სახეობები აზიანებენ. აღმოსავლეთ საქართველოს სათბურებში ესენი არიან: კომბოსტოს თეთრულა (*Pieris brassicae* L), კომბოსტოს ბუგრი (*Brevicorine brassicae* L) და კომბოსტოს ჩრჩილი (*Plutella maculipennis* Curt) განეკუთვნებიან ჯვაროსანთა მავნებლებს. ისინი ძლიერ აზიანებენ როგორც საადრეო, ასევე საგვიანო კომბოსტოს ფოთლებს. კომბოსტოს თეთრულას ახალგაზრდა მატლებს, შემდგომ კი მოზრდილებს შეუძლიათ მთლიანად გაანადგურონ კომბოსტოს ფოთოლი, მთავარი ძარღვებისა და ღეროს გამოკლებით. ბუგრი წუწნით აზიანებს ფოთლებს. დაზიანებულ ფოთლებზე ჩნდება მურა ფერის ლაქები, ბუგრები გამოყოფენ თხევად

წებოვან ექსკრემენტებს. ცხრილი №10-ში მოცემულია კომბოსტოს ბუგრის მიმართ თანამედროვე პრეპარატების და მათი მცენარეული გამონაწველებთან კომბინირებული ნაზავების ტოქსიკურობის მაჩვენებლები.

ცხრილი №10

**კომბოსტოს თეთრულას მიმართ თანამედროვე პრეპარატების, მცენარეული ნაყენების და კომბინირებული ნაზავების ტოქსიკურობის მაჩვენებლები**

№	ვარიანტები	სკ-50	სკ-50-ის ზედა ზღვარი %	სკ-50-ის ქვედა ზღვარი %	დახრილობის კუთხე
1	2	3	4	5	6
1	ბი-58 (ახალი)	0,0728	0,0732	0,0720	2,6
2	ტალსტარი	0,0637	0,0639	0,0631	2,8
3	მარშალი	0,0749	0,0752	0,0740	2,4
4	კონფიდორი	0,0369	0,0372	0,0357	2,9
5	აცეტომიპრილი	0,0372	0,0375	0,0361	2,9
6	გაუჩო	0,0428	0,0430	0,0421	2,7
7	აქტარა	0,0437	0,0439	0,0432	2,6
8	დეცის პროფი	0,0389	0,0393	0,0381	2,7
9	ლიროსექტი	0,0939	0,0942	0,0932	2,7
10	ქრისტესსისხლას ნაყენი	2,3784	2,3789	0,3772	1,2
11	ფიჭვის ნაყენი	2,5271	2,5306	2,5025	1,1
12	ავშანის ნაყენი	2,2218	2,2240	2,2106	1,4
13	კანაფის ნაყენი	2,2424	2,2511	2,2400	1,4
14	ანწლის ნაყენი	2,4437	2,4526	2,4316	1,4
15	ლენცოფას ნაყენი	2,2114	2,2237	2,1889	1,5
16	ლიროსექტი+ქრისტესსისხლას ნაყენი 1:10	1,3218	1,3421	1,3001	1,7
17	ლიროსექტი+ფიჭვის ნაყენი 1:10	1,3384	1,3539	1,3084	1,5
18	კანაფის ნაყენი+ბუღლოკი 10:1	0,0971	0,0988	0,0900	1,5
19	ლენცოფას ნაყენი+ბუღლოკი 10:1	0,2391	0,2490	0,2006	1,6

20	ლენცოფას ნაყენი+ბიტოქსიბაცილინი10:1	0,9984	0,9996	0,9980	1,5
21	ლიროსექტი+ტალსტარი 10:1	0,0539	0,0547	0,0530	1,5
22	ლიროსექტი+მარშალი 10:1	0,0739	0,0744	0,0730	1,6
23	ლიროსექტი+აქტარა 10:1	0,0528	0,0539	0,0520	1,6
1	ბი 58 (ახალი) 0,1% 0,2%	96,3 97,8	96,0 97,1	95,5 96,9	95,0 96,1
2	ტალსტარი 0,04% 0,06%	95,3 97,2	95,0 97,0	94,3 96,8	94,0 96,2
3	მარშალი 0,1% 0,2%	96,5 97,6	96,2 97,0	95,8 96,3	95,2 96,0
4	კონფიდორი 0,03% 0,04%	97,9 98,2	97,0 98,0	96,8 97,3	96,5 97,0
5	ფიური 0,015% 0,02%	87,5 97,7	85,3 97,2	84,0 96,6	82,0 95,5
6	აცეტლმიპრილი 0,03%	96,2	96,0	95,5	95,3

	0,05%	96,9	96,2	96,0	95,5
7	გაუჩო 0,02% 0,03%	86,2	85,9	84,2	82,1
		95,5	95,0	94,3	93,1
8	აქტარა 0,03% 0,04%	95,4	95,0	94,2	93,8
		97,1	97,0	96,5	95,5
9	დეცის პროფი 0,02% 0,03%	96,4	96,0	95,5	95,1
		97,8	97,2	96,5	96,0
10	ბუღლოკი 0,02% 0,03%	92,0	90,1	89,8	88,2
		96,3	96,1	95,9	95,2
11	ლიროსექტი 0,1% 0,2%	91,0	88,2	79,6	70,1
		94,2	89,1	82,3	81,0
12	ქრისტესისხლას ნაყენი 2,0% 2,5%	85,5	83,0	79,7	77,2
		90,6	85,3	81,1	79,3
13	აეშანის ნაყენი 2,0% 2,5%	88,1	82,7	79,3	66,2
		93,0	84,8	82,1	67,9
14	• ჩვ. კანაფის ნაყენი 2,0% 2,5%	60,1	58,7	56,4	54,2
		82,1	80,2	79,7	76,5
15	ანწლის ნაყენი 2,0% 2,5%	67,6	66,9	62,1	59,8
		82,3	80,6	79,7	76,4
16	ქრისტესისხლა 2,5% + ბუღლოკი 0,015%	96,5	96,2	95,8	95,0
17	აეშანის ნაყენი 2,5% + ბუღლოკი 0,015%	92,1	90,4	88,7	86,5
18	ჩვ. კანაფი 2,5% + ბუღლოკი 0,015%	96,8	96,0	95,7	95,2
19	ლიროსექტი 0,1% + ბუღლოკი 0,015%	97,1	97,0	96,4	95,3
20	ლიროსექტი 0,1% + მარშალი 0,02%	97,0	96,5	96,0	95,5
21	ლიროსექტი 0,1% + ტალსტარი 0,02%	97,1	96,5	96,4	95,3
22	ლიროსექტი 0,1% + კონფიდორი 0,02%	97,8	97,0	96,5	96,0
23	ჩვ. კანაფი 2% + ბიტოქსიბაცილინი 0,3%	95,8	95,1	94,9	94,6
24	ჩვ. კანაფი 2% + ლიროსექტი 0,2%	95,8	95,5	95,1	94,8
25	ქრისტესისხლა 2% + ლიროსექტი 0,2%	96,4	96,2	96,0	95,7
26	ზოლონი 0,2% (ეგალონი)	778,7	70,4	68,2	65,5

№ 30 ცხრილიდან ჩანს, რომ გამოცდილი ინსექტიციდები, გარდა ფიურისა, ბუღლოკისა და გაუჩოსი, ორივე გამოცდილი კონცენტრაციით იწვევენ მაღალი – 95%-ზე მეტი ეფექტურობას. ხოლო ეს ორი პრეპარატი ანალოგიურ შედეგებს გვაძლევენ მხოლოდ გაზრდილი კონცენტრაციებით. ლიროსექტის ეფექტურობა 0,1%-იანი ემულსიით არის 91,0 – 70,1% აღრიცხვის დღეების მიხედვით, ხოლო 0,2%-იანი ემულსიით – 94,2-81,0% კიდევ უფრო დაბალია მცენარეული ნაყენების ეფექტურობა, თუმცა ორივე შემთხვევაში კომბინირებულ ნაზავებში მათი ეფექტურობა ბევრად მეტია – 92-96%-ის ფარგლებშია.

ეტალონის (ზოლონი) ეფექტურობაც მავნებლის მიმართ ნაკლებია, ვიდრე კომბოსტოს თეთრულას და კომბოსტოს ბუგრის მიმართ.

## თ ა ვ ი V

### თანამედროვე პესტიციდების გავლენა დასაცავ მცენარეებზე და მათი დაშლის დინამიკა

პესტიციდების ფიზიკურ-ქიმიური და ტოქსიკოლოგიური თვისებების გამო, მათი გამოყენების კონცენტრაციის და ხარჯვის ნორმის, აგრეთვე მცენარის სახეობრივი და ასაკობრივი ნიშნების მიხედვით პესტიციდის ზემოქმედება მცენარეზე შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. პესტიციდების გამოყენების რეგლამენტების დარღვევის შემთხვევაში მცენარე შეიძლება ამა-თუ იმ ხარისხით დაზიანდეს, რაც მისი ცხოველმყოფელობის შემცირებით გამოიხატება ზოგჯერ ადგილი აქვს გარეგან დაზიანებას – ფიტოტოქსიკურობას.

პესტიციდების გავლენით მცენარის ყველა ორგანო შეიძლება დაზიანდეს: ფოთოლი, ყვავილი, ნაყოფი, ყლორტი, ღეროს ქერქი და ფესვთა სისტემა, დაზიანებულ ფოთოლზე ჩნდება მუქი ფერის ბადეები ან მოყავისფრო ლაქები. ფოთოლი ყვითლდება, ხმება და ცვივა. ნაყოფებზე ჩნდება ანალოგიური ბადეები და ლაქები, იგი დეფორმირდება, ყვავილი ჭკნება და ცვივა, ღეროს ქერქი უხეშდება, ხოლო ფესვთა სისტემა ზრდაში ჩამორჩება.

პრეპარატების სწორი და უსაფრთხო გამოყენებისათვის ფიტოტოქსიკურობის შესწავლა აუცილებელია.

მკვლევართა აზრით, პესტიციდები ღრმა ფიზიოლოგიურ ცვლილებებს იწვევენ როგორც ერთწლიან, ისე მრავალწლიან მცენარეებში. მცირე

დოზებით ისინი მცენარეს ასტიმულირებენ, დიდი დოზებით კი მოქმედებენ როგორც ინჰიბიტორები (Сазонов, 1948; Баби, 1966).

თავდაპირველი გამოკვლევები, რომლებიც ეხებოდნენ ინსექტიციდების მცენარეზე გავლენას, ჩატარებული იყო ძირითადად არაორგანულ ინსექტიციდებზე და მინერალურ ზეთებზე (Еиделман, 1938).

პრეპარატის ფიტოტოქსიკურობაზე დიდ გავლენას ახდენს მეტეოროლოგიური პირობები. მცენარის საპასუხო რეაქცია

პრეპარატების მიმართ ერთნაირი არ არის. იგი დამოკიდებულია მის ანატომიურ, მორფოლოგიურ და ფიზიოლოგიურ თვისებებზე. ზოგჯერ პესტიციდებით მცენარის დამუშავება იწვევს მასში ქლოროფილის შემცველობის ცვლილებას. სპეციალური ცდებით (Лупово, 1961) დადგენილია, რომ ქლორ და ფოსფორორგანული პესტიციდები მათი გამოყენების პირობების, ნიადაგის სინესტის, ტემპერატურის და სხვა ფაქტორების გავლენით სხვადასხვა მოქმედების ხასიათს ამჟღავნებენ მცენარის უჯრედებზე.

არსებობს მონაცემები (Бабий, 1966), რომ მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებები მოქმედებენ მცენარის ფიზიოლოგიურ პროცესებზე (სუნთქვა, ფერმენტების აქტივობა, ამინომჟავები შემადგენლობა), რის შედეგადაც მცირდება ქლოროფილის შემადგენლობა, სუსტდება ნივთიერებათა ცვლა და სხვა. პესტიციდების ფიტოტოქსიკურობის შესწავლისათვის სხვადასხვა შეფასებები არსებობს. ეიდელმანის მიერ (Еиделман, 1932) მოწოდებული იყო ფოთლების დაწვის 5 ბალიანი შეფასება. ს. ქარუმიძე აღნიშნავს დამწვრობის 3 სახეს: სუსტს, საშუალოს და ძლიერს (Карумидзе, 1960). გარი (Гар, 1963) ანასხვაავებს ფიტოტოქსიკურობის მწვავე და ქრონიკულ თვისებებს. მწვავე ფიტოტოქსიკურობა ვლინდება ადგილობრივი ნეკროზების სახით და ფოთლის ზედაპირის, ყლორტების დაზიანებით და ფოთლების ცვენით.

ქრონიკული ფიტოტოქსიკურობა გამოხატულია მცენარის ზრდის შეფერხებით, მოსავლის შემცირებით და ბოლოს, მცენარის დაღუპვით. გ. გეგენავას მიერ პესტიციდების ფიტოტოქსიკურობის შესაფასებლად შემუშავებულია 12-ბალიანი კლასიფიკაცია (Гегенава, 1958):

- 0 კლასი – დამწვრობას ადგილი არა აქვს;
- 1 კლასი – ფოთლის ფართის 0-დან 3%-მდე დაწვა;
- 2 კლასი – ფოთლის ფართის 3-დან 6%-მდე დაწვა;
- 3 კლასი – ფოთლის ფართის 6-დან 12%-მდე დაწვა;
- 4 კლასი – ფოთლის ფართის 12-დან 25%-მდე დაწვა;
- 5 კლასი – ფოთლის ფართის 25-დან 50%-მდე დაწვა;
- 6 კლასი – ფოთლის ფართის 50-დან 75%-მდე დაწვა;
- 7 კლასი – ფოთლის ფართის 75-დან 87%-მდე დაწვა;
- 8 კლასი – ფოთლის ფართის 87-დან 94%-მდე დაწვა;
- 9 კლასი – ფოთლის ფართის 94-დან 97%-მდე დაწვა;
- 10 კლასი – ფოთლის ფართის 97-დან 100%-მდე დაწვა;
- 11 კლასი – ფოთლის ფართის 100%-იანი დაწვა.

ეს ბალები შესაბამისი ინტერპოლაციის შედეგად გადაყვანილი უნდა იქნას პროცენტებში. შემდეგ გუიპლისი-მიხაილისის (გეგენავა, 1963) ფორმულით

$$\Delta y = \Delta 50 - 2,6 \Delta 50 - \Delta 8$$

გამოითვლება ის მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც უვნებელია მცენარისათვის. ამ ფორმულაში  $y$  არის საძიებელი სიდიდე, ე.ი. უვნებელი კონცენტრაცია.  $\Delta 50$  და  $\Delta 8$  ის კონცენტრაციებია, რომლებიც იწვევს შესაბამისად 50 და 8%-იან დამწვრობას. ეს მეთოდი ყველაზე

ზუსტი და მისაღებია ჩვენი მიზნებისათვის – პესტიციდების ფიტოტოქსიკურობის განსაზღვრისათვის.

შევარჩიეთ რა სათბურის მანებლების მიმართ ეფექტური პრეპარატები, შევისწავლეთ მათი ფიტოტოქსიკურობა ყვავილების და ფოთლების მიმართ, რისთვისაც მცენარეებს გასხურებდით პესტიციდების სხვადასხვა კონცენტრაციით. ფიტოტოქსიკურობაზე აღრიცხვებს ვატარებდით შესხურებიდან 10-15 დღის შემდეგ ზემოთ აღნიშნული 12 ბალიანი სისტემით.

სისტემით (ცხ

## ინსექტიციდების ფიტოტოქსიკურობა სათბურის კულტურების მიმართ

ვარიანტები	დაწვის საშუალო %								
	კულტურა								
	პომიდორი		კიტრი		კომბოსტო	წიწაკა		ბადრიჯანი	
	ფოთოლი	ყვავილი	ფოთოლი	ყვავილი	ფოთოლი	ფოთოლი	ყვავილი	ფოთოლი	ყვავილი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
<b>ბი-58 ახალი</b>									
0,8%	1,5	1,8	1,2	1,7	1,3	1,6	1,9	1,7	1,8
0,4%	0,38	0,42	0,32	0,35	0,45	0,44	0,52	0,48	0,52
0,2%	0	0	0	0	0	0,05	0,06	0,07	0,05
0,1%	0	0	0	0	0	0	0	0	0
<b>ტალსტარი</b>									
0,4%	0,84	0,90	0,78	0,81	0,65	0,87	0,91	0,92	0,95
0,2%	0,25	0,28	0,20	0,18	0,21	0,28	0,32	0,31	0,34
0,1%	0	0	0	0	0	0	0	0,06	0,08
0,05%	0	0	0	0	0	0	0	0	0
<b>მარშალი</b>									
0,4%	0,30	0,33	0,30	0,30	0,28	0,35	0,38	0,37	0,40
0,2%	0	0	0	0	0	0,08	0,06	0,09	0,11
0,1%	0	0	0	0	0	0	0	0,06	0,05
0,05%	0	0	0	0	0	0	0	0	0
<b>კონფიდორი</b>									
0,4%	0,37	0,39	0,30	0,32	0,30	0,39	0,41	0,38	0,42
0,2%	0,11	0,13	0,25	0,27	0,18	0,19	0,21	0,16	0,18
0,1%	0	0	0	0	0	0,08	0,09	0,07	0,05

0,05%	0	0	0	0	0	0	0	0	0
<b>ფიური</b>									
0,4%	0,32	0,35	0,28	0,29	0,18	0,35	0,37	0,38	0,39
0,2%	0	0	0	0	0	0,11	0,13	0,09	0,11
0,1%	0	0	0	0	0	0	0	0,02	0,03
0,05%	0	0	0	0	0	0	0	0	0
<b>აკტომიპრილი</b>									
0,2%	0,25	0,27	0,18	0,19	0,11	0,28	0,29	0,31	0,33
0,1%	0	0	0	0	0	0	0,18	0,11	0,14
0,05%	0	0	0	0	0	0	0	0	0,04
0,025%	0	0	0	0	0	0	0	0	0
<b>გაუნო</b>									
0,4%	0,37	0,39	0,34	0,35	0,29	0,39	0,41	0,37	0,43
0,2%	0,19	0,22	0,17	0,23	0,15	0,22	0,24	0,25	0,27
0,12%	0	0	0	0	0	0,08	0,09	0,06	0,07
0,05%	0	0	0	0	0	0	0	0	0
<b>აკტარა</b>									
0,4%	0,58	0,61	0,48	0,52	0,38	0,64	0,66	0,67	0,69
0,2%	0,39	0,42	0,32	0,29	0,22	0,44	0,47	0,41	0,43
0,1%	0	0	0	0	0	0,08	0,09	0,07	0,09
0,05%	0	0	0	0	0	0	0	0	0
<b>დეცის პროფი</b>									
0,2%	0,28	0,31	0,25	0,27	0,18	0,35	0,37	0,36	0,39
0,1%	0	0	0	0	0	0,12	0,14	0,13	0,18
0,05%	0	0	0	0	0	0,04	0,06	0,08	0,09
0,025%	0	0	0	0	0	0	0	0	0
<b>ბუდლოკი</b>									
0,4%	0,48	0,51	0,46	0,49	0,37	0,51	0,53	0,54	0,56
0,2%	0,27	0,29	0,24	0,25	0,21	0,32	0,34	0,34	0,36



0,1%	0	0	0	0	0	0,14	0,15	0,17	0,19
0,05%	0	0	0	0	0	0	0	0	0
<b>ლიროსექტი</b>									
0,8%	0,17	0,19	0,12	0,10	0,12	0,19	0,2	0,21	0,23
0,4%	0	0	0	0	0	0	0	0,11	0,13
0,2%	0	0	0	0	0	0	0	0,04	0,06
0,1%	0	0	0	0	0	0	0	0	0
<b>ქრისტესისხლას ნაყენი</b>									
4,0%	0,12	0,13	0,08	0,09	0,11	0,14	0,16	0,17	0,19
2%	0	0	0	0	0	0	0	0,05	0,08
1%	0	0	0	0	0	0	0	0	0
<b>ქრისტესისხლას ნაყენი+ბუდლოკი</b>									
2,5%+0,04%	0	0	0	0	0	0	0	0,08	0,1
2,0%+0,02%	0	0	0	0	0	0	0	0	0

მიღებული მონაცემები დამუშავდა მათემატიკურად და გამოთვლილი იქნა პრეპარატების ფიტოტოქსიკურობის თვალსაზრისით უვნებელი კონცენტრაციები, უფრო ზუსტად ის კონცენტრაციები, რომლებიც იწვევენ ფოთლის ფართის და ყვავილის მხოლოდ 0,01%-ით დაწვას.

სათბურის კულტურების მიმართ პრეპარატების უვნებელი  
კონცენტრაციები ( 0,01)

გარანტები	0,01									
	პომიდორი		კიტრი		კომბოს ტო	წიწაკა		ბადრიჯანი		
	ფოთო ლი	ყვავი ლი	ფოთო ლი	ყვავი ლი	ფოთო ლი	ფოთო ლი	ყვავი ლი	ფოთო ლი	ყვავი ლი	
ბი-58 (ახალი)	0,32	0,30	0,35	0,30	0,34	0,32	0,30	0,34	0,32	
ტალსტარი	0,18	0,16	0,17	0,15	0,21	0,12	0,11	0,14	0,12	
მარშალი	0,34	0,32	0,35	0,32	0,37	0,28	0,20	0,27	0,22	
კონფიდორი	0,20	0,18	0,18	0,16	0,22	0,18	0,17	0,2	0,18	
ფიური	0,19	0,17	0,21	0,20	0,24	0,17	0,16	0,18	0,14	
აცეტომიპრილი	0,18	0,16	0,17	0,17	0,19	0,16	0,14	0,15	0,14	
გაუზო	0,15	0,13	0,16	0,12	0,14	0,14	0,12	0,14	0,11	
აქტარა	0,16	0,15	0,17	0,13	0,12	0,14	0,11	0,13	0,12	
დეცის პროფი	0,15	0,13	0,16	0,14	0,18	0,13	0,10	0,12	0,11	
ბულდოკი	0,18	0,17	0,18	0,16	0,18	0,16	0,15	0,16	0,16	
ლიროსექტი	0,68	0,66	0,70	0,69	0,72	0,66	0,64	0,67	0,63	
ქრისტესისხლას ნაყენი	3,8	3,6	3,4	3,3	3,6	3,4	3,2	3,5	3,3	
ქრისტესისხლას ნაყენი+ბულდოკი	2,6	2,4	2,5	2,3	2,7	2,3	2,2	2,2	2,1	



№32 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ ჩვენს მიერ გამოცდილი პრეპარატები არ არიან ფიტოტოქსიკურნი ბოსტნეული კულტურების მიმართ. კერძოდ, ის კონცენტრაციები, რომლებიც იწვევენ ფოთლის და ყვავილის 0,01%-ით დაწვას, ბევრად მაღალია რეკომენდირებულ კონცენტრაციებზე. ასე, მაგალითად, ბი-58-სათვის უვნებელი კონცენტრაცია კულტურების მიხედვით, როგორც ფოთლებზე, ასევე ყვავილებისათვის შეადგენს 0,3-0,34%-ს, მაშინ როდესაც მისი გამოყენების რეკომენდირებული კონცენტრაცია 0,1-0,15%-ს არ აღემატება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ 0,3-0,34%-ზე მაღალი კონცენტრაციით გამოყენების შემთხვევაში ადგილი ექნება მცენარის მნიშვნელოვან დაწვას. ამ შემთხვევაში დაიწვება ფოთლის უმნიშვნელო ნაწილი. ტალსტარის უვნებელი კონცენტრაციები – 0,21-0,12%, მაშინ როდესაც იგი გამოიყენება 0,03-0,05%-იანი კონცენტრაციით და ა. შ. ლიროსექტის უვნებელი კონცენტრაცია არის 0,63-0,72%, მაშინ როდესაც იგი გამოიყენება 0,15-0,2%-იანი კონცენტრაციით. მცენარეული პესტიციდის – ქრისტესსისხლას უვნებელი კონცენტრაციებია – 3,8-3,3%, მაშინ, როდესაც დამაკმაყოფილებელი შედეგები მავნებლის მიმართ მიღებულია მისი 2,0=2,5%-იანი კონცენტრაციით გამოყენებით.

ჩითილების ზრდა-განვითარებაზე პესტიციდების გავლენის შესწავლის მიზნით ჩატარდა გაზომვები, როგორც საცდელ ვარიანტებში, ასევე კონტროლში. გაზომილი იქნა ჩითილების ღეროს სისქე, სიგრძე, ფოთლის საშუალო ფართი და ფესვთა საერთო სიგრძე (ცხრილი №32)

## პესტიციდების გავლენა ჩითილების ზრდა-განვითარებაზე

	პომიდორი				კიტრი				კომბოსტო				წიწაკა				ბალრიჯანი			
	დერ ოს	დერ ოს	ფოთ ლის	ფოთ ლის	დერ ოს	დერ ოს	ფოთ ლის	ფოთ ლის	დერ ოს	დერ ოს	ფოთ ლის	ფოთ ლის	დერ ოს	დერ ოს	ფოთ ლის	ფოთ ლის	დერ ოს	დერ ოს	ფოთ ლის	ფოთ ლის
	სის ქე (მმ)	სიგრ ძე (სმ)	ჯამ ური ფარ თი (სმ.2)	ჯამუ რი სიგრ ძე (მ)	სის ქე (მმ)	სიგრ ძე (სმ)	ჯამუ რი ფარ თი (სმ.2)	ჯამუ რი სიგრ ძე (მ)	სის ქე (მმ)	სიგრ ძე (სმ)	ჯამუ რი ფარ თი (სმ.2)	ჯამუ რი სიგ რძე (მ)	სის ქე (მმ)	სიგრ ძე (სმ)	ჯამ ური ფარ თი (სმ.2)	ჯამუ რი სიგ რძე (მ)	სის ქე (მმ)	სიგრ ძე (სმ)	ჯამუ რი ფარ თი (სმ.2)	ჯამუ რი სიგრ ძე (მ)
ბი-58 ახალი	2,8	21,5	25,6	4,9	3,4	25,7	28,5	8,3	3,1	10,2	27,7	6,5	2,3	15,6	27,5	5,5	3,3	19,7	27,9	5,6
ტალსტარი	2,8	22,3	26,4	5,2	3,6	27,6	29,7	8,9	3,4	10,9	28,4	6,7	2,5	15,9	27,9	5,7	3,4	19,9	28,5	5,9
მარშალი	2,8	21,8	26,7	4,8	3,5	26,5	28,6	8,5	3,2	10,6	27,5	6,4	2,3	15,5	27,5	5,7	3,3	19,8	27,6	5,5
კონფიდორი	2,8	22,5	26,8	5,3	3,7	27,2	29,4	9,4	3,3	10,6	27,7	6,6	2,4	16	27,8	5,8	3,5	19,8	27,7	5,8
ფიური	2,7	22,7	26,9	5,4	3,7	27,5	29,9	9,5	3,6	10,9	28,9	6,9	2,5	17,5	27,9	5,9	3,9	20,0	29,1	6,2
აცეტომიპრილ	2,8	22,7	27,0	5,9	3,6	27,6	30,0	9,7	3,5	10,7	27,9	6,7	2,4	16,5	27,6	5,8	3,6	20,0	28,4	5,9
გაუნო	2,7	22,6	26,8	5,8	3,6	27,5	30,0	9,7	3,5	10,5	27,6	6,7	2,4	16,7	27,6	5,8	3,7	19,7	28,3	5,8

პესტიციდების გავლენა ჩითილების ზრდა-განვითარებაზე

	პომიდორი				კიტრი				ომბოსტო				წიწაკა				ბადრიჯანი			
	ღერ ოს	ღერ ოს	ფოთ ლის	ფოთ ლის	ღერ ოს	ღერ ოს	ფოთ ლის	ფოთ ლის	ღერ ოს	ღერ ოს	ფოთ ლის	ფოთ ლის	ღერ ოს	ღერ ოს	ფოთ ლის	ფოთ ლის	ღერ ოს	ღერ ოს	ფოთ ლის	ფოთ ლის
	სის ქე (მმ)	სიგრ ძე (სმ)	ჯამ ური ფარ თი (სმ.2)	ჯამუ რი სიგრ ძე (მ)	სის ქე (მმ)	სიგრ ძე (სმ)	ჯამუ რი ფარ თი (სმ.2)	ჯამუ რი სიგრ ძე (მ)	სის ქე (მმ)	სიგრ ძე (სმ)	ჯამუ რი ფარ თი (სმ.2)	ჯამუ რი სიგ რძე (მ)	სის ქე (მმ)	სიგრ ძე (სმ)	ჯამ ური ფარ თი (სმ.2)	ჯამუ რი სიგ რძე (მ)	სის ქე (მმ)	სიგრ ძე (სმ)	ჯამუ რი ფარ თი (სმ.2)	ჯამუ რი სიგრ ძე (მ)
აქტარა	2,7	22,5	26,4	5,6	3,5	26,8	29,6	9,4	3,6	10,6	27,5	6,5	2,5	16,9	27,5	5,6	3,6	21,0	27,6	5,7
დეცის პროფი	2,8	22,8	26,9	5,9	3,8	27,9	30,0	9,9	3,9	11,2	28,4	6,9	2,7	17,8	28,5	6,0	4,2	21,2	29,4	6,3
ბულდოკი	2,8	22,8	27,0	5,9	3,8	27,9	30,1	9,9	3,9	11,4	28,5	7,0	2,7	17,9	28,4	6,1	4,2	18,5	29,3	6,4
ლიროსექტი	2,6	21,4	25,4	4,7	3,3	24,6	28,0	8,0	3,0	10,0	26,5	6,3	2,0	15,0	26,0	5,0	3,0	18,6	26,0	5,2
ქრისტესსისხ ლას ნაყენი + ბულდოკი	2,7	22,4	26,3	5,1	3,6	26,8	28,9	8,6	3,4	10,9	22,9	6,5	2,4	16,8	27,5	5,6	3,8		27,0	5,9
კონტროლი (შეუსხურებე ლი)	2,0	19,7	22,5	4,0	2,9	19,6	25,3	7,5	2,0	8,9	19,5	5,1	1,8	14,0	22,0	4,7	2,6	17,2	22,0	4,7

№33 ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ გამოცდილი პრეპარატები დადებითად მოქმედებენ ჩითილების ზრდა-განვითარებაზე. იზრდება ყველა მაჩვენებელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია პირეტროიდების დადებითი გავლენა. გარდა იმისა, რომ ამ პრეპარატების გავლენით მინიმუმამდე მცირდება მავნე მწერების რიცხოვნობა და აქედან გამომდინარე, მათი უარყოფითი მოქმედება მცენარეზე, რაც მის უკეთესად განვითარების პირობებს ქმნის, პირეტროიდების დამატებითი დადებითი მოქმედება აიხსნება მათი მასტიმულირებელი მოქმედებით. კონტროლთან (შეუსხურებელი) შედარებით ყველა ვარიანტში, ყველა კულტურისათვის ღეროს სიგრძე, ღეროს სისქე, ფოთლის ფართი და ფესვთა ჯამური სიგრძე 20-30%-ით იზრდება.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პესტიციდები მოქმედებენ მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე. ისინი იწვევენ ნაყოფების ბიოქიმიური შემადგენლობის ცვლილებებს. მეკლევართა მიერ დადგენილია, რომ ფოსფორორგანული და პირეტროიდული ჯგუფის ინსექტიციდები იწვევენ შაქრების და ვიტამინი C-ს შემცველობის ზრდას, როგორც მცენარის ფოთლებში, ასევე ნაყოფებში (Благонравова, 1994; ჩხაიძე, 1994; ორჯონიკიძე, 1998).

გამოცდილი პრეპარატების ბოსტნეული კულტურების კვებით ღირებულებაზე გავლენის შესწავლის მიზნით, ჩავატარეთ სპეციალური გამოკვლევები. როგორც პესტიციდებით შესხურებულ, ასევე შეუსხურებელ მცენარეებში ვსაზღვრავდით შაქრების, ორგანული მუჟავების, ასკორბინის მუჟავას და ნაცრის შემცველობას (ცხრილი 34).

## პესტიციდების გაგლენა ბოსტნეული კულტურების ნაყოფების კვებით ღირებულებაზე

ვარიანტები	ომიდორი				კიტრი				კომბოსტო				წიწაკა				ბადრიჯანი			
	შაქარი %	ორგ. მუცვები %	ასკორბინის მუცვა %	ნაცარი %	შაქარი %	ორგ. მუცვები %	ასკორბინის მუცვა %	ნაცარი %	შაქარი %	ორგ. მუცვები %	ასკორბინის მუცვა %	ნაცარი %	შაქარი %	ორგ. მუცვები %	ასკორბინის მუცვა %	ნაცარი %	შაქარი %	ორგ. მუცვები %	ასკორბინის მუცვა %	ნაცარი %
ბი-58 ახალი	3,7	0,7	33,9	0,8	1,7	0,31	5,5	0,4	4,9	0,35	29,8	0,71	3,8	0,32	78,9	0,28	3,5	0,22	5,6	0,48
ტალსტარი	3,9	0,7	34,4	0,8	1,8	0,32	5,6	0,4	5,0	0,40	30,2	0,73	4,0	0,35	79,7	0,29	3,9	0,27	5,8	0,50
მარშალი	3,7	0,7	33,8	0,8	1,7	0,32	5,6	0,5	4,8	0,37	30,0	0,75	4,0	0,30	78,0	0,23	3,7	0,25	5,7	0,49
კონფიდორი	3,8	0,6	33,7	0,7	1,7	0,25	5,7	0,4	4,9	0,38	30,8	0,81	4,1	0,33	79,7	0,27	4,0	0,22	5,8	0,47
ფიური	3,9	0,6	34,1	0,8	1,8	0,32	5,8	0,5	5,1	0,41	31,3	0,78	4,5	0,37	80,4	0,26	4,0	0,27	5,7	0,46
აცეტომი პრილი	3,8	0,6	33,8	0,9	1,7	0,29	5,6	0,4	5,0	0,40	30,6	0,75	4,0	0,37	80,0	0,25	4,0	0,26	5,6	0,49
გაუნო	3,8	0,7	33,9	0,8	1,7	0,29	5,6	0,3	5,0	0,42	31,5	0,73	34,1	0,36	80,0	0,27	3,9	0,24	5,6	0,49
აქტარა	3,7	0,7	33,7	0,7	1,7	0,28	5,6	0,4	4,9	0,43	30,3	0,75	4,1	0,35	81,0	0,26	3,9	0,27	5,8	0,50
დეცის პრეფი	4,0	0,8	34,9	0,8	1,8	0,32	5,8	0,4	5,1	0,43	30,0	0,78	4,3	0,39	83,9	0,25	4,0	0,27	5,9	0,50
ბულდოკი	4,0	0,8	34,8	0,8	1,8	0,30	5,7	0,5	5,0	0,44	32,1	0,76	4,3	0,39	83,7	0,28	4,0	0,27	5,9	0,50
ლიროსექტი	3,6	0,6	33,0	0,7	1,6	0,25	5,3	0,3	4,6	0,35	29,5	0,73	4,0	0,30	78,0	0,27	3,5	0,22	5,6	0,48
ქრისტეს სისხლა	3,5	0,6	32,5	0,7	1,6	0,27	5,3	0,4	4,6	0,34	29,6	0,73	3,7	0,30	78,2	0,25	3,5	0,20	5,6	0,48
ქრისტეს სისხლა + ბულდოკი	3,7	0,7	33,7	0,7	1,7	0,38	5,5	0,4	5,0	0,42	30,0	0,75	4,0	0,33	79,7	0,26	3,7	0,25	5,9	0,49
კონტროლი (შეუსხურებული)	3,0	0,5	30,0	0,8	1,2	0,2	5,1	0,4	4,2	0,3	28,3	0,75	3,4	0,25	75,7	0,25	3,2	0,15	5,2	0,46



როგორც ანალიზებმა გვიჩვენა, ჩვენს მიერ გამოცდილი პრეპარატების გავლენით ბოსტნეული კულტურების ნაყოფების კვებითი ღირებულება უმჯობესდება. ასე, მაგალითად, შაქრების შემცველობა პომიდორში შესხურებულ ვარიანტში (კონტროლი) შეადგენდა 3,0%-ს, მაშინ, როდესაც პრეპარატების გამოყენებით მათი რაოდენობა 3,5-4,0-ის ფარგლებშია. ამასთან, ყველაზე მეტი შაქრები არის დეცის პროფის და ბუდლოკის ვარიანტებში; კიტრში ამ ნივთიერების შემცველობა გაზრდილია 1,2%-დან (კონტროლი) 1,6-1,8%-მდე, კომბოსტოში 4,2%-დან 4,6-5,1%-მდე, წიწაკაში – 3,4%-დან 3,8-4,3%-მდე, ბადრიჯანში – 3,2%-დან 3,5-4,0%-მდე. ორგანული მჟავების შემცველობა პომიდორში იზრდება 0,5%-დან (კონტროლი) 0,6-0,8%-მდე, კიტრში – 0,2%-დან 0,27-0,38%-მდე, კომბოსტოში – 0,3%-დან 0,34-0,44%-მდე, წიწაკაში – 0,25%-დან 0,30-0,39%-მდე, ბადრიჯანი – 0,15%-დან 0,2 - 0,27%-მდე, ასკორბინის მჟავა პომიდორში გაზრდილია 30%-დან 32,5 – 34,9%-მდე, კიტრში – 5,1%-დან 5,3 – 5,8%-მდე, კომბოსტოში – 29,2%-დან 29,6 – 32,1%-მდე, წიწაკაში – 75,7%-დან 78 – 83,9%-მდე, ბადრიჯანში 5,2%-დან 5,6 – 5,9%-მდე. ნაცრის შემადგენლობა ყველა კულტურისათვის პრეპარატების გავლენით კონტროლთან შედარებით არ იცვლება.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ქიმიური ბრძოლის რაციონალური საფუძვლების შემუშავება და გარემოზე პესტიციდების უარყოფითი მოქმედების თავიდან აცილება – არის ორი პრობლემა, რომელთაც მიუხედავად საბოლოო მიზნების სხვადასხვაობისა, აქვთ ერთი საფუძველი. ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია, რომ მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის

ღონისძიებების ჩატარების პირობებში ოპტიმალური იყოს როგორც ტოქსიკოლოგიური, ასევე სანჰიგიენური პოზიციიდან,

პესტიციდების უსაფრთხო და რაციონალური გამოყენებისადმი მრავალი ავტორის ნაშრომია მიძღვნილი. მათში გაშუქებულია სხვადასხვა ქიმიური ჯგუფის პესტიციდების დაშლის, ტრანსფორმაციის საკითხები. ფოსფორორგანული ნაერთები მეტაბოლიზმის პროცესებში ძირითადად ჰიდროლიზდებიან, რის შედეგადაც ხდება მათი დეტოქსიკაცია (Мельников, 1978). მათი ჰიდროლიზის სიჩქარე დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურაზე და pH-მუავიანობაზე (პეტროვა, 1987). პესტიციდების დაშლას მცენარის ინტენსიური ზრდაც აჩქარებს. ეს ხდება მცენარეული მასის გაზრდის ხარჯზე და მცენარეში მიმდინარე ფერმენტული პროცესების გაძლიერების გამო (Гар, Кипиани, 1955).

პირეტროიდები ზომიერად პერსისტენტული ნაერთებია. ისინი მცენარეში მნიშვნელოვანი რაოდენობით არ გროვდებიან. ამის გამო მკვლევართა უმრავლესობა მათ მიიხნევს ადამიანის და საერთოდ, თბილსისხლიანებისათვის უსაფრთხოდ (Мельников, 1987, Сасонович, Панцина, 1989; Agarwal, Gupta, Tripath, 1983).

პერმეტრინის, ფანვალერატის, ციპერმეტრინის და დეკამეტრინის დაშლის სიჩქარის შესწავლით დადგენილია, რომ მიუხედავად მათი მეტაბოლიზის გზების განსხვავებულობისა, გარემოში ნაშთების ქცევები მსგავსია. დაშლის პერიოდი, კულტურების მიხედვით, შეადგენს ერთი კვირიდან ერთ თვემდე (Бурзин, 1985).

პირეტროიდების ფიზიოლოგიური დაშლის პროდუქტები მიიღება იზომერიზაციის და დეფალოგენირების პროცესების შედეგად. ამ

ნაერთების მრავალი მეტაბოლიტი მცენარეულ და ცხოველურ პროდუქტებთან მდგრად კონიუგანტებს იძლევა (პეტროვა, 1987).

პესტიციდების მცენარეში და მცენარეულ პროდუქტებში დაშლის საკითხები ფართოდ არის გაშუქებული საქართველოს პირობებისთვის (Адеишвили, Орджоникидзе, 1978; Квачантиრაძე, 1978; Квачантиრაძე, Твалჩრელიძე, 1997, Мамალაძე 1988; ჩხაიძე, 1993, დათუკაშვილი, 1994; ორჯონიკიძე, 1998).

რაც შეეხება დახურული გრუნტის პირობებს, ამ შემთხვევაში მკვლევართა უმრავლესობის აზრი ემთხვევა ერთმანეთს იმ საკითხში, რომ სათბურებში ყველა ქიმიური ჯგუფის ნაერთი გაცილებით სწრაფად იშლება ღია გრუნტთან შედარებით. ეს აიხსნება დახურულ გრუნტში სპეციფიკური კლიმატური პირობებით.

საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ (ადეიშვილი, მამალაძე, გეგენავა, 1985) დადგენილია, რომ ფოსფორორგანული ინსექტიციდები: ფოსფამიდი, ფოზალონი, აქტელიკი და ხოსტაკვიკი დახურულ გრუნტში კიტრის, და პომიდვრის ნაყოფებში მთლიანად იშლებიან 3-5 დღის განმავლობაში. ხოლო 24 საათის შემდეგ იშლება პრეპარატების საწყისი რაოდენობა 50-60%. დაახლოებით ასეთივე მონაცემებია მიღებული უცხოელი ავტორების მიერ (Geodigre, Bietz, 1981). მათი მონაცემებით, სათბურებში ბი-58-ის გამოყენებიდან (0,2მლ/კვ.მ) 2 საათის შემდეგ პომიდორში მისი შემცველობა შეადგენდა 0,2 მგ/კვ.მ, ხოლო 2-3 დღის შემდეგ ნაშთები სრულად გაქრა, კიტრში ამ პრეპარატის დაშლას ოდნავ მეტი დრო დასჭირდა 4 – 4,5 დღე.

პირეტროიდის ჯგუფის პრეპარატებისათვის დახურულ გრუნტში “ლოდინის პერიოდად” პომიდვრისათვის განსაზღვრულია 6 დღე, კიტრისათვის – 5 დღე (Белинов В, Белирова А, 1978). ანალოგიური “ლოდინის პერიოდი” მითითებული საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე დასაშვებ პრეპარატთა სიაში (1998-2003 წწ).

სათბურებში თანამედროვე პესტიციდების სრული დაშლის პერიოდის შესწავლის მიზნით, ჩავატარეთ სპეციალური გამოკვლევები პომიდორის, კიტრის, ბადრიჯნის, კომბოსტოს და წიწაკას ვასხურებლით პრეპარატების ოპტიმალური კონცენტრაციებით. ნაშთების სრულ გაქრობამდე ნაყოფებსა და ფოთლებში ვსაზღვრავდით პრეპარატების ნაშთების შემცველობას. გამოყენებული იყო თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდი. ვინაიდან ამ მეთოდის გამოყენება შრომატევადია და მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული, ამ მეთოდით განისაზღვრა მხოლოდ რამდენიმე ნიმუში. დანარჩენ ვარიანტებში პესტიციდების სრული დაშლის პერიოდის განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ მათემატიკური მეთოდი, რომელიც შემუშავებულია კიევის პესტიციდების ჰიგიენისა და ტოქსიკოლოგიის ინსტიტუტში და ემყარება ალგორითმების გამოყენებას (Спынг, Иванов, 1974, 1977) მისი სიზუსტე 78-85%-ია.

ამ მეთოდის მიხედვით, ძირითად ფაქტორთა ჯგუფები, რომლებიც განსაზღვრავენ პესტიციდების დაშლის სიჩქარეს, არიან: პრეპარატების ფიზიკო-ქიმიური თვისებები, მათი გამოყენების პირობები, დასამუშავებელი ობიექტის (მცენარე) ქიმიური და სტრუქტურული თავისებურებანი და გარემოს კლიმატური პირობები. აღნიშნული მეთოდი

სათანადო ცხრილებისა და ფორმების დახმარებით საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ:

1. დამუშავებულ მცენარეში ქიმიური პრეპარატების შენარჩუნების ხანგრძლივობა;
2. დროის ნებისმიერ მონაკვეთში მცენარეულ პროდუქტებში პესტიციდების შემცველობის დონე;
3. დროის ის პერიოდი, რომლის შედეგადაც პრეპარატების კონცენტრაცია მცირდება დასაშვებ მინიმუმამდე ან იშლება სრულად;

№35 ცხრილში გამოყენებულია ძირითადად გამოთვლილი მონაცემები, აგრეთვე იმ ანალიზების შედეგები, რომლებიც ჩატარდა ამ მეთოდის სიზუსტის კიდევ ერთხელ დადგენის მიზნით

ცხრილი № 35

**თანამედროვე ინსექტიციდების სრული დაშლის პერიოდი დახურულ გრუნტის ბოსტნეულ კულტურებში**

პრეპარატები	სრული დაშლის პერიოდები დღეებში									
	გამოთვლილი					ფაქტიური (ანალიზების შედეგად მიღებული)				
	პომიდორი	კიტრი	კომბოსტო	წიწაკა	ბადრიჯანი	პომიდორი	კიტრი	კომბოსტო	წიწაკა	ბადრიჯანი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
ბი-58 (ახალი)	5	6	7	6	6	6	7	8	7	7
ტალსტარი	4	5	5	5	5	5	6	6	6	5

მარშალი	5	6	6	6	6	6	7	7	7	7
კონფიდორი	4	4	4	5	4	-	-	-	-	-
ფიური	4	4	5	5	5	-	-	-	-	-
ცეტომიპრი ლი	4	5	5	5	6	-	-	-	-	-
გაუზო	5	6	6	5	6	-	-	-	-	-
აქტარა	4	5	5	5	5	-	-	-	-	-
დეცის პროფი	4	5	5	5	4	-	-	-	-	-
ბულდოკი	4	5	6	5	4	4	6	6	4	5
ზოლონი (ეტალონი)	6	5	5	7	6	7	6	6	7	7

როგორც კვლევებმა გვიჩვენა, გამოცდილი ინსექტიციდების სრული დაშლის პერიოდი ბოსტნეულ კულტურებში 4-7 დღეს არ აღემატება. ოდნავ ხანგრძლივი დაშლის პერიოდი აქვთ ფოსფორორგანულ (ბი-58, ზოლონი) და კარბამატულ პრეპარატებს (მარშალი). ამასთან, თეორიული და პრაქტიკული მონაცემები თითქმის ერთმანეთის თანხვედრია. ოდნავ მეტი დაშლის ხანგრძლივობაა მიღებული გამოთვლების შედეგად.

## თ ა ვ ი V I

### მეთილბრომიდის ქიმიური და არაქიმიური ალტერნატივების ძიების შედეგები

მეთილბრომიდით ნიადაგის დეზინფექცია სასათბურე მეურნეობაში ნიადაგის მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ყველაზე ეფექტური საშუალებაა, მაგრამ მას უდიდესი უარყოფითი გავლენა აქვს ოზონის შრეზე. ამიტომ, მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს კვლევები მის შემცვლელების შესარჩევად და დასანერგად.

იმის გამო, რომ მეთილბრომიდი უნივერსალური ფუმიგანტია და მისი შეცვლა ერთი ალტერნატივით შეუძლებელია, ამიტომ მის ალტერნატივად ღონისძიებათა ინტეგრირებული სისტემები ითვლება: აგროტექნიკა, მორწყვის სწორი მენეჯმენტი, ნიადაგის სტრუქტურა, სასუქების რაციონალურ გამოყენება, ოპტიმალური მიკროკლიმატის რეჟიმი, მცენარეთა დაცვის საშუალებები, ორთქლით დამუშავება, სოლარიზაცია (ლიტერატურული მიმოხილვა).

ეს თავი მოიცავს მეთილბრომიდის ალტერნატივების შესწავლის ორ მიმართულებას - ქიმიურ და არაქიმიურ საშუალებებს.

ქიმიური ალტერნატივები:

კვლევების ჩასატარებლად ვმონაწილეობდი გაეროს ინდუსტრიის განვითარების ორგანიზაციის (UNIDO), საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებულ “ოზონის ჯგუფის” და შპს “გარემო და ანალიტიკა“-ს მიერ შემუშავებულ პროექტში “მეთილბრომიდის გამოყენებიდან ეტაპობრივი ამოღება

ნიადაგის ფუმიგაციისათვის საქართველოში,” რომელიც გარემოს ინდუსტრიის განვითარების ორგანიზაციის მრავალმხრივი ფონდის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა 2002 წლის ივლისში თავის 37-ე შეხვედრაზე.

პროექტი ითვალისწინებს მეთილბრომიდის ალტერნატიული საშუალებების დანერგვას. შემუშავდა პროექტის სამუშაო გეგმა. სადემონსტრაციო ცდებისათვის შერჩეული იქნა სათბურები სოფ. დიღომში, სოფ. აგარასა და ქუთაისში. ამ ნაშრომში მიმოვიხილავთ სოფ. დიღომში ჩატარებულ ექსპერიმენტს. აღნიშნულ სათბურში ფერმერებს ძირითადად მოყავთ პამიდორი. სათბურის საერთო ფართი შეადგენს 225 კვ.მ. ცდა ჩატარდა სამ განცალკევებულ ბლოკში. გამოყენებული იქნა მეთილბრომიდი და მისი ალტერნატიული შემცვლელი:

1. მეთილბრომიდი, საწყისი დამუშავებისათვის;
2. მეტამსოდიუმი;
3. დაზომეტი;
4. ბიოფუმიგაცია;
5. კონტროლი.

2003 წლის 19 ივლისისათვის ნიადაგი მზად იყო ჩითილების დასარგავად. ნიადაგის შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა მავნებლების შემდეგი სახეობები:

მახრა - *gryllotalpa gryllotalpa* - 0,6/კვ.მ

მურა ტკაცუნა - *agriotes obscurus* - 0,3/კვ.მ

მრავალფეხა - *scutigera immaculate* - 0,1/კვ.მ

თეთრი პოდურა - *onychiarus armatus* - 0,07/კვ.მ


ნიადაგის ფუმიგაცია განხორციელდა 2003 წლის 5 აგვისტოს. გამოყენებული ნივთიერებების რაოდენობა შემდეგია:



D - დაზომეტი - 60 გრ/1კვ.მ;  
 MB - მეთილბრომიდი - 50-60 გრ/1კვ.მ;  
 MS - მეტამსოდიუმი - 120 მგ/1 კვ.მ;  
 B - ბიოფუმიგაცია (სოლარიზაცია და ორგანული სასუქები).  
 დამუშავებული მიწის ნაკვეთი ბიოფუმიგაციის შემდეგ გადაიფარა შავი ცელოფნით, ხოლო დაზომეტითა და მეტამსოდიუმით დამუშავებული ნაკვეთები თეთრი ცელოფნით. ოთხი დღის შემდეგ ნაკვეთებს მოშორდათ ცელოფნები, რადგან ნიადაგის ტემპერატურამ 25 გრადუსამდე აიწია. ფერმერებმა სათბურის ნიადაგი გაანოციერეს სუპერფოსფატით (P2O5 46%) – 25გრ/კვ.მ, კალიუმით (K2O 49%) - 20გრ/კვ.მ და აზოტით (NH4NO3 34%) 10გრ/კვ.მ.

დაიწყო ნიადაგის შემოწმება მავნებლების არსებობაზე. დაკვირვებებმა აჩვენეს, რომ მეტამსოდიუმით, მეთილბრომიდით და დაზომეტით დამუშავებულ ბლოკებში აღარ შეინიშნებოდა ზემოთ აღნიშნული მავნებლები, ბიოფუმიგაციის გამოყენებამ კი სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, ამ ბლოკში მავნებელთა რაოდენობა მხოლოდ 25-30%-ით შემცირდა (სქემა 1), ხოლო მავნებლების რაოდენობის მაჩვენებელი არ შეცვლილა საკონტროლო ნაკვეთში.

ვარიანტი	გადარჩენილი მავნებლების რაოდენობა %-ში	
	1 ნაწილი	2 ნაწილი
<b>C</b>	16%	21%
<b>D</b>	0.20%	0.20%
<b>MS</b>	0.20%	0.20%
<b>B</b>	7%	8%
<b>MB</b>	0.30%	0.40%



სადაც:

**C** დამუშავებელი, საკონტროლო ბლოკი;

**D** დაზომეტი;

**MS** მეტამსოდიუმი;

**B** ბიოფუმიგაცია;

**MB** ბრომმეთილი.

დამუშავებულ ნიადაგში გადაირგა ჩითილები, რომლებიც წინასწარ ვიზუალურად შემოწმდა ნემატოდების არსებობაზე. შემდგომშიც მავნებლების გავრცელებას ნიადაგში ადგილი არ ჰქონია.

მთელი სადემონსტრაციო პერიოდის განმავლობაში ხდებოდა მცენარეებზე დაკვირვება. დაკვირვებების შედეგად გამოირკვა, რომ მცირე ფიტოტოქსიკურობა შეიმჩნეოდა მხოლოდ დაზომებით დამუშავებულ ნაკვეთზე.

### **მეთილბრომიდის არაქიმიური ალტერნატივა:**

სასათბურე მეურნეობებში საჩითილე მასალის გამოსაყვანად მიზანშეწონილია სტერილური სუბსტრატების გამოყენება ნიადაგის ფუმიგაციის თავიდან აცილების მიზნით.

ექსპერიმენტებს ვატარებდით სოფ. საგურამოს სასათბურე მეურნეობაში, სადაც განხორციელდა საქართველო-ჰოლანდიის ერთობლივი საჩითილე-სასათბურე მეურნეობის პროექტი (PSO0 Nursery-Greenhouse Project, კომპანია საგურამო).

ჩითილების კასეტებში მოყვანის ტექნოლოგიის განხორციელებისთვის საჭიროა:

- ბოსტნეული კულტურის თესლი (აღმოცენებადობა მინიმუმ 80%);
- საკვები არე (სუბსტრატი), რაშიც ხდება ჩითილის გამოყვანა;
- კასეტები;
- დასაწვიმი სარწყავი სისტემა;
- სასუქი;
- მცენარეთა დაცვის საშუალებები (იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნება ნიადაგის მავნებელ-დაავადებათა გავრცელებას, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს დახურულ გრუნტში მიკრო კლიმატის არასათანადო დაცვით ან მავნებელ-დაავადებათა ფონით);
- ოპტიმალური მიკროკლიმატის დაცვა;

როგორც წესი, კასეტები მზადდება პოლისტიროლისაგან. მასზე განლაგებული უჯრედების რაოდენობა, გამომდინარე კულტურიდან, მერყეობს 24-დან 648-მდე. საქართველოში ჯერჯერობით გამოიყენება 70, 102 და 144 უჯრედიანი კასეტები. კასეტების უჯრედები ივსება სუბსტრატით, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს მცენარისათვის საკვებ არეს. სუბსტრატისთვის გამოიყენება ტორფის, პერლიტის, ცელოითის, ნახერხის, ვერმიკულიტის ნარევი. სუბსტრატის მომზადებისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მის მუავიანობას, საკვები ელემენტების შემცველობასა და სტრუქტურას. სუბსტრატი ამავე დროს უნდა იყოს დეზინფიცირებული, თავისუფალი სარეველების თესლებისაგან, დაავადებებისა და მავნებლებისაგან.

კასეტების საკვები არით ავსების შემდეგ, მონიშნება თვითეული უჯრედი და ბოსტნეული კულტურის თესლი ითესება სათითაოდ კასეტების უჯრედებში. შემდეგ დამატებით გადაიფარება საკვები არით და მოირწყება. კასეტები უნდა განლაგდეს სათბურში ისე, რომ ნიადაგის ზედაპირიდან მინიმუმ 15-20 სმ-ით იყოს დაშორებული, რათა ადგილი ჰქონდეს აერიზაციას და ამავედროულად ნიადაგის მავნებელ-დაავადებებისაგან ჩითილების იზოლაციას. დათესვისთანავე კასეტები უნდა მოირწყას. დაუშვებელია უჯრედებში არესებული საკვები არის როგორც გამოშრობა, ისე ზედმეტად მორწყვა. ასეთ შემთხვევაში თესლი აღარ ღივდება და აღმოცენებას ადგილი არ ექნება.

ჩითილს ესაჭიროება ოპტიმალური ტენიანობა და ტემპერატურა.

ტენიანობის რეგულირება ტრადიციულ პატარა მოცულობის სათბურებში შესაძლებელია განიავეებით (ფანჯრებისა და კარების გაღებით). განსაკუთრებით, განიავება საჭიროა მორწყვის შემდეგ დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

ტემპერატურული რეჟიმი სახვადასხვა ბოსტნეული კულტურისათვის მოცემულია ცხრილში:

კულტურა	ტემპერატურა C						ჩითილე ბის გამო წროთობა გადარგვამდე	ტენია ნობა %
	დათესვი დან აღმოცენ ებამდე	აღმოცენ ებიდან 4-7 დღის განმავლობაში	შემდგომი პერიოდი					
დღისით			ღამით	მზიანი დღე	ღრუბლიანი დღე	ღამით	დღისით 8-12 ღამით 6	
კომბოსტო სავოს წითელი, ბრუსელის	18-20	8-10	6-10	14-18	12-16	6-10		60
ყვავილო ვანი კომბოსტო	20-22	10-12	6-10	16-18	14-16	8-10		60
პომიდორი	23-25	13-15	8-10	21-23	16-18	8-12		60-65
წიწაკა ბადრიჯანი	25-26	14-16	8-10	25-27	18-20	10-13		60-65
კიტრი	25	15-17	12-14	19-20	17-19	12-14		70-80
ხახვი	20	13-16	8-10	18-20	16-18	8-10		60-70

სხვადასხვა ბოსტნეული კულტურის ჩითილი განსხვავებულ დროს საჭიროებს დათესვიდან გადარგვამდე. მაგალითად,

კომბოსტოსნაირთათვის და ბახჩეული კულტურებისთვის აღმოცენებადობა შეიმჩნევა უკვე მე-3-5 დღეს, პომიდვრისათვის მე-6-7 დღეს, ხოლო ბუღგარული წიწაკისა ორი კვირის შემდეგ, შესაბამისად გადარგვის პერიოდში განსხვავებულია.

ჩითილი მზად არის გადასარგავად, როდესაც კასეტის უჯრედიდან თავისუფლად ამოდის და მისი ფესვთა სისტემა მთლიანად შეკრულია საკვებ არესთან ერთად. ასეთი ჩითილი გადარგვისთანავე ეგუება ახალ საარსებო გარემოს, ვინაიდან მისი ფესვთა სისტემა ძლიერ არის განვითარებული.

საგურამოს საჩითილე-სასათბურე მეურნეობაში ჩატარდა ექსპერიმენტი ჩითილების სხვადასხვა საკვები არის ნარევეებში გამოყვანის თაობაზე. გამოყენებული იქნა საქრთველოში ხელმისაწვდომი სუბსტრატები: ტორფი, პერლიტი, ცელოითი სხვადასხვა შეფარდებით:

ტორფი და პერლიტის ნარევის:

ტორფი 100%,

ტორფი 25% + პერლიტი 75%,

ტორფი 50% + პერლიტი 50%;

ტორფი 75% + პერლიტი 25%;

პერლიტი 100%.

ტორფი და ცელოითის ნარევი:

ტორფი 100%;


ტორფი 25% + ცელოითი 75%,

ტორფი 50% + ცელოითი 50%;

ტორფი 75% + ცელოითი 25%;

ცელოითი 100%.

სურათი № 13 საგურამოს სახითილეში ჩატარებული ცდა პერლიტისა და ტორფის  
ნარევით;



სურათი № 14



პერლიტი 100%



ტორფი 100%

სურათი № 15



ტორფი 50% : პერლიტი 50%

სუბსტრატის მომზადების შემდეგ იგი მოვათავსეთ კასეტებში შემდგომში დასათესად და ჩითილების გამოსაყვანად.

**შედეგები:** ცდებმა ნათლად დაგვანახა, რომ შესაბამისი მორწყვისა და გამოკვების რეჟიმების დაცვით საუკეთესო შედეგი მივიღეთ ტორფი 50% : პერლიტი 50% განმეორებისას. ჩითილები გაიზარდნენ ერთგვაროვანი ძლიერად განვითარებული ფესვთა სისტემით, ძლიერი ღეროთი და ჯანმრთელი ფოთლებით. იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელი არ არის სათანადო საკვები ნივთიერებების მიწოდება, მაშინ საუკეთესო შედეგს იძლევა სუბსტრატი ნარევით: ტორფი 75% და პერლიტი (ცელოითი) 25%.

სუბსტრატის ანუ საკვები არის შესწავლისას აღმოჩნდა რომ ეს მეთოდი ეფექტურია. საკვებ არეში ნიადაგის მავნებელი არ შეინიშნებოდა. აქედან გამომდინარე კასეტებში ჩითილების მოყვანის ტექნოლოგია მეთილბრომიდის საუკეთესო არაქიმიური ალტერნატივაა.



გარდა ჩითილებისა, ბოსტნეული კულტურებიც (კიტრი, პომიდორი) მოვიყვანეთ ნიადაგის შემცვლელ საკვებ არეში. კომპონენტებად გამოვიყენეთ ტორფისა და ჭაჭის ნაზავი შეფარდებით 50% : 50%. ექსპერიმენტმა საუკეთესო შედეგები გამოიღო. პომიდვრის მოსავლის აღების შემდეგ მოხდა საკვები არისა და მცენარის ფესვთა სისტემის შესწავლა. ნიადაგის მაგნებლები არ აღინიშნებოდა.



სურათი №16. სასათბურე მეურნეობა კალიფორნიაში

აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნიადაგის შემცვლელ საკვებ არეში ჩითილებისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანის მეთოდი ტექნოლოგიის სრული დაცით დადებით შედეგს იძლევა და მეთილბრომიდის, როგორც ნიადაგის ფუმიგანტის საუკეთესო ალტერნატივაა.

კვლევის შედეგები:

1. კასეტებში მოყვანილ ჩითილებს ძლიერი ფესვთა სისტემა უითარდება;
2. ჩითილები ერთგვაროვანი იზრდებიან;
3. გადარგვისას აგრძელებენ ზრდას და იოლად ეგუებიან ახალ გარემოს – რაც ადრეული მოსავლის გარანტიაა;
4. ნიადაგის მავნებლების წინააღმდეგ (მახრა, ტკაცუნა, თეთრი პოდურა, ნემატოდები) ქიმიური ბრძოლის ღონისძიებები არ ჩატარებულა;
5. ფესვთა დაავადებების განვითარება არ აღინიშნებოდა;
6. სარეველების გავრცელებას ადგილი არ ქომია;

უარყოფითი მხარე:

1. სუბსტრატის ზედაპირზე ხავსის (algae) განვითარება;
2. სუბსტრატის ზედაპირზე *Platyura Pectoralis* და *Scattela Stagnalis* გავრცელება

მიუხედავად იმისა რომ ბოსტნეული კულტურების მოყვანა კასეტებსა და კონტეინერებში საუკეთესო მეთოდია ნიადაგის მავნებლებისგან დასაცავად, მაინც არიან ისეთი მავნებლები, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ ჩითილებისთვის. ასეთ მავნებელთა რიცხვს მიეკუთვნებიან ***Platyura Pectoralis*** და ***Scattela Stagnalis***. აღნიშნული მავნებლები პოლიფაგი მწერებია.

დაკვირვებები მიმდინარეობდა აშშ-ში, ორიგონის შტატში, ქალაქ სეილემთან არსებული კომპანიის Heritage Seedlings, Inc-ის სასათბურე მეურნეობაში.

*Platyura Pectoralis* და *Scattela Stagnalis* დიდ პრობლემას წარმოადგენდა საგურამოს საჩითილე მეურნეობაშიც, სადაც ჩითილები მოგვეყავდა ხელოვნურ სუბსტრატზე, მაგრამ ვინაიდან აღნიშნული მავნებლების ბიოლოგიის, მავნეობისა და ბრძოლის მიმართულებით კვლევები საქართველოში არ ჩატარებულა, მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება 2002-2005 წლებისთვის ვერ მოხერხდა.

როგორც ლიტერატურულ მიმოხილვაში ავღნიშნეთ, მავნებლების გავრცელებისათვის სათბურის მიკროკლიმატი და ნოყიერი ნიადაგი იდეალურ გარემოს წარმოადგენს. *Platyura Pectoralis* და *Scatella Stagnalis*-ის წინააღმდეგ ბრძოლის მხოლოდ ქიმიური საშუალებები დადებით შედეგს არ იძლევა თუ გათვალისწინებული არ იქნა აგროტექნიკური საშუალებები, მორწყვის რეჟიმი და მიკროკლიმატი.

დაკვირვებისას, მთელი წლის განმავლობაში (თებერვალი 2007 – თებერვალი 2008) აღირიცხებოდა დღიური საშუალო ტემპერატურა, რის საფუძველზეც შევადგინეთ პროგნოზი. პარალელურად ვაკვირდებოდით მავნებლების ბიოლოგიურ ციკლს და კლიმატური პირობების ზეგავლენას მათ მასიურ გამრავლებაზე. დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ მაღალი ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის პირობები საუკეთესო გარემოს ქმნიდნენ მავნებლების მასიური გამრავლებისათვის. მავნებლების აღრიცხვა ხდებოდა ყვითელი მწერმჭერების საშუალებით,


რომლებსაც ყოველ ორ კვირაში ვცვლიდით. მწერმჭერებს ვათავსებდით უშუალოდ მცენარეების თავზე სიხშირით 1/200კვ.მ-ზე.

ყვითელ მწერმჭერებზე აღრიცხულ მავნებელთა **Platyura Pectoralis** და **Scatella Stagnalis** რაოდენობა თვეების განმავლობაში

	15- მარ	25- მარ	6- აპრ	23- აპრ	15- მაისი	25- მაისი	12- ივნ	21- ივნ	10- ივლ	23- ივლ	15- აგვ	25- აგვ	15- სექ	25- სექ	15- ოქტ	25- ოქტ	15- ნოემ	25- ნოემ	15- დეკ
Scatella Stagnalis	4.3	5,2	7.5	4.7	5.8	9.8	28	5.25	12.7	16.25	10.6	10.3	7	3	1.5	1	0.5	0.5	
Platyura Pectoralis	5.7	763	8	9.5	10.4	11.8	19.5	4.7	9.3	9.8	17.8	23.35	13.8	7.7	7.8	8.7	7.5	6.3	

აღნიშნული დაკვირვებების საფუძველზე შევადგინეთ მავნებლების განვითარების გრაფიკი. გრაფიკი გვიჩვენებს რომ Scatella Stagnalis –ის ინტენსიური გავრცელება იწყება 25 მაისიდან, ამ დროს დღე-ღამური საშუალო ტემპერატურა 18C იყო.

Scatella Stagnalis-ისგან განსხვავებით, Platyura Pectoralis-ის განვითარება პიკს აღწევს 25 აგვისტოსთვის, როცა საშუალო დღე-ღამური ტემპერატურა 25C გრადუსია. გრაფიკი ნათლად ასახავს, რომ ორი მავნებლების განვითარება ტემპერატურაზეა დამოკიდებული. განსაკუთრებით, ტემპერატურა ზემოქმედებას ახდენს Scatella Stagnalis სასიცოცხლო ციკლზე, რადგან ტემპერატურის შემცირებასთან ერთად მნიშვნელოვნად მცირდება მათი რაოდენობაც, რასაც ვერ ვიტყვით Platyura Pectoralis-ზე, რომელიც სასათბურე კულტურებზე ნოემბრის ბოლოსაც კი გვხვდება (№ 17 სურათი).



**ბრძოლის ქიმიური ღონისძიებები.**

მაკნებლების საკონტროლოდ მთელი რიგი ქიმიური პრეპარატებისა იყო გამოყენებული (ცხრილი №1.1). მაკნებელთა აღრიცხვა ხდებოდა ყვითელ წებოვან მწერმჭერებზე ყოველი შესხურების შემდეგ და ასევე ფიქსირებული დღეების განმავლობაში (ცხრილი №1.2). აღნიშნული პრეპარატები სხვადასხვა დოზით იყო შესხურებული, ასევე

გათვალისწინებული იყო მათი როტაცია მავნებლების რეზისტენტობის თავიდან აცილების მიზნით.

**მავნებლების წინააღმდეგ გამოყენებული პრეპარატების სია:**

ცხრილი №1.1

სამეურნეო სახელი	მოქმედი ნივთიერება
დურსბანი	ქლორპირიფოსი
დიმილინი	დიფლუბენზურონი
კონფიდორი	იმიდაკლოპრიდი
აცე	აცეტამიპრიდი
ტალსტარი	ბიფეტრინი
ვერტიმეკი	აბამექტინი
დიპელი	ბაცილუს თურინგიანსი

შესხურების შედეგებიდან გამომდინარე ყურადღებას გავამახვილებთ იმ პრეპარატებზე, რომელთა გამოყენებამ საუკეთესო შედეგი მოგვცა. ეს პრეპარატებია: დურსბანი (ქლორპირიფოსი, დოზა - 1ლ/100ლ წყალზე) და დიპელი (ბაცილუს თურინგიანსი) დოზით 1ლ/6.3ლ სარწყავი სისტემის გამოყენებით (ჩაჟონვის მეთოდით).

**შესხურების შედეგები:** პირველი შესხურება ჩატარდა დიპელის (ბთ) გამოყენებით (მორწყვით). შედეგი დამაკმაყოფილებელი იყო *Platyura Pectoralis*-ის რიცხოვნობის საკონტროლოდ, მაგრამ *Scatella Stagnalis*-ის რაოდენობაზე აღნიშნულმა პრეპარატებმა გავლენა არ იქონია. ქვემოთ მოყვანილი სურათები ასახავენ მავნებლებთა რაოდენობის დინამიკას. №17 სურათი გადაღებულია აღნიშნული შესხურების შემდეგ, რაც

ნათლად ადასტურებს რომ დიპელის გამოყენება *Scatella Stagnalis*-ის საკონტროლოდ მიზანშეწონილი არ არის.

სურათი №17 12 ივნისი, 2007  
მწერთა უმრავლესობა *Scatella Stagnalis*-ია



სურათი №18 ღურსბანის შესხურების შემდეგ



დაკვირვებებმა გვიჩვენა რომ დიპელი აკონტროლებს *Platyura Pectoralis*, ხოლო *Scatella Stagnalis*-ს კი ქლორპირიფოსი. უნდა აღინიშნოს რომ ქლორპირიფოსი შეზღუდული გამოყენების ინსექტიციდების რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ მისმა გამოყენებამ სხვა პრეპარატებთან შედარებით უკეთესი შედეგი მოგვცა.



№19 სურათი. 5 ნოემბერი, 2007

დაფიქსირებული მწერთა უმრავლესობა *Platyura Pectoralis*-ია

მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ მწერს მსგავს მავნებლებად მიიჩნევენ, და ხშირად არც განასხვავებენ, მათი სასიცოცხლო ციკლი განსხვავებულია, შესაბამისად განსხვავებულია მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებიც, რაც ნათლად ჩანს აღნიშნული კვლევიდან.



## ბრძოლის ღონისძიებების ინტეგრირებული სისტემა:

- *Platyura Pectoralis* და *Scatella Stagnalis* კონტროლის მიზნით პირველ რიგში მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მათი სასიცოცხლო ციკლი;
- მხოლოდ ქიმიურ ბრძოლის ღონისძიებების გამოყენებას არადაამაკმაყოფილებელი შედეგი ექნება, თუ აგროტექნიკურ მეთოდებს სათანადო ყურადღება არ დაეთმობა;
- მორწყვის სწორი მენეჯმენტი ერთერთი საუკეთესო ბრძოლის ღონისძიებაა მავნებლების საკონტროლოდ;
- *Platyura Pectoralis* (*Fungus Gnat*)-ის წინააღმდეგ გამოყენებული პრეპარატებიდან საუკეთესო შედეგი ბიოლოგიურმა პრეპარატმა დიპელმა (ბთ-მ) მოგვცა დოზით 1ლ/6.3ლ წყალზე (მორწყვა/ჩაჟონვით);
- *Scatella Stagnalis* (*Shore Fly*)-ის საკონტროლოდ კი ქლორპირიფოსია საუკეთესო, დოზით - 1ლ/100ლ წყალში.

## თ ა ვ ი V I I

### საცდელი სქემების ბიოლოგიური, სამეურნეო ეფექტურობა და სანჰიგიენური შეფასება

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, დახურულ გრუნტში გავრცელებული ძირითადი მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის შევიმუშავეთ შემდეგი საცდელი სქემები:

#### I. სქემა:

